ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

22 მარტი **ხუთშაბათი** 2012

№068(13674) ფასი 80 თეთრი



ზანუს 17 ქულა და მერმადინის ორმაგი დუბლი

12

# მოედანზე ცეცხლი აენთო, ტაბლოზე ერთიანები



## დინამო საჩემპიონო ბრძოლას შორდება?..

2-3

დინამო-ზესტაფონი 1:1. ჯაბა ჯიღაურის ავტოგოლმა დინამო რთულ მდგომარეობაში ჩააგდო

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო



## მსაჯის ჯიბიდან ამოღებული ლა ლიგის ინტრიგა

რეალი გააყვითლეს, გააწითლეს... ბარსა უკვე ახლოსაა

9

## ტევესი სიტის საგოლე პასით დაუბრუნდა

5



# პლეი ოფი (1-8 ადგილები)



ნამიც და ჩისკო ანგარიშს გაათანაბრებს

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# ავანტიურა და ძიგძიგი

21.03. თბილისი. დინამო არენა. 2000 მაყურებელი

**დინამო 1**

**ზესტაფონი 1**

0:1 ჯილაური(47, საკუთარ კარში), 1:1 ჩისკო( 81, კვეკვესკირის პასით)

| დინამო 4-2-3-1 | ზესტაფონი 4-2-2-2 |
|---|---|
| ლორია | რ. კვასხვაძე |
| ტვილდიანი | ლონლაძე |
| კვეკვესკირი | გ.ონიანი |
| თომაშვილი | კობახიძე |
| ხმალაძე | ელიავა |
| ჯილაური | გორგიაშვილი |
| პაპავა | მენთეშაშვილი |
| მერებაშვილი | შარიქაძე |
| კოშკაძე | შ.გრიგალაშვილი |
| გოგუა | დ.მუჯირი |
| ჩისკო | დვალი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი: |
| გ. დევდარიანი | გ. ჭიაბრიშვილი |

**დინამო**

59. ჯილაური - **ალვარო**
75. მერებაშვილი - **რობერტინიო**
84.კოშკაძე - **კოტო**

*სათადარიგოები: სეფიაშვილი, ანდრეუ, იაგუე, რეხვიაშვილი*

**ზესტაფონი**

54. შარიქაძე - **აფციაური**
68. დ. მუჯირი – **რაჭამაშვილი**
78.მენთეშაშვილი - **წინამძღვრიშვილი**

*სათადარიგოები: მამალაძე, საჯაია, ხიდეშელი, ბერაია*

გაფრთხილება:გოგუა (24), გორგიაშვილი (59), დ. უჯირი(64), ლონლაძე (79)

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

ჯიბრიანი თამაში იყო, ემოცია და ლაზათი ვერ დაეწუნებოდა, ორივე გუნდის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ "დინამო არენაზე" 90 წუთი მალე გავიდა – მოედანზე ცეცხლი ენთო.

შედეგით "ზესტაფონი" უნდა დარჩეს კმაყოფილი, თუმცა ისიცაა, რომ სტუმრებს მოგებაც შეეძლოთ. ზესტაფონელთა თავკაცმა **გიორგი ჭიაბრიშვილმა** საყრდენი **ზურაბ მენთეშაშვილი** თავდამსხმელ **რატი წინამძღვრიშვილით** მაშინ შეცვალა, როცა "ზესტაფონი" თამაშს იგებდა, ამ შეცვლის შემდეგ კი სივრცეები უფრო გაიხსნა, "დინამოს" ანგარიშის გათანაბრების მეტი შანსი გაუჩნდა და **გიორგი დევდარიანის** გუნდმაც ეს შესაძლებლობა ხელიდან აღარ გაუშვა.

ჭიაბრიშვილმა ნამატჩევს განაცხადა, თამაშის დროს ცხრილს არ ვუყურებთ, ჩვენი საზომი ერთი მატჩი არ არის, შეიძლება დავისაჯოთ, მაგრამ გამარჯვებისთვის თამაშს უნდა მივეჩვიოთ.

ვერ გეტყვით, მიეჩვევა თუ არა "ზესტაფონი" ნიადაგ გამარჯვებისთვის თამაშს, მაგრამ მწვრთნელის ავანტიურისტული მიმართულება ზოგადად, საინტერესოა, ასეთი რაღაცებით არის საინტერესო გუნდის შენება, ასეთი რაღაცებით ფასობს ფეხბურთი, რასაც განსაკუთრებული უნარი სჭირდება.

ამ დროისთვის "ზესტაფონი" "დინამოზე" წინ მხოლოდ ცხრილში როდია, "ზესტაფონი" წლობით გაწეული მუშაობის შედეგია, "დინამოში" კი ბოლო პერიოდში მწვრთნელი და პატრონი იმდენჯერ შეიცვალა, რომ რაც არ უნდა დიდი ინვესტიციები ჩადო, შენზე წინ მყოფს უცბად ვერ დაეწევი.

"ზესტაფონი" რომ უფრო გუნდია, ეს ამ შეხვედრაშიც იგრძნობოდა, თორემ კონტინგენტს თუ გადავხედავთ, "დინამო" მოწინააღმდეგეს არაფრით ჩამოუვარდება - სათადარიგოებში ხუთი ლეგიონერი იყო. საქართველოს ჩემპიონატის გუნდს თადარიგში ამდენი უცხოელი რომ ჰყავს, ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ მექანიზმი ჯერაც ჩამოყალიბების პროცესშია და ბევრი რაღაცაა შესაცვლელი.

...პირველი წუთები "დინამოსი" იყო. **გოგიტა გოგუა** მარცხენა ფლანგიდან მოსვენებას არ აძლევდა "ზესტაფონის" დაცვას. "ზესტაფონმა" ამ შემოტევებს გაუძლო და თანდათან დაალაგა თამაში. სტუმრები უფრო მწყობრად მოქმედებდნენ, თამაშის ორგანიზებას "ზესტაფონის" რამდენიმე ფეხბურთელი ახერხებდა, რაც ჭიაბრიშვილის გუნდს საქმეს უადვილებდა. **შოთა გრიგალაშვილი** და **ჯაბა დვალის** ოდნავ უკან მოთამაშე **დავით მუჯირი** ბურთს კარგად ათვინიერებდნენ და სწორ გადაწყვეტილებებს იღებდნენ, **თორნიკე გორგიაშვილი** და **ზურაბ** მენთეშაშვილიც რიგიანად ირჯებოდნენ მოედნის ცენტრში. დინამოელები კი უფრო ემოციური ფონის შექმნას ესწრაფვოდნენ, შინ თამაშობდნენ და თითქოს ამ ფაქტორის გამოყენებას მაქსიმალურად ცდილობდნენ.

წუნი "ზესტაფონის" თამაშშიც იყო, თუმცა ტაიმის შუაწელიდან ფეროელები მცირე უპირატესობას დაეუფლნენ. მუჯირმა რამდენჯერმე გაიბრწყინა ინდივიდუალური თამაშით და გვარიანად ანერვიულა "დინამოს" დაცვა. კარგი შანსი ჰქონდათ მასპინძლებსაც – **ჩისკოს** პასით **ლევან ხმალაძე** აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაში, მაგრამ ბურთი კარგად ვერ მოათვინიერა.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, მუჯირმა ფაქტობრივად დაკარგულ ბურთზე ბოლომდე რომ იბრძოლა, ჯანის და ტექნიკის ხარჯზე გაათრია ბურთი, მერე კი კარის გასწვრივ ისე ჩააწოდა, რომ **ჯაბა ჯილაურს** ბურთი საკუთარ კარში ჩაექრა.

"დინამო" მალევე შეეცადა პასუხის გაცემას, გოგუას დარტყმა **როინ** კვასხვაძემ მოიგერია. გაშვებული გოლით გახელებული დევდარიანის გუნდი უფრო შლეგად ათამაშდა, "ზესტაფონისთვის" იოლი არ იყო ამასთან გამკლავება, "დინამოს" ბურთის დიაგონალური გადატანა რამდენჯერმე კარგად გამოუვიდა, რამდენჯერმე მოაშიშვლა მოწინააღმდეგის ფლანგები – ეს ვარჯიშებზე დამუშავებულ კომბინაციებს ჰგავდა. დინამოელთა ასეთი მუხტი ნელ-ნელა განელდა, **თორნიკე აფციაურის** შემოსვლამაც თავისი გააკეთა, "ზესტაფონმა" ბურთზე კონტროლი გამოაკეთა. სწორედ ამ დროს ჭიაბრიშვილი რისკზე წავიდა და მენთეშაშვილი წინამძღვრიშვილით შეცვალა. **გიორგი მერებაშვილი**, ჩისკო, დვალი – საგოლე მომენტებით მაყურებელმა თავი მართლაც შეიქცია, ბურთი კი "დინამომ" გაიტანა – **ნიკა კვეკვესკირის** გრძელი პასის დროს "ზესტაფონის" დაცვამ კონცენტრაცია დაკარგა, ჩისკოს ბურთის მშვიდად გაჩერების და კარში დარტყმის საშუალება მისცეს და რა გასაკვირია, რომ გამოცდილმა ოსტატმა ასეთი შანსი ხელიდან არ გაუშვა – 1:1.

"დინამოს" მალევე შეეძლო მეორე გოლის გატანა, როცა **გულვერდ თომაშვილის** ახლო თავური **როინ კვასხვაძემ** გააუვნებლა. "ზესტაფონის" მეკარეს ვალში არც **გიორგი ლორია** დარჩა – აფციაურს არ დაანება გოლის გატანა.

საფინალო სასტვენამდე კიდევ იყო სახიფათო იერიშები აქეთ-იქით, შეხვედრა მართლაც მოძიგძიგე გამოდგა.

**მატჩის შემდეგ**

**გიორგი ჭიაბრიშვილი:** *"დინამო" უდავოდ კარგი გუნდია, თანაბარი თამაში იყო, რომელიც ლოგიკური შედეგით დასრულდა".*

**გიორგი დევდარიანი:** *"გახსნილი თამაში გამოვიდა, გულდასაწყვეტია, სამი ქულა რომ ვერ ავიღეთ, თუმცა ჩემპიონობის თეორიულ შანსს კვლავ ვინარჩუნებთ. ჯადოსნური ჯოხი არ მაქვს, რომ ყველაფერი უცბად გავაკეთოთ. კმაყოფილი ვარ იმით, რომ უწინდელ მატჩებთან შედარებით უკეთ გავაკეთეთ ის, რისი გაკეთებაც გვინდოდა."*

**დავით თავართქილაძე**

# გამარჯვების წყურვილი

21.03. რუსთავი. ფოლადი. 1000 მაყურებელი

**მეტალურგი 2**

**მერანი 0**

1:0 მაისურაძე (38. ქავთარაძის პასით), 2:0 ტატანაშვილი (87)

| მეტალურგი 4-2-3-1 | მერანი 4-3-3 |
|---|---|
| ბედიაშვილი | შეროზია |
| გავაშელიშვილი | გეგეჭკორი |
| გ. კვარაცხელია | გ. ჟვანია |
| მახვილაძე | იობაშვილი |
| ს. თოდუა | ჩალაძე |
| რაზმაძე | დიდავა |
| ქავთარაძე | მანწკავა |
| თექთურმანიძე | ე. გრიგალაშვილი |
| ი. მაისურაძე | ტორონჯაძე |
| ჯაფარიძე | სუხიაშვილი |
| სიხარულიძე | ტაპე |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| კ. ჟორჟიკაშვილი | გ. ჟვანია |

**მეტალურგი**

70. ქავთარაძე - **ტატანაშვილი**
88. თექთურმანიძე - **გ. სეთურიძე**
90. ჯაფარიძე - **ბენაძე**

*სათადარიგოები: ბათიაშვილი, ჭედია, ხოხონიშვილი, ექვთიმიშვილი*

**მერანი**

46. მანწკავა - **ვართაგავა**
46. ტორონჯაძე - **ამბროლაძე**
69. ტაპე - **ბოხუა**

*სათადარიგოები: შენგელია, კიკალიშვილი, წოწორია, ფონიავა*

გაფრთხილება:დიდავა (22), ქავთარაძე (33), გ.კვარაცხელია (34), თექთურმანიძე (48), რაზმაძე (53), ი.მაისურაძე (62)

არბიტრი: ლ. სილაგავა

მასპინძლებს დასაწყისშივე ეტყობოდათ, რომ მოსაგებად იყვნენ მოედანზე გამოსულები, მათ საწყის წუთებშივე შექმნეს რამდენიმე სახიფათო მომენტი: მე-8 წუთზე **ვალერი იობაშვილის** შეცდომის შედეგად ბურთი **ლაშა ჯაფარიძეს** მიუვიდა, რომელსაც დამაგვირგვინებელი დარტყმა არ გამოუვიდა. ორიოდე წუთში იმავე ჯაფარიძის მიერ წამოწყებულ შეტევას **ირაკლი სიხარულიძის** შორი მანძილიდან დარტყმა მოჰყვა, ბურთი მცირე მანძილით ასცდა კარს.

ყველაზე რეალური მომენტი რუსთაველმა ფეხბურთელებმა ტაიმის შუაწელს შექმნეს, როდესაც **გიორგი ქავთარაძემ** დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა **გიორგი თექთურმანიძე**, ამ უკანასკნელის დარტყმული ძელმა აისხლიტა. შემდეგ კი ლაშა ჯაფარიძეს მიეცა შანსი, თუმცა დარტყმა არაზუსტი გამოუვიდა.

"მერანი" თავდაპირველად ფრთხილობდა, მერე და მერე კი შედარებით გაათანაბრა თამაში, მაგრამ შეტევის გამწვავებას და ბურთის კართან მიტანას ფეხბურთელები ვერ ახერხებდნენ. დასამახსოვრებელი ეპიზოდი სტუმრებს 35-ე წუთზე ჰქონდათ, როდესაც **გიორგი მანწკავას** სტანდარტულს მასპინძელთა საჯარიმოში არეულობა მოჰყვა, გუნდის კაპიტნის **გიგა ჟვანიას** თავური კი სუსტი გამოდგა.

შესვენებამდე **კობა ჟორჟიკაშვილის** გუნდის უპირატესობა კვლავ გამოიკვეთა და შედეგმაც არ დააყოვნა: 38-ე წუთზე **ირაკლი მაისურაძემ** საჯარიმოს მისადგომებიდან დაარტყა და **შეროზიას** მარჯვენა დაბალ კუთხეში გაუტანა.

მეორე ტაიმში მარტვილელებმა შეიძლება ითქვას, თამაში გამოასწორეს, ტემპს უმატეს, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ მეტოქეს განსაკუთრებული თავსატეხი გაუჩინეს.

ცოტა ხანში **დიმიტრი ტატანაშვილის** რეიდის შემდეგ, თავის გამოჩენის იდეალური შანსი მიეცა მეკარესთან მარტო დარჩენილ სიხარულიძეს, რომელიც ფაქტობრივად ცარიელ კარში ურტყამდა, მაგრამ მცველებმა ზედ კარის ხაზიდან კუთხურზე მოიგერიეს ბურთი.

73 –ე წუთზე სტუმრებს ანგარიშის გათანაბრება შეეძლოთ: მარცხენა ფრთაზე აქტიურმა **ლაშა ჩალაძემ** ბურთი **ელგუჯა გრიგალაშვილს** გადააწოდა, მაგრამ "მერანის" ნახევარმცველმა საკმაოდ კარგი პოზიციიდან ბურთი **გრიგოლ ბედიაშვილის** კარს ააცილა.

მატჩის მიწურულს გოლის გატანა ორივე გუნდს შეეძლო, თუმცა მეკარეებმა ითამაშეს კარგად: ჯერ თექთურმანიძე მახვილი კუთხიდან დაემუქრა მოწინააღმდეგის კარს, ხოლო მოგვიანებით კი გრიგალაშვილის ჯარიმას მოჰყვა ხიფათი.

ბოლოსკენ "მეტალურგმა" მაინც გაიტანა: მიუხედავად იმისა, რომ შეტევისას ბურთი ხელზე ნამდვილად მოხვდა მასპინძელთა ფეხბურთელს, არბიტრმა არ გააჩერა თამაში; ეს ეპიზოდი კი საბოლოოდ გოლით დასრულდა: იობაშვილს ბურთი ფეხებში აებლანდა, რითაც შესანიშნავად ისარგებლა გამოცდილმა **დიმიტრი ტატანაშვილმა**.

**მატჩის შემდეგ**

**კობა ჟორჟიკაშვილი** (მეტალურგი): *"მერანმა" კარგად ითამაშა, თუმცა გუნდს ეტყობოდა, რომ ურთულესი მატჩი გადაიტანა. ჩვენ არ მივეცით მათ საშუალება გაშლილი ფეხბურთი ეთამაშათ, შევუზღუდეთ არეალი და როგორც ჩანს, ამ ტაქტიკამ გაამართლა კიდეც. ამ თამაშს ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და კარგია, რომ მოვიგეთ."*

**არჩილ ჩხაბერიძე** (მერანი): *"მინდა აღვნიშნო მსაჯის არაობიექტური მოქმედებები. არ შეიძლება ასე დაუსრულებლად გაგრძელდეს, ეს არ წაადგება ქართულ ფეხბურთს. ჩვენს გუნდს რაც შეეხება, ვიტყვი, რომ "დინამოსთან" თამაშმა დიდი ძალები წაგვართვა, რამაც საბოლოოდ დღევანდელ შედეგ ზეც იქონია გავლენა".*

**ბესიკ გვაზავა**
რუსთავი-თბილისი



ავტორის ფოტო

## პლეი ოფი (1-8 ადგილები). III ტურის წინათქმა



ფაზისზე სენსაცია დაფიქსირდა

ფოტო: www.fctorpedo.ge

21.03. ფოთი. ფაზისი. მაყურებელი

კოლხეთი 1

ტორპედო 0

1:0 პ. დათუნაიშვილი (34. ტულუშის პასით)

| კოლხეთი 4-1-4-1 | ტორპედო 4-4-2 |
|---|---|
| ა. მიქაბერიძე | მიგინეიშვილი |
| ფოფხაძე | რიგვავა |
| ბოიომო | კვახაძე |
| ლომაშვილი | გამეზარდაშვილი |
| გაბუნია | ლემონჯავა |
| ქებაძე | თარხნიშვილი |
| პ. დათუნაიშვილი | გ. დათუნაიშვილი |
| გვალია | დილმელაშვილი |
| წურწუმია | კუხიანიძე |
| პავლიაშვილი | საბანაძე |
| ტულუში | გოცირიძე |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| დ. მახარაძე | გ. გეგუჩაძე |

**კოლხეთი**

65. ტულუში - **სიჭინავა**
71. გვალია - **გოგონაია**
84. პ. დათუნაიშვილი - **ციცხვაია**

*სათადარიგოები: ხარშილაძე, გ. კილასონია, ცხვიტარია, წაბრია*

**ტორპედო**

46. დილმელაშვილი - **დოლიძე**
65. საბანაძე - **ვ. ბოლქვაძე**
70. კუხიანიძე - **ფანცულაია**

*სათადარიგოები: ქვილითაია, გურული, იოსელიანი, ფირცხალავა*

გაფრთხილება: ლომაშვილი (22), წურწუმია (78)

არბიტრი: თ. გვანცელაძე

# კოლხური მოტივა(ქ)ცია: ეჭვი ფუჭად აქცია

ეს გუნდები ბოლოს ერთმანეთს ორიოდ კვირის წინ შეხვდნენ და მაშინდელმა ფრემ „კოლხეთი" პლეი ოფში შეიყვანა. მართალია, ამით **დავით მახარაძის** შეგირდებმა ლიგაში დარჩენის ამოცანა ვადამდე შეასრულეს, მაგრამ მიმდინარე პირველობის სისტემის გამოისობით, „კოლხეთი" სხვა რიგი გუნდების დარად უმოტივაციოდ დარჩა.

როგორც გამოჩნდა, ფოთელები მთლად უმოტივაციოდ არ ყოფილან. ორი კვირის წინანდელი 0:0 კოლხებს სრულ გარანტიებსაც ვერ აძლევდა, პლუს ამას — მატჩსაც ჩაწყობილის არაფერი ეტყობოდა, მაგრამ ეჭვებით დახუნძლულმა (უმეტესად, ალბათ, საფუძვლიანმა) პირველობამ ერთიც დაიმატა — „კოლხეთი" პლეი ოფში ქუთათურებს 6 ქულას დაუბრუნებსო.

მეტად სასიხარულოა, როცა „ვარაუდი" უსაფუძვლო გამოდგა - „კოლხეთმა" მოგებით ორი რამ დაამტკიცა: 1) პლეი ოფში შემთხვევით და დაუმსახურებლად არ მოხვედრილა; 2) წინა რიონისპირული დერბი სამართლიანად ჩატარდა!

უფრო მნიშვნელოვანი ეს უკანასკნელი ფაქტია და ცუდია ის, რომ მავან უსამართლოდ მოთამაშეთა გამო, „ფაზისზე" გუშინ იმერლებს რომ ემარჯვათ, ეჭვის საბურველში ეს ორი გუნდიც გაეხვეოდა და როგორც გამოჩნდა, ამის საფუძველი რეალურად არ ყოფილა.

თავად მატჩი მეტად საინტერესო სანახავი და ისეთი ეპიზოდებით დახუნძლული გამოდგა, ჩვენი ჩემპიონატი ნამდვილად რომ ვერ დაიკვეხნის. ერთგვარად მოულოდნელი და სასიამოვნო იყო ის ფაქტი, რომ მასპინძლებმა თავიდანვე შეუტიეს. ფსიქოლოგიური ფაქტორისგან გათავისუფლებულებმა მიმდინარე ჩემპიონატში, ალბათ, ერთ-ერთი საუკეთესო და სანახაობრივი ფეხბურთი აჩვენეს ჯერაც მოუწყობელ ტრიბუნებზე ფეხზე მდგარ ქომაგებს. სიმართლე გითხრათ, ასე თამამად შეტევაზე ორიენტირებული „კოლხეთი" კარგა ხანია არ გვინახავს — შეტევაში მცველებიც უშიშრად ერთვებოდნენ, თანაც ისე, რომ დაცვის ხაზი ერთხელაც არ მოუშიშვლებიათ.

ალბათ, „კოლხეთის" კარგი თამაშის ბრალი იყო ისიც, რომ სტუმრებმა სპორტული პრინციპით უმოტივაციოდ დარჩენილ მეტოქესთან ვერაფერი გააწყვეს.

მატჩის მე-2 და მე-6 წუთებზე **წურწუმიას** ფლანგიდან ჩაწოდებულს ჯერ **ლომაშვილმა,** შემდეგ კი **ბოიომომ** დაჰკრეს თავი სახიფათოდ, თუმცა ქუთათურთა კარს მცირედით ააცილეს. რამდენიმე წუთში კი „ტორპედო" აშკარა გოლს გადაურჩა — დაცვის შეცდომისა და თანაგუნდელის ჩინებული პასის შედეგად **პავლიაშვილი** ერთიერთზე შეეყარა **მიგინეიშვილს**, თანაც ისე, რომ მეკარეს შანსი არ უნდა ჰქონოდა, მაგრამ კოლხმა „მოახერხა" და კარს ააცილა.

ამის შემდეგ სტუმრებმა ვითარების გამოსწორება სცადეს — ათწუთიან მონაკვეთში სამჯერ გაისროლეს საჯარიმოს გარედან **არდალიონ მიქაბერიძის** კარის მიმართულებით, მაგრამ **თარხნიშვილს** ორჯერ და **კვახაძეს** მიზანმა ცოტათი უმტყუნეს.

აქვე კოლხთა დებიუტანტ მეკარეზე გეტყვით — მასპინძლებს ძირითადი გოლკიპერი **ლადო ნადირაშვილი** ავად ჰყავთ, ამიტომაც მოუხდა „ვიტ ჯორჯიას" ყოფილ კიპერს „კოლხეთის" კარის დაცვა და მიუხედავად იმისა, რომ მეკარისთვის აშკარად ზედმეტ წონაშია, მთელი შეხვედრა უშეცდომოდ და მაღალ დონეზე ჩაატარა, რითაც გვარიანი წვლილიც შეიტანა თავისიანთა წარმატებაში.

34-ე წუთზე ფოთელთა ჩინებული კომბინაცია გოლით დასრულდა — შორეულ ძელთან ჩაკიდებული ბურთი პირითი ხაზიდან საჯარიმოში თავით **პავლიაშვილმა** შემოაბრუნა, იქ ბრძოლაში **ტულუშმა** იმარჯვა და ერთი შეხებით დათუნაიშვილს საგოლედ უპასა — მოედანზე მყოფი ძმებიდან ერთმა მეორეს გუნდის კარი ამჯერად იოლად დალაშქრა.

ტაიმის ბოლოსწინა წუთზე ქუთათურები მეორე გოლს გადაურჩნენ — ტულუშის დარტყმული ძელმა მოიგერია, **გვალიამ** დაამატა, მაგრამ ჩინებულად გაისარჯა მიგინეიშვილი.

თითქოს მეორე ტაიმში სტუმრებს ვითარება უნდა გამოესწორებინათ, **გია გეგუჩაძე** ამის გაკეთებას შეცვლებითაც ეცადა, მაგრამ გუშინ „კოლხეთი" შეუდარებელი იყო. თავად განსაჯეთ: ჯერ იყო და, **ქებაძის** სახიფათოდ დარტყმული გააუვნებელყო ქუთათურთა მეკარემ, ბოლოსკენაც იგივე განმეორდა, ხოლო მატჩის მიწურულს მიგინეიშვილმა ჩინებული რეაქცია უკვე **სიჭინავას** დარტყმულზე გამოავლინა. ამ დროში კი „ტორპედომ" ის მოახერხა, რომ **რიგვავას** ჩაწოდებულზე **გოცირიძემ** ორჯერ დაარტყა თავით და ააცილა, თითოჯერ კი **ფანცულაიასა** და **დოლიძეს** მიქაბერიძემ არ გაატანინა.

საბოლოოდ, 1:0 — „კოლხეთმა" დამხაურებულად გაიმარჯვა.

**მათე ბურული**
ფოთიდან

### პლეი ოფი

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზესტაფონი | 16 | 10 | 4 | 2 | 29 | 13 | 34 |
| 2 | მეტალურგი | 17 | 10 | 2 | 5 | 25 | 19 | 32 |
| 3 | დინამო | 16 | 7 | 4 | 5 | 30 | 23 | 25 |
| 4 | ტორპედო | 15 | 7 | 3 | 5 | 17 | 13 | 24 |
| 5 | ბაია | 16 | 4 | 5 | 7 | 12 | 20 | 17 |
| 6 | დილა | 16 | 4 | 4 | 8 | 17 | 19 | 16 |
| 7 | კოლხეთი | 16 | 3 | 6 | 7 | 9 | 20 | 15 |
| 8 | მერანი | 16 | 4 | 2 | 10 | 14 | 26 | 14 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| დვალი (ზესტაფონი) | 13 |
| ჩისკო (დინამო) | 12 |
| ტატანაშვილი (მეტალურგი) | 10 |

### IV ტური
**25 მარტი, კვირა**

კოლხეთი-დილა
მერანი-ბაია
ზესტაფონი-მეტალურგი
ტორპედო-დინამო

# ბაიას ნუ გაწირავთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

21.03. ზუგდიდი. ბაიას ბაზა. მაყურებელი

ბაია 1

დილა 1

1:0 სიხარულია (13. ეხვაიას პასით), 1:1 ვანაძე (15. ინწკირველის პასით).

| ბაია 4-3-3 | დილა 4-3-3 |
|---|---|
| სომხიშვილი | სკენდერი |
| გ. ქვარცხავა | ალადაშვილი |
| აფაქიძე | სალუქვაძე |
| აკობია | ინწკირველი |
| გამრეკლიძე | მეგრელიშვილი |
| ზ. ქვარცხავა | არზიანი |
| ნ. შონია | კაშია |
| ეხვაია | ილურიძე |
| სიხარულია | გურული |
| გაბედავა | ვანაძე |
| შ. ლომია | კახელიშვილი |
| მთ. მწვრთნელი: | მთ. მწვრთნელი: |
| გ. ტყებუჩავა | თ. მახარაძე |

**ბაია**

53. ლომია – **კუტალია.**
76. ეხვაია – **კუკავა.**
90. სიხარულია – **ბუჯეჯიანი.**

*სათადარიგოები: ჯომიდავა, კანკია, ლ. ქანთარია, აქუბარდია.*

**დილა**

33. კაშია – **ჯიქია**
73. ილურიძე – **ლექვთაძე**
83. კახელიშვილი - **ბარაბაძე.**

*სათადარიგოები: შეყრილაძე, ქარქუზაშვილი, კანდელაკი, ბეჟვაია.*

გაფრთხილება: გაბედავა (3), სომხიშვილი (16), აფაქიძე (32), კახელიშვილი (32), ნ. შონია (34).

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

ითამაშებს "ბაია" გორის "დილასთან" ძირითადი შემადგენლობით? ეს იყო მატჩამდე მთავარი კითხვა. ერთთვიანი დავალიანების გამო, მასპინძელთა მოთამაშეები პრობლემების მოგვარებას ითხოვდნენ. მართალია, დავალიანება არ გაუსტუმრებიათ, მაგრამ როგორც ზუგდიდელმა ფეხბურთელებმა გვითხრეს, ამის პირობა მიიღეს.

რა თქმა უნდა, გუშინდელი ტურის მთავარი შეხვედრა "დინამო"—"ზესტაფონი" იყო, მაგრამ ზუგდიდური მატჩის მნახველებმაც დიდი სიამოვნება მიიღეს - დაძაბული თამაში საკმაოდ მაღალ ტემპში მიმდინარეობდა. იშვიათად გაიხსენებთ საქართველოს ჩემპიონატში მეორე ასეთ შეხვედრას, სადაც მოთამაშეები ლამის ყველა ბურთისთვის იბრძვიან.

ზუგდიდელთა შემადგენლობა ისედაც ახალგაზრდულია, გუშინ კი ძირითადში სადებიუტო შეხვედრა ჩაატარა **ზურაბ ქვარცხავამ**: წინასწარ ვიტყვით, რომ ამ 18 წლის საყრდენმა ნახევარმცველმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

ზუგდიდელებმა შეხვედრა აქტიურად, შეტევებით დაიწყეს. განსაკუთრებით **ზვიად სიხარულია** აქტიურობდა, რომელიც ნელ-ნელა "ბაიას" ლიდერად ყალიბდება. 19 წლის საყრდენი **გოჩა ტყებუჩავამ** მარჯვენა შემტევად გადასწია და კარგადაც გამოჩნდა.

ანგარიში მე-13 წუთზე გაიხსნა: მარჯვენა ფლანგიდან წამოწყებული შეტევა **ირაკლი ეხვაიამ** თავით სწორედ სიხარულიას გაუგრძელა, რომელმაც ლამის კუთხურის ხაზიდან **მარინ სკენდერს** ბურთი თავზე გადაუგდო და ძალიან ეფექტური გოლი გაიტანა – 1:0.

სტუმრებმა წონასწორობა მალე ალადგინეს: შეტევაში ჩართულმა მცველმა **ლექსო ინწკირველმა** ბურთი თავით **მათე ვანაძეს** დაუგდო, რომელმაც მცველს დაასწრო და ახლო მანძილიდან ზუსტად დაარტყა – 1:1.

გოლმა მასპინძელთა შეტევები ოდნავ დააცხრო, მაგრამ სიხარულიამ ზუგდიდელები ისევ გამოაცოცხლა, როდესაც 27-ე წუთზე ჯარიმა შეასრულა – სკენდერმა ბურთი მოიგერია.



ზვიად სიხარულია

მასპინძლები ფლანგებსაც იყენებდნენ და შორეული დარტყმებითაც ცდილობდნენ მეტოქის კარის აღებას. განსაკუთრებით ეფექტური გამოდგა 38-ე წუთზე **ნიკა აფაქიძის** შეტევა: მან მოედნის ცენტრიდან დაარტყა - გორელთა ხორვატმა მეკარემ ბურთი კუთხურზე გაჭირვებით მოიგერია.

მეორე ტაიმში დაძაბულობამ იმატა, მომენტები კი ნაკლებად იქმნებოდა: აღსანიშნავია **გიორგი გაბედავას** ჯარიმა, რომელიც კარს სანტიმეტრებში ასცდა, ისევ და ისევ სიხარულიას ინდივიდუალური გარღვევა, როდესაც მარჯვენა ფლანჯგიდან ცენტრში დაიძრა, ორ მცველს გასცდა და კარში გაისროლა, მაგრამ სკენდერი საიმედოდ იდგა. მატჩის მიწურულს კი "მაკრატელათი" "ბაიას" დაწინაურებას გაბედავა შეეცადა.

გორელებმა მასპინძლები ბოლო წუთზე აანერვიულეს, როდესაც **ზურაბ არზიანმა ნიკა შონიას** ბურთი მოედნის ცენტრში აართვა, კარისკენ დაიძრა და დაარტყა. თუმცა, მეტის გატანა ვერც ერთმა გუნდმა ველარ მოახერხა.

ბოლოს ერთსაც ვიტყვით: წლებია, ზუგდიდში გუნდის ფინანსური პრობლემები ვერ მოგვარდა. არადა, ამ ქალაქში ნამდვილი საფეხბურთო საბადოა, რაც ამ შეხვედრამაც დაამტკიცა. ისევ ზუგდიდს და ქართულ ფეხბურთს წაადგება, "ბაიას" თუ მიხედავენ. ამ ნიჭიერი ბიჭების გაჭირვებისთვის გაწირვა საცოდაობა იქნება.

**მერაბ მამულაშვილი**
ზუგდიდიდან

● ბაია

# ახალი დაპირების იმედად

უკვე სათვალავი აგვერია, მერამდენედ შეექმნა "ბაიას" ფინანსური პრობლემები. გაჩნდა იმის რეალური საფრთხე, რომ უმაღლესი ლიგის გასული ტურის მატჩი "კოლხეთსა" და ზუგდიდელებს შორის სწორედ ამ მიზეზით ჩაშლილიყო, თუმცა შეხვედრა დიდთოვლობამ გადადო.

"ბაიას" წევრები კუთვნილი ხელფასპრემიების მიღებას დღე-დღეზე ელოდნენ, მაგრამ როგორც შევიტყვეთ, ამ მხრივ ახალი ჯერ არაფერია. ახალი დაპირების მიხედვით, ისინი კუთვნილ ანაზღაურებას 1 აპრილამდე მიიღებენ. გუშინ კი "ბაიას" სამწვრთნელო შტაბი მხოლოდ დუბლშემადგენლობის იმედზე არ დარჩა – სწორედ ამ დაპირების გამო გორის "დილას" ძირითადმა შემადგენლობამ უმასპინძლა.

"ბაიას" მწვრთნელ-ფეხბურთელებს ერთი თვის სახელფასო დავალიანება და ერთი მატჩის პრემია აქვთ მისაღები და ვნახოთ, როდემდე გაგრძელდება მათი მოლოდინი.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ინტერვიუ

# ოთარ ხიზანეიშვილი: ახლა უფრო ვღელავ...

**ოთარ ხიზანეიშვილი თბილისის „დინამოს“ დაუბრუნდა და უკვე რამდენიმე დღეა, გუნდთან ერთად ვარჯიშობს. 30 წლის გამოცდილი მცველი, რომელსაც ეროვნული ნაკრების ფორმა 20-ჯერ მოურგია, „დინამოში“ თავისუფალი აგენტის სტატუსით ჩაირიცხა.**

**ოთარი 17 წლის ბიჭი იყო, როდესაც იოჰან ბოსკამპმა საქართველოს ნაკრებში ათამაშა და დუბლებიდან ეროვნულ გუნდში დაწინაურებულმა სკოლის მოსწავლემ უზარმაზარი პოტენციალი გამოავლინა.**

**2000-2001 წლებში მოსკოვის "სპარტაკში" თამაშობდა, 2001 წლიდან "როსტსელმაშში", 2002–2004 წლებში „დინამოში“ დაბრუნდა, მაგრამ შემდეგ იყო "ფრაიბურგი" (2005-2008), "აუგსბურგი" (2008-2010), მახაჩყალის "ანჟი" (2010).**

**სამწუხაროდ, ნიჭიერი მცველის კარიერა ისე ვერ აეწყო, როგორც მას წარმოედგინა და ბოლოს უსტ-კამენოგორსკის "ვოსტოკში" ალმოჩნდა, მაგრამ თბილისის "დინამოში" დაბრუნება აიმედებს, რომ ჯერ კიდევ შეძლებს დიდი ფეხბურთის თამაშს - 30 წელი კი კატასტროფული ასაკი არ არის.**

**- ბოლოს "ოლექსანდრიადან" ტრავმის გამო წამოხვედი. ახლა რა მდგომარეობაში ხარ?**

- ფეხის კუნთის მცირე ნაწილი მქონდა გაწყვეტილი, მაგრამ ტრავმა მოვირჩინე, ერთი კვირაა დღეში ორჯერ ვვარჯიშობ და მიმაჩნია, რომ ფორმის 70 პროცენტი ალვიდგინე. თავს უკვე ნორმალურად ვგრძნობ და მალე თამაშსაც შევძლებ.

"ზესტაფონთან" მატჩამდე მწვრთნელი მელაპარაკა, მაგრამ იმ დონეზე მზად არ ვარ, 90 წუთი რომ ვითამაშო, სრულად დავიხარჯო და გაუმართლებელ რისკს ვერიდები. შემდეგი თამაშისთვის კი, შესაძლოა, მზად ვიყო.

თანაც დღეში ორჯერადი ვარჯიშებით ორგანიზმი ცოტა გადამეღალა, ხვალიდან კი დატვირთვებს ოდნავ შევამსუბუქებ, ჯანი რომ მოვიდეს. დანარჩენს დრო გვიჩვენებს.

**- ბოლოს "ოლექსანდრიაში" იყავი და კონტრაქტზე სიტყვიერადაც შეთანხმდი.**

- თითქმის ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, პრეზიდენტთან პირობებზე მოვილაპარაკეთ და ერთწლიან კონტრაქტს ვაწერდი ხელს, უკრაინულ გაზეთებშიც დაიწერა, რომ "ოლექსანდრიაში" ვითამაშებდი, მაგრამ პირველი შეკრების დასრულებამდე ორი დღით ადრე ტრავმა მივიღე და გუნდი დავტოვე. სამწუხაროდ, ასეთი რამ ხდება.

**- ეროვნულ ნაკრებში დებიუტის შემდეგ შენს თავზე ერთი წისქვილის ქვა არ დატრიალებულა. მაგრამ იმასაც ამბობენ, დიდი მწუხარება დიდი სიხარულის დასაწყისიაო. "დინამოში" მოხვედრაც დამაიმედებელია.**

- 30 წელი არაა პატარა ასაკი, მაგრამ ჩემი აზრით, ფეხბურთში მთავარი მონდომებაა, მით უფრო, მცველისთვის, გამოცდილება კი მაქვს. ჩემს ასაკში ფეხბურთზე ხელის ჩაქნევა ნაადრევია. მაგრამ წინასწარ ლაპარაკი არ მინდა.

**- "დინამოს" ვებგვერდთან ემოციური კომენტარი გააკეთე - ბაზაზე შემოსვლის დროს, მგონი, ახლა უფრო ვღელავდი, ვიდრე პირველად მოსვლისასო.**

- ეს სიტყვები შემთხვევით არ მითქვამს, "დინამოში" დაბრუნებისას მართლაც ვინერვიულე, რალაც სხვა შეგრძნება იყო, სიხარულიც, ბედნიერებაც. აქ ავიდგი ფეხი და თავი პროფესიონალად ვიგრძენი...

**- ძველ და ახალ "დინამოს" შორის რა განსხვავებას ხედავ?**

- დრო გავიდა და გუნდი ძალიან შეიცვალა, პროფესიონალურად გაზრდილია. ახლა ყველაფერია, კაცმა მხოლოდ ფეხბურთზე რომ იფიქროს, დაწყებული საცხოვრებელი კორპუსით, სავარჯიშო პირობებითა და კვების ბლოკით დასრულებული.

სხვათა შორის, ვერ ვიტყვი, რომ "დინამოს" მოსკოვის "სპარტაკზე" ან "ფრაიბურგზე" ნაკლები ბაზაზე აქვს. ისიც მომეწონა, ყველა თავის საქმეს რომ აკეთებს, ისევე როგორც ევროპაშია. ამას საქართველოში მიჩვეული არ ვიყავი და გაოცებული დავრჩი.

**- უკრაინა-ყაზახეთში გითამაშია და საინტერესოა, სათამაშო კლასით "დინამოს" "ოლექსანდრიასთან" და "ვოსტოკთან" შედარება.**

- დიდი ხანი არ არის, რაც გუნდში ვარ. ჯერ მხოლოდ ხუთიოდე ვარჯიშსა და მარტვილის "მერანთან" შეხვედრას დავესწარი. ასე რომ, გუნდზე სრული წარმოდგენა არ გამაჩნია, მაგრამ ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ "ოლექსანდრიას" არც ბაზით ჩამოუვარდება და არც ფეხბურთელებით. "დინამოსა" და "ვოსტოკის" შედარება კი არ შეიძლება. სიმართლე გითხრათ, ყაზახეთის ჩემპიონატი, მოედნები და მათი მიდგომები არ მომეწონა, თითქოს ჩემპიონატს დავალებით ატარებენ, მათი სხვა მიზანი ვერ დავინახე. თუმცა რამდენიმე გუნდი შედარებით გამოირჩევა და რომ იცოდეთ, საკმაოდ დიდ ფულსაც იხდიან.


ოთარ ხიზანეიშვილი

**- საერთოდ, ყაზახეთში როგორ ალმოჩნდი?**

- მაშინ "ანჟიში" არეულობა იყო, კერიმოვი მერე მოვიდა. გუნდთან კონტრაქტი ერთ წელიწადში მიმთავრდებოდა, როდესაც საკმაოდ საინტერესო წინადადება მივილე. გაჯიევს ვთხოვე და გამიშვა. სამწუხაროდ, მენეჯერმა ბევრი მოითხოვა და დაპირებულ გუნდში ვერ წავედი. ასე დავრჩი უგუნდოდ და ისეთ მდგომარეობაში ჩავვარდი, ყაზახეთში წასვლაც მილირდა.

**- გულახდილად ვთქვათ, ნაკრებში მოხვედრის იმედი კიდევ გაქვს?**

- უიმედოდ არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ 2007 წელს ტოპმიოლერმა გამომიძახა და მას შემდეგ ნაკრებში ალარ მითამაშია. ნაწყენი არავისზე არ ვარ. ნაკრების მწვრთნელი რომ ვყოფილიყავი, ჩემნაირ მდგომარეობაში მყოფ მოთამაშეს არ გამოვიძახებდი. ჯერ იყო, ცხოვრებისეული პრობლემები შემექმნა და "ფრაიბურგიდან" "აუსბურგში" წავედი, მაგრამ იმედი მაქვს, რომ მაშინდელს ახლა მაინც გამოვასწორებ. ხომ იცით, გაჭირვებულს ქვა ალმართში დაეწიაო, ჯვარედინი იოგი გამიწყდა, 2008-დან 2010 წლამდე ფსიქოლოგიური და ჯანმრთელობის პრობლემები მქონდა, მაგრამ მადლობა ღმერთს, ეს ყველაფერი დავძლიე. მჯერა, დავდგები ფეხზე და კიდევ არის შესაძლებელი დიდ ფეხბურთში დაბრუნება. ახლა მხოლოდ ფეხბურთზე ვფიქრობ. დიდი მადლობა მათ, ვინც მენდო და "დინამოში" დამაბრუნა. ამ ხალხის იმედები უნდა გავამართლო, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს.

**მერაბ მამულაშვილი**

U 19

## ხოჭოლავა ელიტ-რაუნდში ვერ ითამაშებს


დავით ხოჭოლავა

**ოთარ კორღალიძის** ხელმძღვანელობით, საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები კვიპროსში ემზადება. გუნდმა შეკრება რომ დაიწყო, ახალი მთავარი მწვრთნელის სიაში არ იყვნენ "დინამოს" ძირითადში დაწინაურებული **არჩილ ტვილდიანი** და **დავით ხოჭოლავა**. ტვილდიანი თბილისური კლუბის ძირითად შემადგენლობაში თამაშობს და კორღალიძემ მიზანშეუწონლად ჩათვალა მისი გუნდიდან მოწყვეტა, ხოჭოლავა კი ტრავმირებულია.

ხოჭოლავამ ფეხი "დინამოს" ესპანურ შეკრებაზე დაიზიანა - მას შემდეგ 18 წლის მცველი მოედანს ვერ დაუბრუნდა.

როდესაც ხოჭოლავას ამბით დავინტერესდით, ალმოჩნდა, რომ ის სარეაბილიტაციო კურსის გასავლელად გერმანიაში მიემგზავრება. მაგრამ ყველაზე სამწუხარო ესაა: როდესაც ფეხბურთელს ვკითხეთ, შეძლებს თუ არა მაისში ხორვატიაში გასამართავი ელიტ რაუნდისთვის მოედანზე დაბრუნებას, სამწუხარო პასუხი მივიღეთ – ის თამაშს მხოლოდ სექტემბრისთვის მოახერხებს.

დავით ხოჭოლავას არყოფნა 19-წლამდელთა ნაკრებისთვის დიდი დანაკლისი იქნება, რადგან ის გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე და ლიდერია.

**მერაბ მამულაშვილი**

საკლუბო რეიტინგი

# ქართული კლუბები ახალ საუკუნეში

**ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ (IFFHS), რომელიც ყოველთვიურად მსოფლიოს საკლუბო რეიტინგს გვთავაზობს, ამჯერად XXI საუკუნის განვლილი წლების მონაცემები შეაჯამა და შეადგინა როგორც მსოფლიო, ასევე კონტინენტური რეიტინგები. კლუბები სარეიტინგო ქულებს საერთაშორისო ტურნირებზე ნაჩვენები შედეგების მიხედვით ილებენ.**

**დავიწყოთ XXI საუკუნის მსოფლიო რეიტინგით, სადაც 1000 კლუბია წარმოდგენილი. ქართული კლუბებიდან აქ საუკეთესო პოზიცია, 217-ე, თბილისის "დინამოს" უკავია, დანარჩენების მდგომარეობა კი ასეთია:**

418. ზესტაფონი
464. ვიტ ჯორჯია
534. მეტალურგი
733. ტორპედო
777. ლოკომოტივი
797. სიონი

**მსოფლიოს საუკეთესო ათეული ასეთია:**

1. ბარსელონა (ესპანეთი)
2. მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი)
3. არსენალი (ინგლისი)
4. რეალი (ესპანეთი)
5. ინტერი (იტალია)
6. ბაიერნი (გერმანია)
7. ლივერპული (ინგლისი)
8. მილანი (იტალია)
9. ჩელსი (ინგლისი)
10. ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)

გადავინაცვლოთ ევროპულ რეიტინგში, სადაც 600 კლუბია შეყვანილი. საქართველოდან აქაც "დინამო" ლიდერობს, რომელიც 128-ე ადგილზეა.

224. ზესტაფონი
252. ვიტ ჯორჯია
291. მეტალურგი
383. ტორპედო
399. ლოკომოტივი
408. სიონი
592. ამერი

როგორც ხედავთ, ამ სიაში უკვე ალარარსებული "ამერიც" მოხვდა. შეგახსენებთ, ამ სიმპათიურმა თბილისურმა კლუბმა ევროთასებზე ორჯერ იასპარეზა.

ევროპული კლუბების საუკეთესო ათეული კი ასე გამოიყურება:

1. ბარსელონა (ესპანეთი)
2. მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი)
3. არსენალი (ინგლისი)
4. რეალი (ესპანეთი)
5. ინტერი (იტალია)
6. ბაიერნი (გერმანია)
7. ლივერპული (ინგლისი)
8. მილანი (იტალია)
9. ჩელსი (ინგლისი)
10. რომა (იტალია)

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

### მანჩესტერ სიტი–ჩელსი 2:1

**მანჩესტერ სიტი** (4-2-3-1): ჰარტი – კოლოტურე, რიჩარდსი, კლიში, საბალეტა – დე იონგი (66. ტევესი), იაია ტურე - ნასრი, დ. სილვა (76. ჯეკო), აგუერო – ბალოტელი (46. ბერი)

**ჩელსი** (4-3-3): ჩეხი – კოული, გ. კეჰილი, ივანოვიჩი (20. ბოსინგვა), ლუისი – ლემპარდი, ობი მიკელი, მეირელეში (58. ესიენი) - რამირესი, მატა, ტორესი (73. დროგბა)

**გოლები:** 0:1 გ. კეჰილი (60), 1:1 აგუერო (78-პენ), 2:1 ნასრი (86)

**გაფრთხილება:** ნასრი - მატა, ლემპარდი

**კარში დარტყმა:** 16-5(8-2), **კუთხური:** 11-4, **ჯარიმა:** 10-8, **თამაშგარე:** 3:2 **ბურთის ფლობა:** 61%-39%

მაყურებელი: 46 324

### ტოტენჰემი–სტოკ სიტი 1:1

**ტოტენჰემი** (4-4-2): ფრიდელი – კაბული, კინგი (83. ნელსენი), ასუ ეკოტო, უოლკერი – კრანჩარი (47. დეფო), მოდრიჩი, პარკერი, ბეილი - ვან დერ ვაარტი, საა (73. დოს სანტოსი)

**სტოკ სიტი** (4-4-2): ბეგოვიჩი – ჰუთი, უილკინსონი, შოუკროსი, უილსონი – პენანტი, დიაო (26. უელანი), პალასიოსი (57. უაიტჰედი), ჯერომი (83. დელაპი) – კრაუჩი, უოლტერსი

**გოლები:** 0:1 ჯერომი (75), 1:1 ვან დერ ვაარტი (90)

**გაფრთხილება:** ვან დერ ვაარტი - პალასიოსი

**კარში დარტყმა:** 14-8(8-2), **კუთხური:** 13-1, **ჯარიმა:** 11-11, **თამაშგარე:** 1:4 **ბურთის ფლობა:** 61%-39%

მაყურებელი: 35 172

### ევერტონი–არსენალი 0:1

**ევერტონი** (4-4-2): ჰოვარდი – დისტენი, ჰეიტინგა, ბეინსი, ჰიბერტი – ფელაინი, პიენაარი, დრენტე (79. ანიჩებე), ოსმანი (78. გუიე) – ტ. კეჰილი (87. სტრაკუალურსი), იელავიჩი

**არსენალი** (4-4-2): შჩესნი – ვერმალენი, კოშელნი, გიბსი, სანია – არტეტა, სონგი, როსიცკი (88. ჯურუ), რემსი – უოლკოტი (79. ჟერვინიო), ვან პერსი

**გოლები:** 0:1 ვერმალენი (8)

**გაფრთხილება:** ტ. კეჰილი, პიენაარი - სანია

**კარში დარტყმა:** 4-10(1-6), **კუთხური:** 4-6, **ჯარიმა:** 13-14, **თამაშგარე:** 10:2 **ბურთის ფლობა:** 52%-48%

მაყურებელი: 30 330

### ქუინზ პარკი–ლივერპული 3:2

**ქუინზ პარკი** (4-4-2): კენი – ონუოჰა, ა. ფერდინანდი, ა. ტრაორე (46. ტაივო), ლ. იანგი – დერი, დიაკიტე, ბარტონი (72. მაკი), ტაარაბტი – ზამორა, სისე (88. ბუჟაკი)

**ლივერპული** (4—4-1-1): რეინა – შკრტელი, კარაგერი, ენრიკე, კელი (34. კოატესი) – ადამი (46. ჰენდერსონი), კუიტი სპირინგი, დაუნინგი - ჯერარდი – სუარესი (82. კეროლი)

**გოლები:** 0:1 კოატესი (54), 0:2 კუიტი (72), 1:2 დერი (77), 2:2 სისე (86), 3:2 ბუჟაკი (90)

**გაფრთხილება:**

**კარში დარტყმა:** 13-3(8-1), **კუთხური:** 4-4, **ჯარიმა:** 10-9, **თამაშგარე:** 3:2 **ბურთის ფლობა:** 51%-49%

მაყურებელი: 18 033

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუნაიტედი | 29 | 22 | 4 | 3 | 73-27 | 70 |
| 2. სიტი | 29 | 22 | 3 | 4 | 71-21 | 69 |
| 3. არსენალი | 29 | 17 | 4 | 8 | 58-39 | 55 |
| 4. ტოტენჰემი | 29 | 16 | 6 | 7 | 53-35 | 54 |
| 5. ჩელსი | 29 | 14 | 7 | 8 | 49-34 | 49 |
| 6. ნიუკასლი | 29 | 13 | 8 | 8 | 41-41 | 47 |
| 7. ლივერპული | 29 | 11 | 9 | 9 | 35-29 | 42 |
| 8. სუონსი | 29 | 10 | 9 | 10 | 34-34 | 39 |
| 9. სანდერლენდი | 29 | 10 | 7 | 12 | 36-33 | 37 |
| 10. ევერტონი | 29 | 10 | 7 | 12 | 28-32 | 37 |
| 11. სტოკ სიტი | 29 | 10 | 7 | 12 | 28-40 | 37 |
| 12. ფულჰემი | 29 | 9 | 9 | 11 | 37-40 | 36 |
| 13. ვესტ ბრომვიჩი | 29 | 10 | 6 | 13 | 35-38 | 36 |
| 14. ნორვიჩი | 29 | 9 | 9 | 11 | 39-46 | 36 |
| 15. ასტონ ვილა | 28 | 7 | 12 | 9 | 31-35 | 33 |
| 16. ბლექბერნი | 29 | 7 | 7 | 15 | 42-60 | 28 |
| 17. ქუინზ პარკი | 29 | 6 | 7 | 16 | 32-50 | 25 |
| 18. ბოლტონი | 28 | 7 | 2 | 19 | 31-57 | 23 |
| 19. უიგანი | 29 | 4 | 10 | 15 | 25-54 | 22 |
| 20. ვულვზი | 29 | 5 | 7 | 17 | 30-63 | 22 |

**ბომბარდირები:** 26 - რობინ ვან პერსი (არსენალი); 20 - უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი); 17 - სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი), 16 - დემბა ბა (ნიუკასლი); 14 - იაკუბუ აიგბენი (ბლექბერნი)

**მომდევნო ტური:**

24 მარტი: ჩელსი-ტოტენჰემი, არსენალი-ასტონ ვილა, ბოლტონი-ბლექბერნი, ლივერპული-უიგანი, ნორვიჩი-ვულვერჰემპტონი, სანდერლენდი-ქუინზ პარკი, სუონსი-ევერტონი, სტოკ სიტი-მანჩესტერ სიტი

25 მარტი: ვესტ ბრომვიჩი-ნიუკასლი

**ლევან ბიბილაშვილი**




● იტალიის თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი

**ნაპოლი-სიენა 2:0 (I მატჩი 1:2)**

გოლები: 1:0 ვერგასოლა (11 ს.კ.), 2:0 კავანი (31)

**ფინალი. 20 მაისი**

## იუვენტუსი-ნაპოლი

● გერმანიის თასი. 1/2 ფინალი

**მიონხენგლადბახი-ბაიერნი 0:0 (2:4 პენ)**

**ფინალი**

## დორტმუნდი-ბაიერნი

● მარსელის ოლიმპიკი

# დეშამს არაფერი ემუქრება



ვენსან ლაბრუნი

სწორედ ამ დღეებში ვწერდით, რომ **დიდიე დეშამი** პრაქტიკულად შეეგუა იმას, რომ სეზონის ბოლოს "ველოდრომიდან" წასვლა მოუწევს, რადგან მისი ხელმძღვანელობით გუნდი "ზომაზე მეტად" უმოტივაციოდ გამოიყურება. სხვას ვერაფერს დავაბრალებთ იმას, რაც 20 მარტს საღამოს მოხდა – "მარსელმა" საფრანგეთის თასის 1/4-ფინალში მესამელიგელ "კევილისთან" წააგო. მიუხედავად ამ სამარცხვინო მატჩისა, მიუხედავად იმისა, რომ ეს კლუბისთვის ყველა ტურნირში ერთად მე-7 წაგება (!) იყო, "მარსელის" პრეზიდენტი **ვენსან ლაბრუნი** ვადაზე ადრე დიდიესთან თანამშრომლობის შეწყვეტას მაინც არ აპირებს. *"ყველას უნდა ეყოს სითამამე და თავისი წილი პასუხისმგებლობა იკისროს. მე პირადად დეშამს მხარს ვუჭერ და ბოლომდე მასთან ერთად დგომას ვაპირებ. ჩვენ ვალდებულნი ვართ "მარსელის" ღირსების გადასარჩენად ვიზრუნოთ. ამ ეტაპზე პრიორიტეტებს შორის ჩემპიონატის რაც შეიძლება მაღალ საფეხურზე დასრულებაა. თასიდან გამოვარდნას ერთადერთი მინუსი აქვს: სათამაშო გრაფიკი ბევრად უფრო შემსუბუქდება,"* – აცხადებს ლაბრუნი.

რაც შეეხება თავად მწვრთნელს. ის აცხადებს: *"იცით რა? ყველა დამარცხება ძალიან მძიმე გადასატანია, მაგრამ ასეთი წაგებები, რაც დღეს საღამოს ვიწვნიეთ, სხვებზე მტკივნეულია. მინდა მეტოქეს მივულოცო ეს წარმატება და ვაღიარო, რომ პლეი ოფების შეხვედრებში გუნდმა სწორედ ასე უნდა ითამაშოს. ცნება "ყველაფერში დამნაშავე" დღეს საღამოს არ არსებობს. ამიტომ მხოლოდ ჩემს ფეხბურთელებსაც ვერ დავადებ ხელს და ვერც მთლიანად მე ვიკისრებ ამ ტვირთს. მართალია, ძალიან ცუდად ვითამაშეთ, მაგრამ მაინც ბოლომდე ვიბრძოდით. ყველაზე მეტად ამ თამაშში ჩვენ ფანტაზია, სიზუსტე და მოძრაობა გვაკლდა".*

● ამბები




ბუდევეინ ზენდენი

## ბლექბერნი ზენდენს იწვევს

"ბლექბერნის" მთავარი მწვრთნელის **სტივ კინის** ინიციატივით, "ვარდებმა" 35 წლის ნახევარმცველ **ბუდევეინ ზენდენს** ერთწლიანი თანამშრომლობა შესთავაზეს. შეგახსენებთ, რომ ჰოლანდიელი წინა სეზონში "სანდერლენდში" ირიცხებოდა, თუმცა "შავმა კატებმა" მასთან კონტრაქტის გახანგრძლივება აღარ ისურვეს. ბუდევეინმა ზაფხულზე ვერც სხვა კლუბი მონახა, იანვარში კი თავად არ უცდია სადმე მოწყობა. ასე რომ, 8-9 თვეა ფეხბურთელი თავისუფალი აგენტია. ამასთან ის ფეხბურთიდან წასვლას ჯერ არ გეგმავს. *"ზენდენთან მოლაპარაკება გრძელდება. ჯერჯერობით რაიმე შედეგზე ლაპარაკი ნაადრევი იქნებოდა. ფეხბურთელს საბოლოოდ გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია,"* – აცხადებს "ბლექბერნის" მთავარი მწვრთნელი.

## სენტ ეტიენი ბრალდებას უარყოფს

"სენტ ეტიენის" წარმომადგენელთა თქმით, "ლიონის" პრეზიდენტ **ჟან მიშელ ოლას** განცხადება, რომ "ჟოფრუა გიშარზე" მოგებული თამაშის შემდეგ სტუმართა ავტობუსს ადგილობრივი გულშემატკივრები დაესხნენ თავს, სიმართლეს არ შეესაბამება. *"ლიონის" ავტობუსი, სადაც კლუბის პრეზიდენტიც იჯდა, პოლიციელთა კორდონის თანხლებით გასცილდა ჩვენს სტადიონს. მათი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აბსოლუტურად ყველა ზომა მიღებული იყო. ასე რომ, შეგვიძლია "ლიონის" დელეგაციაზე თავდასხმის ფაქტი მუსიე ოლას ფანტაზიის ნაყოფად ჩავთვალოთ. ოფიციალური პირები დამემოწმებიან, რომ უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მიერ ჩატარებული მოკვლევის შემდეგ ავტობუსზე თავდასხმის არც ერთი კვალი არ აღმოჩენილა"*, - აცხადებს "სენტ ეტიენის" ერთ-ერთი ფუნქციონერი **როლანდ რომაიერი**.

## ლივერპული ნორვიჩელს აკვირდება

"ისტერნ დეილი პრესის" ცნობით, სეზონის დასრულების შემდეგ "ნორვიჩმა" შეიძლება ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი დაკარგოს. მაგალითად, ცნობილია, რომ "იადონების" 30 წლის თავდამსხმელის **გრანტ ჰოლტის** გადაბირებას "ლივერპული" აპირებს. ჰოლტი კარგ სეზონს ატარებს. მარტო პრემიერლიგაში მის ანგარიშზე 10 გოლია. 2 ბურთი მას ასოციაციის თასზეც აქვს შეგდებული, "ნორვიჩთან" ხელშეკრულება კი 2014 წელს უმთავრდება. ჰოლტის გარდა მერსისაიდელებმა 23 წლის მარცხენა ნახევარმცველის **ენტონი პიკლინგტონის** გადაბირებაც შეიძლება განიზრახონ. უკანასკნელის ანგარიშზე 7 გოლია. ამას გარდა "ნიუკასლის" მთავარმა მწვრთნელმა **ალან პერდიუმ რასელ მარტინისა** (26 წლის, მარჯვენა მცველი, კონტრაქტი 2014-მდე) და **ენდრიუ სერმანის** (25 წლის, განაპირა ნახევარმცველი, კონტრაქტი 2013-მდე) შეძენა მოისურვა. თუკი ეს კლუბები ფეხბურთელების შეძენას სერიოზულად მოინადინებენ, მიზნის მიღწევა ნამდვილად არ გაუჭირდებათ. "ნორვიჩი" პრემიერლიგაში ერთ-ერთი ყველაზე ხელმოკლე გუნდია.

## ნიუკასლი და სანდერლენდი დაჯარიმდნენ

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ პრემიერლიგის 27-ე ტურში "ნიუკასლი"-"სანდერლენდის" შეხვედრისას (1:1) ფეხბურთელებს შორის მომხდარი ინციდენტები განიხილა და ორივე კლუბი დააჯარიმა. "სქაი სპორტსის" ცნობით, "ნიუკასლი" 40 ათას ფუნტს გადაიხდის, "სანდერლენდი" – 20 ათასს. მოედანზე მყოფი ფეხბურთელების ემოციები კიდევ გასაგებია, მაგრამ ყველაზე აღმაშფოთებელი ის იყო, რომ საქმის გარჩევაში ხშირად სათადარიგოებიც კი ერთვებოდნენ.

აქვე გაცნობებთ, რომ "ნიუკასლი"-"ნორვიჩის" შეხვედრაში (1:0) ტრავმირებულმა **ტიმ კრულმა** სულ ორი დღე გააცდინა. ჰოლანდიელის თავს სერიოზული არაფერია. ის უკვე წესრიგშია და კვირას, "ვესტ ბრომვიჩთან" უკვე ძირითად შემადგენლობაში იქნება. ინფორმაცია "კაჭკაჭების" კარის დარაჯმა "ტვიტერის" საშუალებით თავად გაავრცელა.

**ლევან ბიბილაშვილი**



## უცხოური ფეხბურთი

● იტალიის თასი. ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი



არ გაგიკვირდეთ, "მილანის" მაისურში ალესანდრო დელ პიეროა

# მილანმა დამატებითს ვერ გაუძლო

### იუვენტუსი თასს მიუახლოვდა

**იუვენტუსი–მილანი 1:2 დ.დ. 2:2 (2:1)**

გოლები: 1:0 დელ პიერო (28), 1:1 მესბა (51), 1:2 მაქსი ლოპესი (81), 2:2 ვუჩინიჩი (96).

მიუხედავად იმისა, რომ პირველი მატჩი "იუვენტუსის" გასვლითი გამარჯვებით დასრულდა, "მილანის" ჩამოწერა აზრად არავის მოსვლია და როგორც განმეორებითმა მატჩმა გვიჩვენა, სრულიად საფუძვლიანადაც... ლომბარდიელებმა დიდი ბრძოლა გაუმართეს პიემონტელებს, დამატებით დროში გადაიყვანეს თამაში და მხოლოდ იქ გაუშვეს გადამწყვეტი გოლი...

თამაში მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო, თუმცა მომენტები ორივე კართან იქმნებოდა. მართალია, ფეხბურთელთა ქმედებაში წუნი საკმაოდ დიდი იყო, მაგრამ მთლიანობაში, თამაში მაინც სანახაობრივი გახლდათ. პირველი გოლი **ალესანდრო დელ პიეროს** ანგარიშზეა, რომელიც **ანტონიო კონტემ** ძირითად შემადგენლობაში დააყენა და არც წაუგია... 28-ე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც პინტურიკიო მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა, "მილანის" კიპერს დასწრებაზე აჯობა და ბურთი პრაქტიკულად დაუცველ კარში შეაგორა, 1:0. გოლით ფრთაშესხმულმა ტურინელებმა კიდევ რამდენიმე იერიში მიიტანეს მილანელთა კართან, მაგრამ **მარკო ამელია** იყო მოწოდების სიმაღლეზე.

მეორე ნახევარი უკვე „მილანის" სრული უპირატესობით წარიმართა და ეს შედეგზეც შესაბამისად აისახა. სტუმართა გამოცოცხლებაში დიდი წვლილი ცვლილებებმაც შეიტანეს, განსაკუთრებით **მაქსი ლოპესის** გამოსვლა უნდა გამოვარჩიოთ, რომელმაც თვით **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** შეცვალა. გამათანაბრებელი გოლი **ჯამელ მესბას** ანგარიშზეა, რომელიც მარჯვენა ფრთიდან ჩაკიდულ ბურთს მეტოქის საჯარიმოში დაუხვდა და ზუსტი დარტყმით შეხვედრას ინტრიგა დაუბრუნა, 1:1. ამის შემდეგ, მილანელთა უპირატესობა კიდევ უფრო გამოიკვეთა და ამან შედეგი 81-ე წუთზე გამოიღო – მაქსი ლოპესმა ბურთი მეტოქის საჯარიმოს მისადგომებთან მიიღო, კარგად შემოტრიალდა, ორ მოწინააღმდეგეს აუარა გვერდი და უძლიერესი დარტყმით **მარკო სტორარი** უშანსოდ დატოვა, 1:2. მაქსიმ მართლაც ულამაზესი გოლი გაიტანა და თამაში დამატებით დროში გადაიყვანა.

აი დამატებითში კი მილანელებს აშკარად დაღლა დაეტყოთ, რაც ნამდვილად არ არის გასაკვირი – ლომბარდიულ გრანდს ამ თამაშამდე სამ ფრონტზე უწევდა ბრძოლა, რაც პრაქტიკულად სამ დღეში ერთხელ თამაშს ნიშნავს და თუ ამას ტრავმირებულ ფრეხბურთელთა სიმრავლეს დავუმატებთ, ყველაფერი გასაგები ხდება. მოკლედ, "მილანმა" ფიზიკურად ველარ გაუძლო და **მირკო ვუჩინიჩისგან** საბედისწერო გოლი მიიღო – ჩერნოგორიელმა მეტოქის კარიდან დაახლოებით 30 მეტრში მიიღო ბურთი, უძლიერესად დაარტყა და ბრწყინვალე გოლი გაიტანა, 2:2. საერთოდ, მირკოს თამაში ცალკე აღნიშვნის ღირსია, ყველაზე სახიფათო იყო ტურინელთაგან და დამატებითშიც ისე ენერგიულად ირჯებოდა, თითქოს მთელი 90 წუთის განმავლობაში მის მაგივრად, ვინმე სხვა დარბოდა. მოკლედ, ვუჩინიჩმა ყველაზე საჭირო დროს გაისროლა და ტურინულ გრანდს იტალიის თასის ფინალური მატჩის საგზური მოუტანა.

"მილანის" მთავარმა მწვრთნელმა **მასიმილიანო ალეგრიმ** მარცხი ღირსეულად მიიღო და პრესკონფერენციაზე შემდეგი განაცხადა: *"შეგირდთა ასპარეზობით კმაყოფილი ვარ, რადგან მათ ყველაფერი გააკეთეს, რაც შეეძლოთ. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ შეცდომები არ დაგვიშვია – პირიქით, ბევრი შეცდომა დავუშვით და ამის გამო დავისაჯეთ კიდეც. უბრალოდ, გადატვირთული კალენდრის და შეთხელებული შემადგენლობის გამო, დამატებითი დრო ჩვენთვის ნამდვილი გამოცდა იყო, რომელიც ვერ ჩავაბარეთ. იძულებული გავხდი, მოედანზე ის ფეხბურთელები შემეშვა, რომლებსაც სათამაშო პრაქტიკა აკლიათ. მაქსი ლოპესით ძალიან კმაყოფილი ვარ, ყველა ეპიზოდში ბოლომდე იბრძოლა და შესანიშნავი გოლი გაიტანა. რა გაეწყობა, ღირსეულად უნდა მივიღოთ მარცხი და წინ გავიხედოთ, "იუვეს" კი ფინალში წარმატებებს ვუსურვებ".*

**ანტონიო კონტე** მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე არ გამოცხადდა და ამის საპატიო მიზეზი ჰქონდა, თამაშის მსვლელობისას იმდენი იყვირა, რომ ხმა ჩაეხლიჩა და ხეირიანად ლაპარაკის უნარი დაკარგა – ამიტომ, პრესას **ანდრეა პირლო** გაესაუბრა და შემდეგი განაცხადა: *"ფანტასტიკური შეხვედრა იყო, რომელიც არასდროს დამავიწყდება. ბედნიერი ვარ, რომ საწადელს მივაღწიეთ და ფინალში თამაშის უფლება მოვიპოვეთ. აქვე, აუცილებლად უნდა შევაქო მეტოქე, რომელმაც შესანიშნავი თამაში აჩვენა და ასევე იმსახურებდა ფინალში თამაშს. თუმცა, რას ვიზამთ, გამარჯვებული ერთი უნდა იყოს და ამჯერად, ჩვენ გაგვიმართლა".*

**ლაშა წიკლაური**

● ტრავმა

# ატალანტამ ლიდერი დაკარგა



ხერმან დენისი მინიმუმ 3 კვირას დაისვენებს

იტალიურსპორტულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, "ატალანტას" მთავარი მეგოლე **ხერმან დენისი** ვარჯიშზე დაშავდა და ფეხბურთს მინიმუმ სამი კვირით გამოეთხოვა. თანაც, ეს ექიმთა პირველადი დიაგნოზია და არ არის გამორიცხული, ტრავმა ბევრად უფრო სერიოზული აღმოჩნდეს. არადა, 30 წლის არგენტინელი ფორვარდი საუკეთესო სეზონს ატარებს, რაზეც სტატისტიკური მაჩვენებლები ნათლად მეტყველებს – დენისს 26 მატჩი აქვს ჩატარებული და 15 გოლი გატანილი. ბომბარდირთა დავაში სამხრეთამერიკელი მხოლოდ ზლატან იბრაჰიმოვიჩს, ანტონიო დი ნატალეს და ედინსონ კავანის ჩამორჩება.

აქვე ვთქვათ, რომ სულ ახლახან „ატალანტას" კიდევ ერთი შემტევი დაუშავდა და თანაც, კიდევ უფრო მძიმედ, ვიდრე დენისი – დიახ, **გვიდო მარილუნგო** ფეხბურთს სეზონის ბოლომდე ჩამოშორდა. ამრიგად, ბერგამოული გუნდის მთავარი მწვრთნელი **სტეფანო კოლანტუონო** ორი თავდამსხმელის ამარა დარჩა, რომელთაგან ერთი ვეტერანი **სიმონე ტირიბოკია**, ხოლო მეორე, 20 წლის **მანოლო გაბიადინი**. უახლოეს მატჩებში კოლანტუონო სწორედ მათ იმედზე იქნება და ვნახოთ, როგორ წარმოაჩენენ თავს.

**ლაშა წიკლაური**

● ინტერი

# როსი მორატის სამიზნეში?

### სნეიდერი კი, ალბათ, წავა

"ინტერმა" მიმდინარე სეზონი ჩააგდო და ამის თქმა უკვე თამამად შეგვიძლია. ფაქტია, რომ მილანური გრანდი ვერც სკუდეტოს მოიპოვებს, ვერც ჩემპიონთა ლიგას დაეუფლება და ვერც იტალიის თასს აიღებს – ეგ კი არა, 99%-იანი ალბათობით, "ნერაძური" ჩემპიონთა ლიგის საგზურის გარეშე რჩება, რაც კატასტროფის ტოლფასია.

იტალიელი საფეხბურთო ექსპერტები და ჟურნალისტები თანხმდებიან იმაზე, რომ კრიზისის დასაძლევად **მასიმო მორატიმ** ახალი გუნდი უნდა გააკეთოს და შესაბამისად, ზაფხულში ჯიბეზე ხელი გაიკრას. არადა, "ინტერის" პრეზიდენტს ფინანსური თვალსაზრისით ოქროს პერიოდი ნამდვილად არ უდგას, რასაც ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩენაც ემატება. ცნობილი ამბავია, რომ ევროპის უპრესტიჟულეს საკლუბო ტურნირში ასპარეზობა ფინანსური თვალსაზრისით ძალიან მომგებიანია. მოკლედ, მორატიმ ახალი გუნდი მინიმალური თანხებით უნდა გააკეთოს, თუ ამის განზრახვა საერთოდ აქვს...

"კორიერე დელო სპორტის" მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მილანური გუნდის უპირველესი სამიზნე "ვილიარეალის" იტალიელი ფორვარდი **ჯუზეპე როსი** გახლავთ, რომელიც ამჟამად ტრავმირებულია და სარეაბილიტაციო პერიოდს გადის. 25 წლის შემტევს ესპანურ კლუბთან 2016 წლამდე აკავშირებს კონტრაქტი, თუმცა აღარ მალავს, რომ კარიერის ტოპ-კლუბში გაგრძელება სურს. აი, რას ამბობს როსის პირადი აგენტი **ფედერიკო პასტორელო**:

*"ჯუზეპეს ევროპული ფეხბურთის გრანდში სურს ასპარეზობა და "ინტერი" სწორედ ასეთ გუნდად მიაჩნია. ჯერჯერობით, მილანიდან არავინ შეგვხმიანებია და თუ დაგვიკავშირდნენ, მათ წინადადებას სიამოვნებით განვიხილავთ. ისე, ჩემამდეც მოვიდა ხმები "ინტერის" როსის მიმართ დაინტერესების შესახებ, რამაც ძალიან გამახარა. მართალია, "ნერაძური" ჩემპიონთა ლიგის მიღმა რჩება, მაგრამ ვგონებ, ეს არ უნდა იყოს დამაბრკოლებელი ფაქტორი. ვნახოთ, ყველაფერი უახლოეს მომავალში გაირკვევა".*

თუ მილანელებს მართლაც სურთ ჯუზეპე როსის გადაბირება, აგენტის სიტყვები მათთვის დიდი სტიმული უნდა იყოს – თუმცა, არის კიდევ ერთი ფაქტორი და ეს ფეხბურთელის საბაზრო ღირებულებაა... "კორიერეს" ინფორმაციით, "ვილიარეალის" მესვეურები ჯუზეპეს 20 მილიონ ევროზე ნაკლებად არ შეელევიან. თანხა საკმაოდ სოლიდურია, მაგრამ თუ მასიმო მორატიმ **ვესლი სნეიდერი** სარფიანად გაასხვისა, მაშინ პრობლემა მოიხსნება.

სიტყვამ მოიტანა და ბარემ ვთქვათ, რომ სნეიდერის გადაბირება ინგლისური პრემიერლიგის გუნდებს სურთ და მასში გვარიანი თანხის გადახდასაც აპირებენ. მართალია, ვესლის გასხვისების სურვილი მილანელებს არ აქვთ, მაგრამ თავად ფეხბურთელს აშკარად აცრუებული აქვს გული "ინტერზე" და ძალით რომ არ გააჩერებენ, ესეც ფაქტია. ბოლოს მასიმო მორატის მოვუსმინოთ, რომელიც სწორედ სატრანსფერო საკითხებს შეეხო და კერძოდ, სნეიდერის შესახებ გააკეთა კომენტარი:



ჯუზეპე როსის კარიერის გაგრძელება ტოპ-გუნდში სურს

*"კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ჯერჯერობით სატრანსფერო საკითხებზე ფიქრისთვის არ მცალია. წინ სეზონის დასკვნითი ნაწილია, რომელიც მაღალ დონეზე უნდა ჩავატაროთ – სწორედ აქეთ უნდა იყოს მიმართული ჩვენი ყურადღება. რაც შეეხება სნეიდერს, მას ჩემთვის არ უთქვამს, რომ "ინტერში" თამაში აღარ სურს – თუ მეტყვის, აუცილებლად გავუშვებ, რადგან ძალით აქ არავინ გაგვიჩერებია და არც გავაჩერებთ. ჰოლანდიელი ჯერ თავის თავში უნდა ჩამოყალიბდეს, დანარჩენს კი მერე მივხედავთ".*

**ლაშა წიკლაური**

● ლევერკუზენი

# ბენდერი 2017 წლამდე

ლევერკუზენის „ბაიერის" ოფიციალურმა ვებგვერდმა გუშინ გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საყრდენმა ნახევარმცველმა **ლარს ბენდერმა** „ფარმაცევტებთან" ახალი კონტრაქტი გააფორმა, რომელსაც ვადა 2017 წლამდე აქვს. *„აქ თავს იდეალურად ვგრძნობ და მიმაჩნია, რომ „ლევერკუზენი" ჩემთვის საუკეთესო მისამართია,"* - აცხადებს 22 წლის ნახევარმცველი, რომელსაც გერმანიის ნაკრებშიც ხშირად იძახებენ ხოლმე.

**გოტფრიდ ლენცი**

გერმანიის თასი. ნახევარფინალი

# 120-წუთიანი თრილერი დორტმუნდმა მოიგო!

## „ოქროს გოლი“ 120-ე წუთზე, ბორუსია ფინალში გიუნდოგანმა გაიყვანა

| ფიურტი-ბორუსია (დ) 0:0 დ.დ. 0:1 |
|---|
| **ფიურტი (4-2-2-2):** გრიუნი (118. ფეჯიჩი) – ნერიგი, კლაინე, მავრაი, შმიდტგალი – ფიურშტნერი, პრიბი – კლაუსი (85. ასამოა), სარარერი – ოუშენი, ნიოთე (69. ცილნერი). |
| **ბორუსია /დ/ (4-2-3-1):** ვაიდენფელერი – პიჩეკი, სუბოტიჩი, ჰუმელსი, შმელცერი – ს. ბენდერი (82. გიუნდოგანი), კელი – ბლაშჩიკოვსკი, კაგავა (70. ბარიოსი), გროსკროიტცი – ლევანდოვსკი (106. პერიშიჩი). |
| **გოლი:** 0:1 გიუნდოგანი (120) |
| **გაფრთხილება:** ნერიგი, შმიდტგალი, პრიბი, ოუშენი – ლევანდოვსკი, სუბოტიჩი, ბარიოსი |
| **მაყურებელი:** 15500 |



ფიურტის მცველი ნერიგი და დორტმუნდის ნახევარმცველი გროსკროიტცი ფინალში გასასვლელად ასე იბრძოდნენ

მეორე და პირველი ბუნდესლიგების ლიდერების მატჩი, ბევრისთვის მოულოდნელად, ძალიან საინტერესო და დრამატული გამოდგა. უძველეს „შპორტპარკ-რონჰოფ-შტადიონზე“, რომელსად დღეს „ტროლი არენა“ ენოდება, „ფიურტმა“ მედგრად იბრძოლა, გერმანიის მოქმედ ჩემპიონთან ძირითად დროში 0:0 დააფიქსირა და იმ დროსლა დაეცა, როცა ყველა პენალტების სერიაზე ფიქრობდა – „დორტმუნდს“ შეცვლაზე შესულმა **ილქაი გიუნდოგანმა** 120-ე წუთზე გატანილი გოლით მოაგებინა. საფინალო სასტვენის შემდეგ კი მოედანზე შეხლა-შემოხლა დაიწყო...

დარტყმა, ძელი, ზურგი, გოლი – საფინალო სასტვენი! 120-ე წუთზე გიუნდოგანმა სწორედ ასეთი გოლი გაიტანა: მისი დარტყმის შემდეგ, ბურთი ჯერ „ფიურტის“ კარის ძელს მოხვდა, მერე მეკარე **იასმინ ფეჟიჩს** და კარში შევარდა. ამ გოლს წინ ერთობ საინტერესო ისტორია უძღოდა: ფეჟიჩი „ფიურტის“ სათადარიგო მეკარეა, რომელიც მთავარმა მწვრთნელმა **მიხაელ ბიუსკენსმა** მოედანზე 118-ე წუთზე შეიყვანა. მან ძირითადი კიპერი **მაქს გრიუნი** მხოლოდ იმიტომ შეცვალა, რომ ყველამ იცის – აყლაყუდა ფეჟიჩს პენალტების მოგერიება მასზე უკეთ ეხერხება. ვინ იცის, იქნებ გრიუნს გიუნდოგანის დარტყმა მოეგერიებინა კიდეც, რადგან მთელი მატჩი უმაღლეს დონეზე ჩაატარა...

*„წინასწარვე ვიყავით შეთანხმებულები იმაზე, რომ თუ საქმე პენალტების სერიამდე მივიდოდა, გრიუნს გამოვიყვანდი და კარში ფეჟიჩს ჩავაყენებდი. სამწუხაროდ, 120-ე წუთზე გოლი მაინც მივიღეთ,“* - განრისხებული იყო 44 წლის ბიუსკენსი, რომელსაც 2007 წელს მომხდარის გამეორება სურდა: მაშინ „ნიურნბერგის“ თავკაცი **ჰანს მაიერი** თასის ნახევარფინალში ზუსტად ასე მოიქცა, როცა „ჰანოვერთან“ მატჩში (4:2 პენალტების სერიაში) 119-ე წუთზე მოედანზე სათადარიგო მეკარე **დანიელ კლევერი** შეუშვა, ამ უკანასკნელმა კი თერთმეტმეტრიანების სერიაში ორი პენალტი მოიგერია და მატჩის გმირი გახდა. ფეჟიჩს კი არ გაუმართლა – საქმე პენალტების სერიამდე აღარ მისულა...

### კლოპი: ჩელსი არა, ისა...

*„ფაქტია, მეტოქე ნაადრევად გაეწყო იმისთვის, რომ დარჩენილ დროში გოლი აღარ გავიდოდა. მაგრამ ჩვენ სწორედ იმ ორ წუთში გავიტანეთ გოლი, რომელმაც ფინალში გაგვიყვანა. ეს ძალიან მაგარია!“* - ბრწყინვალე ხასიათზე იყო „დორტმუნდის“ თავკაცი **იურგენ კლოპი**, რომელმაც ყველაზე მეტად, რა თქმა უნდა, „ოქროს გოლის“ ავტორი შეაქო: *„ილქაი გიუნდოგანი ძალიან კარგი ფეხბურთელია, მაგრამ კარისკენ იშვიათად ურტყამს ხოლმე. სანამ მოედანზე გავიყვანდი, ვუთხარი, კარში ერთხელ მაინც დაარტყი-მეთქი და როგორც ხედავთ, დამიჯერა. იმედია, ამიერიდან უფრო ხშირად ცდის ბედს, რადგან მე ვიტყოდი, რომ ვინც კარში არ ურტყამს, გოლსაც ვერ გაიტანს.“*

მატჩის შემდეგ, ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა კლოპს ბოლო ორი დღის განმავლობაში გავრცელებულ სპეკულაციებზე კომენტარის გაკეთებაც სთხოვეს. ამ დღეებში ინგლისურ და გერმანულ პრესაში არაერთხელ დაიწერა, რომ „ჩელსის“ ბოს **რომან აბრამოვიჩს** გუნდის მთავარ მწვრთნელად სწორედ კლოპი უნდა. *„სად, სად და „ჩელსიში“ ნაღდად არ გადავალ!“* - ასეთი იყო იურგენის პასუხი.

### დორტმუნდულ-გელზენკირხენული დაპა-დაპა

მართალია, „ფიურტი“ ნამდვილად არ არის „შალკე“, მაგრამ მეორე ბუნდესლიგის ლიდერს შალკელი მწვრთნელი (ბიუსკენსი) და „შალკესთან“ ასოცირებული ვეტერანი თავდამსხმელი (**ჯერალდ ასამოა**) ჰყავს. ამიტომაც, საფინალო სასტვენის შემდეგ სწორედ მოსალოდნელი დორტმუნდულ-გელზენკირხენული შეხლა-შემოხლა დაიწყო. რაკი მსაჯმა **ფლორიან მაიერმა** გიუნდოგანის გოლის შემდეგ პირდაპირ ჩასტვინა და ფიურტელებს ანგარიშის გასათანაბრებლად ერთი წუთიც არ მისცა, მასპინძლები ამის გამო ძალიან გაბრაზდნენ – ასამოამ დორტმუნდელ **გროსკროიტცს** შეუტია! კევინი ის კაცია, ვისაც შალკელები დორტმუნდელთაგან ყველაზე მეტად ვერ იტანენ, რადგან გროსკროიტცი გელზენკირხენულ კლუბზე ყოველთვის აგდებით ლაპარაკობს.

ასამოა ამბობს, კევინი ჩემს პროვოცირებას ცდილობდაო. ასე დაიჩივლა „ფიურტის“ მწვრთნელმა ბიუსკენსმაც – გროსკროიტცმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მომაყენაო და კევინის საქციელს სამარცხვინო უწოდა. გროსკროიტცმა კი თქვა, მე მხოლოდ გიუნდოგანის გოლს და ჩვენს გამარჯვებას ვზეიმობდი, ხოლო ის ფაქტი, რომ ბიუსკენსი და ასამოა ძველი შალკელები არიან, იმ მომენტში ნამდვილად ფეხებზე მეკიდაო. ასამოამ კი მომხდარზე სერიოზული კომენტარი აღარ გააკეთა და მხოლოდ ის თქვა, კევინ გროსკროიტცზე ლაპარაკს არ ვაპირებ, ეგ ტიპი ჩემგან სერიოზულ კომენტარს არ იმსახურებსო. სამაგიეროდ, კევინი ყოფილმა გერმანელმა მსაჯმა, **მარკუს მერკმა** გააკრიტიკა - გიუნდოგანის გოლის შემდეგ მუშტებს მართლა უშნოდ იქნევდა და ვფიქრობ, ასე არ უნდა მოქცეულიყოო.

ასამოა და გროსკროიტცი ერთმანეთისკენ იწევდნენ - ისინი „ფიურტის“ მცველმა **მავრაიმ** გააშველა. ამ უკანასკნელმა მატჩის შემდეგ თქვა, კევინმა ჯერალს რასისტული შეურაცხყოფა მიაყენაო, რაც სერიოზული ბრალდებაა. გროსკროიტცი, რა თქმა უნდა, უარყოფს...

### ფიურტი: ჯერ ელიტა, მერე ახალი სტადიონი

ბიუსკენსის თქმით, „ფიურტი“ ამ ტრაგიკულ საღამოს მალე დაივიწყებს და ამიერიდან მთლიანად მეორე ბუნდესლიგაზე იქნება კონცენტრირებული, სადაც პირველ ადგილზეა და შესანიშნავი შანსი აქვს, მომდევნო სეზონში ელიტაში ითამაშოს. მომავალ უქმეებზე „ფიურტი“ **ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუეს“ ეთამაშება – იაშკა და კომპანია იმედოვნებენ, რომ ბიუსკენსის გუნდი გადაღლილი იქნება. ამასობაში, დროებით უმუშევარი მწვრთნელი **რალფ რანგნიკი**, რომელიც ახლა ტელეკომპანია „სქაის“ ექსპერტია, დარწმუნებულია იმაში, რომ „ფიურტი“ წელს პირველი ბუნდესლიგის საგზურს მოიპოვებს. აქვე იმასაც გეტყვით, რომ კლუბის ხელმძღვანელები ახალი, გაცილებით უკეთესი და დიდი ტევადობის თანამედროვე სტადიონის აშენებას გეგმავენ.

კაიზერსლაუტერნი

# დღეს პფალცში ბალაკოვს ელიან

## ეშმაკები ბულგარელ სპეციალისტს ერთ მილიონ ევროდ ყიდულობენ

გუშინდელ ნომერში ვწერდით, რომ „შალკესთან“ 1:4-ზე განადგურებისა და ბოლო ადგილზე დარჩენის შემდეგ (1. FCK-ს ბუნდესლიგაში 16-მატჩიანი მოუგებელი სერია აქვს) „კაიზერსლაუტერნის“ ხელმძღვანელებმა ლოგიკური ნაბიჯი გადადგეს და მთავარი მწვრთნელი მარკო კურცი გაათავისუფლეს. გუშინვე გაუწყეთ ისიც, რომ „ეშმაკების“ დამრიგებლის პოსტზე ფავორიტი ბულგარელი სპეციალისტი კრასიმირ ბალაკოვია, რომელსაც აქტიური სპორტული კარიერის საუკეთესო წლები სწორედ ბუნდესლიგაში აქვს გატარებული და რომელსაც ცოტა ხნის წინ ბერლინის „ჰერტას“ თავკაცობასაც უწინასწარმეტყველებდნენ.



კრასიმირ ბალაკოვი სავარაუდოდ „კაიზერის“ მთავარი მწვრთნელი გახდება

გუშინ „ბილდი“ დარწმუნებით წერდა, რომ „კაიზერსლაუტერნს“ მართლაც 45 წლის ბალაკოვი ჩაიბარებს, რომელსაც პფალცელები დღეს ელიან. ლოგიკურად, დღესვე უნდა გაფორმდეს კონტრაქტიც. ბალაკოვი უმუშევარი არ არის – იგი სპლიტის „ჰაიდუკის“ მთავარი მწვრთნელია და ამ კლუბთან ერთად გუშინ თამაში ჰქონდა. ბალაკოვს „ჰაიდუკთან“ კონტრაქტი 2013 წლამდე აკავშირებს, მაგრამ ხელშეკრულებაში ჩადებულია პუნქტი, რომლის მიხედვითაც ბალაკოვს გუნდის ნაადრევად დატოვება შეუძლია – თუკი მისი მსურველი ერთ მილიონ ევროს გადაიხდის. „ბილდის“ ცნობით, „კაიზერსლაუტერნი“ მზადაა, ბალაკოვის კონტრაქტი გამოისყიდოს.

შალკე

# ყველაფერი ჰუნტელაარისთვის!

## ჰოლანდიელის გამო „შალკე“ ფეხბურთელებს ყიდის




**კლაას-იან ჰუნტელაარმა** „შალკეში“ უდიდესი პროგრესი განიცადა და ისევ ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გოლეადორია, რაც სუპერგრანდებს შეუმჩნეველი არ დარჩათ – ჩვენი გერმანელი კოლეგები წერენ, რომ 28 წლის ჰოლანდიელი თავდამსხმელით არაერთი გრანდია დაინტერესებული, რაც აბსოლუტურად ლოგიკურია, რადგან ჰუნტელაარს „შალკეს“ ფორმით 37 მატჩში 38 (!) გოლი აქვს გატანილი. გელზენკირხენული კლუბის ხელმძღვანელები ამიტომაც ანერვიულდნენ – მათ ჰუნტელაარის დაკარგვა არ უნდათ.

გერმანული პრესის ცნობით, „შალკეს“ ბოსებს უნდათ, რომ ჰოლანდიელი გოლეადორი გუნდის ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი გახდეს. „ბილდის“ ინფორმაციით, გუნდის შეფები ჰუნტელაარს ხელფასის 8 მილიონ ევრომდე გაზრდას უპირებენ. ეს საკმაოდ დიდი თანხაა ისეთი კლუბისთვის, რომელსაც დღესდღეობით ოფიციალური ინფორმაციით 164 მილიონი ევროს ოდენობის ვალი აქვს. შესაბამისად, თუ ჰუნტელაარის შენარჩუნება უნდა, „შალკეს“ მენეჯერი **ჰორსტ ჰელდტი** იძულებულია, ზაფხულში რამდენიმე ფეხბურთელი გაყიდოს.

ფაქტია, რომ ჰელდტი პირველ რიგში იმ ფეხბურთელებს „დაერევა“, რომლებიც „შალკეში“ **ფელიქს მაგათმა** გადაიყვანა და რომლებიც გელზენკირხენულ კლუბს არაფერში გამოადგნენ. მართალია, თავად ჰუნტელაარიც მაგათის ნაყიდია, სამაგიეროდ, „დესპოტმა ფელიქსმა“ კიდევ არაერთი ისეთი მოთამაშე იყიდა, რომლებიც დღეს „შალკეს“ ვერაფერში ადგებიან. მაგალითად, **მანუელ ხურადო, სერხიო ესკუდერო** და **ალექსანდერ ბაუმიოჰანი** მუდმივად სათადარიგოთა სკამზე სხედან; **ედუ, ანტონი ანანი, ვასილიოს პლიციკასი, ჩიპრიან დეაცი, მარიო გავრანოვიჩი** და **იან მორავეკი** კი განათხოვრებულები არიან. „შალკეში“ ცხრავე მათგანი მაგათმა მიიყვანა და საერთო ჯამში, ამ ფეხბურთელების წლიური ხელფასი 15 მილიონი ევროა. ეს კი ის ფულია, რაც „შალკეს“ ჰუნტელაარის ჯამაგირის დასაფინანსებლად სჭირდება.

ამათგან, გაყიდვის უპირველესი კანდიდატი ესპანელი ნახევარმცველი ხურადოა, რომელიც „შალკეს“ 2010 წელს 13 მილიონი ევრო დაუჯდა (ხურადო გელზენკირხენში მადრიდის „ატლეტიკოდან“ გადავიდა). გაირკვა, რომ მილანის „ინტერი“ მზადაა, ხურადოს სანაცვლოდ 8 მილიონი გადაიხადოს და ფაქტია, რომ გელზენკირხენელები ამ შეთავაზებას სიამოვნებით დათანხმდებიან. ორიოდე დღის წინ ხურადომ ესპანურ გაზეთ „მარკას“ უთხრა, ზაფხულში „შალკედან“ წასვლას ვაპირებო...

ბაიერნი

# რობენი მიუნხენს ანერვიულებს

## ჰოლანდიელმა ფირფიტა შეცვალა და ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ ჩქარობს

**არიენ რობენი** მიუნხენის „ბაიერნისთვის“ ფასდაუდებელი ფეხბურთელია, რაც გასულ უქმეებზე კიდევ ერთხელ დამტკიცდა: 28 წლის ჰოლანდიელმა ბერლინის „ჰერტასთან“ 6:0-ზე მოგებულ მატჩში ჰეთ-თრიკი შეასრულა. რობენს რეკორდმაისტერთან კონტრაქტი 2013 წლამდე აქვს გაფორმებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ბავარიელებმა მასთან ახალი ხელშეკრულების დადება ზაფხულამდე უნდა მოასწრონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, არიენის „ბაიერნში“ დარჩენას სერიოზული საფრთხე დაემუქრება, უკიდურეს შემთხვევაში კი, ჰოლანდიელი „ბაიერნს“ გაისად სულაც უფასოდ დატოვებს.

„ბაიერნის“ ქომაგები ბოლო თვეებში რობენის გამო არ ნერვიულობდნენ, რადგან იანვარში არიენმა გასაგებად თქვა, რეკორდმაისტერთან ახალი კონტრაქტის გაფორმება მხოლოდ და მხოლოდ ფორმალობააო და მერე ისიც დასძინა, ეს იანვარში თუ არა, თებერვალში ან მაქსიმუმ მარტში მაინც მოხდება, ასე რომ, „ბაიერნის“ ფანებს სანერვიულო არაფერი აქვთო.

იანვარიც გავიდა და თებერვალიც, ახლა კი მარტი იწურება და რობენს ახალი კონტრაქტი ჯერ კიდევ არ გაუფორმებია. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ მან ფირფიტა შეცვალა!

*„ვერ ვიტყვი, რომ 100 პროცენტით „ბაიერნში“ ვრჩები,* - უთხრა გუშინ რობენმა „ბილდს“, *- ბოლო კვირებში რაღაც-რაღაცები მოხდა და ბევრი რამ შეიცვალა. ზედიზედ სამ მატჩში არ მიასპარეზია და ეს დრო სათადარიგოთა სკამზე გავატარე. გულახდილად ვამბობ, რომ სკამზე ჯდომა არ მსიამოვნებს. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ სულაც არაა აუცილებელი, ახალი კონტრაქტი ამ ან მომდევნო კვირაში გავაფორმო. ახლა მხოლოდ ფეხბურთზე ვარ კონცენტრირებული. თანაც, „ბაიერნთან“ ხელშეკრულება კიდევ ერთი წლით მაკავშირებს და მოკლედ, საჩქარო არაფერია.“*

ერთი სიტყვით, რობენი „ბაიერნის“ ხელმძღვანელებსა და გულშემატკივრებს ანერვიულებს. რეკორდმაისტერისთვის კარგი მხოლოდ ის არის, რომ ჰოლანდიელს ბავარიიდან აბარგებაზე ჯერჯერობით კრინტიც არ დაუძრავს.

*„არა, სხვა კლუბებს ნამდვილად არ ველაპარაკები და სანამ „ბაიერნთან“ არ გავარკვევ ურთიერთობას, არც არავის დაველაპარაკები. ცხადია, ვილაც-ვილაცები მირეკავენ და მეც არაფერს გამოვრიცხავ – ფეხბურთში ხანდახან უცნაური რაღაცები ხდება,“* - ამბობს რობენი. სამაგიეროდ, „ბაიერნთან“ ახალი კონტრაქტის გაფორმებასთან ძალიან ახლოსაა თავდამსხმელი **მარიო გომესი...**

### პისარო ისევ ბაიერნში?

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტი: „ბაიერნს“ **კლაუდიო პისაროს** დაბრუნება უნდა. ჟურნალ „შპორტ ბილდის“ ცნობით, მიუნხენური გრანდის ხელმძღვანელები „ვერდერის“ 33 წლის თავდამსხმელს ორწლიან კონტრაქტს სთავაზობენ. შეგახსენებთ, რომ პისაროს ბრემენულ კლუბთან კონტრაქტი 2013 წლის ზაფხულში უმთავრდება და „მუსიკოსებს“ მისი შენარჩუნება უნდათ. პერუელმა თვის ბოლომდე უნდა გადაწყვიტოს, აფორმებს თუ არა „ვერდერთან“ ახალ ხელშეკრულებას. შეგახსენებთ, რომ კლაუდიო პისარო „ბაიერნში“ 2001-დან 2007 წლამდე თამაშობდა და რეკორდმაისტერთან ერთად სამჯერ გერმანიის ჩემპიონი გახდა და ერთხელ გერმანიის თასი მოიგო.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



არიენ რობენს ბაიერნთან კონტრაქტი 2013 წლამდე აკავშირებს

უცხოური ფეხბურთი

ინგლისის ნაკრები

# რედნაპი, როგორც კანდიდატი



ჰარი რედნაპი

**გთავაზობთ "გარდიანის" ჟურნალისტის ჯონათან უილსონის სტატიას იმის თაობაზე, თუ რატომ შეიძლება გახდეს რედნაპის მუშაობა ინგლისის ნაკრებში წარუმატებელი. მასალას მცირედი შემოკლებით გთავაზობთ.**

## რედნაპი და მისი სქემები

"ტოტენჰემის" მარცხი "იუნაიტედთან" რალაცნაირად უცნაური გამოდგა. 60 წუთის განმავლობაში ლონდონელები უკეთ თამაშობდნენ, თუმცა მერე თავადვე აჩუქეს 2 გოლი მეტოქეს. ასეთი რამეები ხშირად ხდება ხოლმე. თავისთავად წაგება არ არის დიდი ტრაგედია, თუმცა ის შეკითხვას ბადებს **ჰარი რედნაპის** სანაკრებო კანდიდატურასთან დაკავშირებით.

"ტოტენჰემმა" მიმდინარე სეზონში 7 თამაში წააგო. აქედან ერთი "სტოკთან" დიდწილად მსაჯის შეცდომის გამო. დანარჩენებში კი ის, როგორც წესი, ბევრ გოლს უშვებს. ასეთ შეხვედრებში რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ მართალია გუნდი დიდებულად თამაშობდა, ის იყო მოწინააღმდეგე უნდა გაეტეხა, რომ საბოლოოდ მეტისმეტად გახსნილი თამაშის გამო ნადგურდებოდა. ორ მატჩში კი, პირველ წრეში "სიტისთან" (1:5) და მეორეში "არსენალთან" (2:5), 20-25 წუთის განმავლობაში რედნაპის შეგირდები სულაც უსუსურად გამოიყურებოდნენ. ამ ორმა კლუბმა "ტოტენჰემს", ვინც მუდამ 4-4-2 განლაგებას იყენებს, იოლად მოუგო ბრძოლა მოედნის ცენტრში. თანაც "არსენალმა" ეს კლასიკური 4-3-3 სისტემით შეძლო, "სიტიმ" კი 4-4-1-1-დან 4-2-3-1—ზე გარდამავალი განლაგებით. **რობერტო მანჩინის** შეგირდებიდან **სერხიო აგუერო** რეგულარულად ჩადიოდა ნახევარდაცვაში, **სამირ ნასრი** და **ჯეიმს მილნერი** კი ხშირად იწევდნენ ცენტრისკენ და რიცხობრივ უპირატესობას ქმნიდნენ ბურთის გათამაშებისას. საქმეც სწორედ ეს არის - 4-4-2 სქემით შეუძლებელია ბურთზე კონტროლის დაწესება, რადგან მეტოქეს ერთით მეტი ფეხბურთელი ყოველთვის ეყოლება. ეს სქემა უფრო ვერტიკალური თამაშისთვის არის შექმნილი და თუკი გუნდმა მაინც მოახერხა ბურთის ხელში ჩაგდება, თავისუფალ ზონებში მუდმივი ჩაწოდებებით მეტოქის დაცვას სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის, რაც "ტოტენჰემმა" "მილანთან" და განსაკუთრებით "ინტერთან" შეხვედრებში დაამტკიცა.

შეიძლება ვილაცამ თქვას, რომ ამ სქემამ "არსენალთან" თავიდან გაამართლა კიდეც, რადგან გუნდმა 2 გოლი სწრაფად გაიტანა. რეალურად კი ეს უფრო "მეთოფეთა" დაცვის სისუსტის გამო მოხდა. ორივე განაპირა მცველი წინ მიდიოდა, **ალექს სონგი** კი მათ დაზღვევას ველარ ასწრებდა. ამასთან, ერთი გოლი "დეზებმა" საეჭვო პენალტით გაუშვეს. მოვლენები ასევე რომ გაგრძელებულიყო, მაშინ ვიტყოდით, რომ რედნაპის ტაქტიკამ 100%-ით გაამართლა, მაგრამ 0:2-ის დროსაც კი იყო შეგრძნება, რომ "არსენალს" შეეძლო გათანაბრება. 1:2-ზე ამასთან დაკავშირებული ეჭვი საბოლოოდ გაიფანტა. ამას რედნაპიც მიხვდა, მაგრამ სისხლდენას ვერაფრით უშველა. რალაც წილად "არსენალს" გაუმართლა, რალაც დონეზე "ტოტენჰემს" არ ეყო ფიზიკური კონდიციები.

## ის, რაც ჰარის არ უყვარს

რედნაპს ძალიან არ უყვარს თამაშის მიმდინარეობისას ტაქტიკის შეცვლა. ის ყველანაირად ცდილობს, რისკზე არ წავიდეს და ნაუცბათევი გადაწყვეტილებების მიღება არ მოუხდეს. ამაში გასაოცარი არაფერია, მაგრამ ბოლო წლებში "ტოტენჰემის" მიღწევები გვიჩვენებს, რამდენად ეფექტური შეიძლება იყოს ასეთი მიდგომა ზოგადად. უმაღლეს დონეზე გამართულ თამაშებში შეიძლება შეიქმნას სიტუაცია, როცა ფორმაში მყოფი მეტოქის შემხედვარე გუნდი იძულებული გახდება, დაამშვიდოს თამაში, რათა რისკი მინიმუმამდე დაიყვანოს და მხოლოდ ამის მერე ეძებოს თავისი შანსები შეტევაში. სწორედ ასე მოიქცა **რობერტო მანჩინი**, როცა მისი გუნდი "არსენალს" დაეჯახა. პირველ 10 წუთში "სიტიმ" საკუთარ კართან მისასვლელი ყველა გზა გადაკეტა და ბოლოს თამაში 1:0 მოიგო. მასპინძელი მეტოქეს გახსნილ თამაშში რომ აჰყოლოდა, ქულის აღების შანსიც კი არ ექნებოდა.

მეორე მაგალითად **ანტონიო კონტე** მოვიყვანოთ. რამდენიმე კვირის წინ "მილანთან" სუფთად წაგებული პირველი ტაიმის შემდეგ 3-5-2 სქემა 4-3-3-ად აქცია. ის 1:0-ს აგებდა, მაგრამ ჩათვალა, რომ უპირველესად მეტოქე უნდა გაეტეხა. "იუვენტუსმა" თამაში ჯერ **ჯიჯი ბუფონის** კარიდან შორს გადაიტანა, შემდეგ კი შეტევებზეც დაფიქრდა და შეცვლაზე შესულმა **ალესანდრო მატრიმ** გაათანაბრა კიდეც. მატჩის შემდეგ კონტემ აღიარა, რომ მას თავდაპირველი გეგმა შეცდომით ჰქონდა არჩეული. თუმცა მან მაინც შეძლო თამაშის მიმდინარეობისას გარდატეხის შეტანა. აბსოლუტურად განსხვავებული სიტუაცია იყო "ტოტენჰემისა" და "რეალის" შეხვედრაში. **პიტერ კრაუჩის** გაძევების შემდეგ "დეზებმა" "რეალის" შემტევებს არათუ ვერაფერი მოუხერხეს, ალბათ წარმოდგენაც არ ჰქონდათ, როგორ უნდა გაეკეთებინათ ეს.

თუკი რედნაპი ინგლისის ნაკრებს მაინც ჩაიბარებს, შეიძლება ბევრი აღაფრთოვანოს მისმა თამამმა შემტევმა სტილმა. ამან შეიძლება შედეგები მოიტანოს კლასით დაბლა მდგომ გუნდებთან, მაგრამ უსიამოვნებები მას მერე დაიწყება, რაც მას კლასით თანაბარი ან აღმატებული გუნდი შეხვდება. "ტოტენჰემი" ჩემპიონატში მესამე ადგილზეა, თუმცა ორივე მანჩესტერულ კლუბთან 4 შეხვედრაში 16 გოლი გაუშვა და ამას "არსენალთან" 6 მიამატა. ეს დაახლოებით იმას ჰგავს, როცა საერთაშორისო ტურნირის პლეი ოფში იოლად გადიხარ და მერე პირველივე სერიოზულ მოწინააღმდეგესთან აგებ შეხვედრას. ნაკრებს ისეთი მწვრთნელი სჭირდება, რომელიც მაგალითად ესპანეთთან მოპოვებულ ერთბურთიან უპირატესობას როგორმე ბოლომდე შეინარჩუნებს.

მანჩესტერ სიტი

# ტევესი სწორ გზაზე

**რობერტო მანჩინის** გადაწყვეტილებით, გუშინ პირველად 6-თვიანი პაუზის შემდეგ "ჩელსისთან" შეხვედრის განაცხადში **კარლოს ტევესიც** მოხვდა. ის ისტორიები, რაც არგენტინელ ვარსკვლავს თავს გადახდა, უამრავჯერ დაგვიწერია და ახლა აღარ გავიმეორებთ. კარლოსის საქციელით ყველაზე მეტად "ქალაქელების" ვეტერანები და გულშემატკივრები იყვნენ აღშფოთებულები. ისინი ერთხმად აცხადებდნენ, რომ ხელმძღვანელობას პრინციპული პოზიცია უნდა დაეკავებინა და კარლოსი სამუდამოდ მოეკვეთა. თავდაპირველად ამას ფიქრობდა მანჩინიც, მაგრამ დროთა განმავლობაში მას ბრაზმა გადაუარა და თავადვე მოინდომა ტევესთან შერიგება. ახლა, როცა იტალიელის გუნდი უკვე თავადაა მდევრის როლში, ერთით ზედმეტი მაღალი კლასის ფეხბურთელი "ეტიჰადზე" ნამდვილად არ აწყენდათ. გუშინდელ შეხვედრამდე მანჩინიმ შემდეგი განცხადება გააკეთა: *"ყველაფერი რაც მოხდა, წარსულში დარჩა. ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ჩვენ უკვე გვქონდა მისი იმედი. ვფიქრობ, მასაც ძალიან უნდა ფეხბურთის თამაში, რადგან ეს მისი მომავლის გარანტიაა. ვარჯიშებზე ის იდეალური იყო. მეტიც, ალბათ უფრო უკეთესი, ვიდრე შარშან. მისი დაბრუნება ყველაზე მეტად მე მიხარია, რადგან კარლოსი ტოპკლასის ფეხბურთელია. ასე ვფიქრობდი მაშინაც კი, როცა ფეხბურთელთან ურთიერთობის პრობლემები გვქონდა. ამ პერიოდისთვის კარლოსი იდეალური ფორმისგან შორს დგას, თუმცა 25-30-წუთიან დატვირთვას გაუძლებს. ორი კვირის თავზე კი ის უკვე იდეალურ კონდიციაში იქნება. შეიძლება მას "ჩელსისთან" მატჩში თამაში არ მოუხდეს, მაგრამ აუცილებლად გამოვიყენებთ სხვა თამაშებისას".*



რობერტო მანჩინის თქმით, კარლოს ტევესი გამოსწორების გზას ადგას

ბოლტონი

# ბოლტონი შოკიდან გამოდის

"ბოლტონის" ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, უქმეებზე "ბლექბერნთან" 29-ე ტურის შეხვედრა დათქმულ დროს, შაბათს, ადგილობრივი დროით 15:00-ზე დაიწყება. შეგახსენებთ, რომ პრემიერლიგის აუტსაიდერებს **ფაბრის მუამბას** თავს დატრიალებული შემთხვევის გამო 2 მატჩი ("ტოტენჰემთან" თასზე და „ასტონ ვილასთან" ჩემპიონატში) ისედაც გადაედოთ. თავის მხრივ თამაშის გადატანა "ბლექბერნმაც" შესთავაზა, მაგრამ როგორც ჩანს, ბოლტონელები გონს ნელ-ნელა მოდიან. ამას ხელს ისიც უწყობს, რომ მუამბას მდგომარეობა ნელ-ნელა უმჯობესდება და შესაძლო ლეტალურ შედეგზე უკვე აღარავინ ლაპარაკობს. *"დღეს დილას ფეხბურთელებთან სპეციალური შეხვედრა ჩავატარეთ. წინა საღამოს კი მუამბას ოჯახსაც ველაპარაკეთ. ფაბრისის მამამ და მეგობარმა გოგონამ გვირჩიეს, რომ უმჯობესი იქნებოდა, თუკი ფეხბურთის თამაშს განვაახლებდით. ფეხბურთელები მათი სიტყვებით ერთი-ორად გახალისდნენ და სწორედ ამის მერე მივიღეთ გადაწყვეტილება. ჩვენ ასოციაციის თასზე თამაშსაც ვაპირებთ,"* - აცხადებს "ბოლტონის" მთავარი მწვრთნელი **ოუენ კოილი**. "ტოტენჰემისა" და "ბოლტონის" შეხვედრა ისევ "უაით ჰართ ლეინზე" გაიმართება. თარიღს ასოციაცია მოგვიანებით დაადგენს.

"ბოლტონის" ერთ-ერთი წარმომადგენელი, რომელსაც მუამბასთან პირადად გასაუბრების უფლება მიეცა, კლუბის მთავარი ექიმი **ჯონათან ტობინია**. მისი თქმით, 23 წლის ფეხბურთელის მდგომარეობა ნელ-ნელა, მაგრამ სტაბილურად უმჯობესდება. მეტიც, მისი თქმით, ავადმყოფი უკვე ახერხებს გარშემომყოფებთან ხუმრობას და მათ გახალისებას. დაბოლოს, ტობინი ჟურნალისტებს გამოუტყდა, რომ მოედნიდან გაყვანილი ფეხბურთელის გულის ცემის აღსადგენად ექიმებს 15-ჯერ დასჭირდათ დეფიბრილატორის გამოყენება.



ოუენ კოილი

შოტლანდიური ფეხბურთი

# სკანდალის გამოძახილი

შოტლანდიის საფეხბურთო ასოციაციამ 9 მარტს მის წევრ 93-ივე საფეხბურთო კლუბს გაუგზავნა მოთხოვნა, 6 აპრილამდე გაემხილათ უკანასკნელი 10 წლის ყველა შესაძლო ფინანსური ოპერაციის შესახებ, რომელთაც ისინი კავშირის წესების გვერდის ავლით ახორციელებდნენ ან დაედასტურებინათ, რომ მათი ქმედება დადგენილ ჩარჩოებში ხდებოდა. საკითხი დღის წესრიგში მას მერე დადგა, რაც "რეინჯერსის" შესახებ ანალოგიური ამბები საჯაროდ გახდა ცნობილი. ამ საქმის გამოძიება ასოციაციამ შოტლანდიის პრემიერლიგას გადაულოცა. ამასთან, გლაზგოური კლუბის აპელაციებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ის თავად განიხილავს.



დევიდ მიურეი

"ჩაფრების" ყოფილი მფლობელი **დევიდ მიურეი** დღემდე კატეგორიულად გამორიცხავს კლუბში ორმაგი კონტრაქტების არსებობას, მაგრამ ვერ უარყოფს, რომ "რეინჯერსი" თანამშრომლებისთვის ანაზღაურების გადახდისას სატრასტო ფონდებს იყენებდა. სწორედ ამ გადარიცხვების დროს დამალული გადასახადების გამოა, რომ შოტლანდიის საგადასახადო სამსახურები კლუბის წინააღმდეგ 49-მილიონიან სარჩელს ამზადებენ.

ამას გარდა "რეინჯერსში" შექმნილი კრიზისის შემდეგ საფეხბურთო ასოციაცია აპირებს გადახედოს იმ კრიტერიუმებს, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაშიც მიეცემათ ბიზნესმენებს შოტლანდიური კლუბის შეძენის შანსი. მარტის დასაწყისში ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი წარმომადგენელი გამოტყდა, რომ "რეინჯერსის" დღევანდელმა მესაკუთრე **კრეიგ უაიტმა** მოახერხა და ასოციაცია უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო. ამავეს აცხადებს დევიდ მიურეიც. ბიზნესმენის თქმით, ის ძალიან ნანობს, რომ უაიტისთვის "რეინჯერსის" მიყიდვას დათანხმდა.

ამბები

## ივანოვიჩი არსადაც არ მიდის

"ჩელსის" 28 წლის უნივერსალი მცველის **ბრანისლავ ივანოვიჩის** აგენტის განცხადებით, ხმები, თითქოს მისი კლიენტი სეზონის დასრულების შემდეგ "რომაში" ან "ნაპოლიში" აპირებდეს კარიერის გაგრძელებას, სიმართლეს არ შეესაბამება. *"იმის გამო, რომ კარიერის განმავლობაში ბრანისლავი ორჯერ იყო ახლოს იტალიაში გადასვლასთან, არ ნიშნავს, რომ ის ახლაც ამას აპირებს. ჩემი კლიენტი "ჩელსის" ძირითადი შემადგენლობის უცვლელი წევრია და კლუბთან მის ურთიერთობას იდეალური ჰქვია. ივანოვიჩი ლონდონიდან სხვაგან სათამაშოდ წასვლას არ აპირებს,"* – აცხადებს ფეხბურთელის აგენტი **ვლადო ბოროზანი**.

## როდუელის ახალი ტრავმა

"ევერტონის" 21 წლის ნახევარმცველ **ჯეკ როდუელზე** უკვე დიდი ხანია ლაპარაკობენ, როგორც დიდი პოტენციალის მქონე ფეხბურთელზე. თუმცა მას მერე, რაც ის პრემიერლიგაში გამოჩნდა, ეს კი 2007 წელს მოხდა, ბედშავს მუდმივად თან სდევს ტრავმები, რაც პოტენციალის გამოვლენაში ხელს უშლის. მიმდინარე სეზონში მას სულ 19 მატჩის ჩატარების საშუალება მიეცა, სადაც 2 გოლი აქვს გატანილი. "ლივერპულთან" გამართულ დერბიში ფეხბურთელმა მუხლი ხელახლა იტკინა და "სანდერლენდთან" უკვე ველარ შეძლო მოედანზე გამოსვლა. ის ვერც გუშინ ითამაშებდა "არსენალთან". **დევიდ მოიესის** თანაშემწის **სტივ რაუნდას** თქმით, კლუბის ექიმებს უკვე სერიოზულად აშფოთებთ ფეხბურთელის მდგომარეობა, ამიტომ ისინი კომპლექსური შემოწმების ჩატარებას აპირებენ, სადაც ნევროლოგებიც შევლენ, რათა გაირკვეს, ხომ არ არის ეს ყველაფერი დაკავშირებული ჯეკის ნერვულ სისტემასთან.

გვერდი მოამზადა
ლევან ბიბილაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეკორდი

# მესი, ფეხბურთის ჯორდანი

## 234 გოლის ანატომია




ლიონელ მესი და ისტორიული მომენტი

ერთი, რიგითი კლუბის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირობაც კი უდიდესი მიღწევა იქნებოდა ნებისმიერი, 24 წლის ფეხბურთელისთვის, მაგრამ „ბარსელონასი"? თუმცა საკვირველი რაა - ეს ფეხბურთელი ხომ **ლეო მესია. სესარ როდრიგესი** შორეულ 40-იან და 50-იან წლებში თამაშობდა, ამიტომაც ლეგენდა ხშირად არ ემთხვევა რეალობას - სტატისტიკოსებმა დაითვალეს და აღმოჩნდა, რომ „ბარსას" ლეგენდარულ ფეხბურთელს 235 კი არა 232 გოლი გაუტანია. მესიმ ეს ამბავი „გრანადასთან" თამაშის წინა დღეს შეიტყო, მას 231 გოლი ჰქონდა... არგენტინელმა სეგუნდა დივიზიონიდან აღზევებულ მამაც ანდალუსიურ კლუბთან 1 გოლი არ იკმარა - ჰეთ თრიკი შეასრულა და ახლა ის „ბლაუგრანას" ყველა დროის საუკეთესო ფორვარდია და მხოლოდ 24 წლისაა!

მართალი იყო **ვიქტორ ვალდესი**, რომელიც თამაშის შემდეგ ამბობდა: *„ლეო თავად აწესებს ახალ ნიშნულებს, რომლებიც მომავალმა თაობებმა უნდა დაძლიონ".* 8-გოლიანმა თრილერმა „ბარსას" სიხარულთან ერთად ტკივილიც მიაყენა - დაიმტვრა ერთადერთი ჯანმრთელი მარცხენა მცველი გუნდში - ბრაზილიელი **ადრიანო.** ადრიანო 10 დღეს დაისვენებს. ერიკ აბიდალის ავადმყოფობის შემდეგ, „ბარსას" დაცვის მარცხენა ფლანგი მთლად მოუშიშვლდა.

პრესკონფერენციაზე **ხოსეპ გვარდიოლამ** დიდხანს იფიქრა, ვისთვის შეედარებინა თავისი შეგირდი და ბოლოს ასე თქვა: *„მესი შეიძლება მხოლოდ ჯორდანს შეადარო, ის ისევე გამორჩეულია ფეხბურთში, როგორი გამორჩეულიც კალათბურთში მაიკ ჯორდანი იყო".*

რეკორდი ცალკე აღსანიშნავია - მსოფლიოს სპორტულმა მედიამ მესის მიღწევას (თითქმის უკლებლივ) მიუძღვნა თავიანთი გამოცემების პირველი გვერდები და მყვირალა სათაურები. მოდი, ვნახოთ როგორ მოახერხა პატარა ჯადოქარმა 234 ოფიციალური გოლის გატანა „ბარსელონას" მაისურით.

ყველაზე მეტად მესი მადრიდის „ატლეტიკოს" ერჩის - „როხიბლანკოს" კარში მას 18 გოლი აქვს გატანილი. ყველაზე მეტი გოლი (ბუნებრივია) არგენტინელმა „კამპ ნოუზე" გაიტანა - 132. 94 გოლი ლეომ სტუმრად შეაგდო, 8 - ნეიტრალურ მოედანზე.

| ვის კარში? | |
|---|---|
| 18 | ატლეტიკო |
| 14 | სევილია |
| 13 | რეალი |
| 12 | რასინგი |
| 10 | ალმერია |
| 10 | ოსასუნა |
| 10 | სარაგოსა |
| 10 | ვალენსია |
| 9 | მალიორკა |
| 8 | ბილბაო |

| როგორ? | |
|---|---|
| 185 | ცაცია |
| 37 | მარჯვენა |
| 10 | თავით |
| 2 | სხვა |

| საიდან? | |
|---|---|
| 207 | საჯარიმოში |
| 27 | საჯარიმოს გარეთ |

| ვინ უვალა? | |
|---|---|
| 31 | დანი ალვეში |
| 24 | ჩავი |
| 17 | ანდრეს ინიესტა |
| 12 | პედრო |
| 9 | ტიერი ანრი |
| 6 | ადრიანო |
| 6 | სამუელ ეტოო |
| 6 | სესკ ფაბრეგასი |
| 5 | დეკუ |
| 5 | რონალდინიო |

| სტანდარტულები | |
|---|---|
| 21 | პენალტი |
| 5 | საჯარიმო |

ყოველ ახალ სეზონში ლეო მესი ამტკიცებს, რომ მისთვის ზღვარი არ არსებობს - „გრანადასთან" მატჩში ჰეთ თრიკის შესრულების შემდეგ მის ანგარიშზე ამ სეზონში უკვე 54 გოლია. ეს კი ერთით მეტია, ვიდრე შარშანდელ სეზონში - არადა, კარგად გვახსოვს, შარშან 53 გოლის გატანა მესის უდიდეს მიღწევად ჩავუთვალეთ (დამსახურებულადაც). არგენტინელის ანგარიშზე უკვე 8 ჰეთ თრიკია (აქ ითვლება „ვალენსიასთან" შესრულებული პოკერიც და „ლევერკუზენის" კარში გატანილი 5 გოლიც). ლა ლიგაში, რომლის გასრულებამდე 10 ტური რჩება, მესი 34 გოლით ბომბარდირთა დავაში ლიდერობს.

ის საუკეთესოა, ეს უკვე ეჭვგარეშეა...

ესპანეთი. ლა ლიგა. XXVIII ტური

# მსაჯის ჯიბიდან ამოღებული ლა ლიგის ინტრიგა

„ვილიარეალისა" და „რეალის" მატჩის ოქმში შენიშნავთ, რომ მასპინძელთა არგენტინელ ფორვარდ **მარკო რუბენს** ორი ყვითელი ბარათი უწერია, მიუხედავად ამისა, ის 40 წლის მსაჯმა **პარადას რომერომ** არ გააძევა! არ გაჭრა მადრიდელთა პროტესტმაც. თუმცა მარტო ეს რომ იყოს, რა უჭირდა - მატჩის ბოლოსკენ მსაჯმა **სერხიო რამოსი, მესუთ იოზილი, ჟოზე მოურინიო** და მისი ერთ-ერთი თანაშემწე გააძევა! 9-კაციანმა „რეალმა" კი 1:1 ითამაშა. შესაბამისად, ამ ტურის შემდეგ „ბარსელონამ" კიდევ 2 ქულით შეამცირა სხვაობა და ახლა „სამეფო კლუბი" სულაც არ ჩანს მიუღწეველი - ჩემპიონი ლიდერს 6 ქულითღა ჩამორჩება.



### ოსასუნა-ხეტაფე 0:0

**ოსასუნა (4-2-3-1):** ა. ფერნანდესი - ბერტრანი, როვერსიო, ფლანიო, დამია - პუნიალი, ნეკუნამი (80. ტიმორი) - სეხუდო, რ. გარსია, ლამა (65. ლეკიჩი) - ნინო.

**ხეტაფე (4-2-3-1):** მოია - ვალერა, კატა დიასი, ალექსისი, მანე - მიჩელი, ლასენი - რიოსი (89. ხ. როდრიგესი), დ. კასტრო, გავილანი (73. კასკერო) - მიკუ (75. გუისა).

**გაფრთხილება:** ნეკუნამი, სეხუდო

**კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 16-15; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 19-12 (7-2); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 15 000

### ბარსელონა-გრანადა 5:3

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დანი ალვეში, პიკე, პუიოლი, ადრიანო (46. მასკერანო) - ტ. ალკანტარა (71. ინიესტა), ჩავი, კეიტა - სანჩესი (71. ტელიო), მესი, კვენკა.

**გრანადა (4-2-3-1):** ჟულიო სეზარი - კორტესი, მაინსი, ბ. გომესი, სიკეირა - მოისესი (69. აბელი), მ. რიკო - ხარა (46. უჩე), კ. მარტინში, ბენიტესი - იგჰალო (77. ხეიხო).

**გოლები:** 1:0 ჩავი (4), 2:0 მესი (17), 2:1 მაინსი (55), 2:2 სიკეირა (62-პენ), 3:2 მესი (68), 4:2 ტელიო (86), 5:2 მესი (88), 5:3 სიკეირა (89-პენ)

**გაფრთხილება:** კეიტა, ალვეში, მასკერანო - იგჰალო, ბენიტესი, კორტესი, მოისესი, გომესი, ხეიხო, აბელი

**გაძევება:** დანი ალვეში (88)

**კუთხური:** 4-2; **ჯარიმა:** 8-13; **თამაშგარე:** 5-3; **კარში დარტყმა:** 16-6 (9-4); **ბურთის ფლობა:** 75%-25%.

**მაყურებელი:** 62 700

### ატლეტიკო-ბილბაო 2:1

**ატლეტიკო (4-2-3-1):** კურტუა - ხუანფრანი, მირანდა, გოდინი, ფილიპე ლუიში - მ. სუარესი, გაბი - არდა თურანი (78. პერეა), კოკე (70. სალვიო), ადრიან ლოპესი (85. დომინგესი) - ფალკაო.

**ბილბაო (4-3-3):** ირაისოსი - დე მარკოსი, ხ. მარტინესი, ამორებიეტა, აურტენეჩე - ანდერი (46. სან ხოსე), იტურასპე (70. დ. ლოპესი), ი. პერესი (53. ი. გომესი) - სუსაეტა, ტოკერო, მუნიაინი.

**გოლები:** 1:0 ფალკაო (49), 2:0 ფალკაო (70), 2:1 ხ. მარტინესი (90)

**გაფრთხილება:** გაბი, ხუანფრანი, მირანდა, სუარესი - ანდერი, სან ხოსე, მარტინესი

**კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 18-8; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 21-3 (8-2); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 30 000

### სპორტინგი-მალიორკა 2:3

**სპორტინგი (4-2-3-1):** ხუან პაბლო - ლორა, ბოტია, პ. ორფილა, კანელია - გალვესი (57. ანდრე კაშტრო), ნაჩო კასესი - მენდი (72. კარმელო), ტრეხო (53. დე ლას კუევასი), კოლუნგა - ბარალი.

**მალიორკა (4-4-2):** ავატე - სენდროსი, ჩიკო, ნუნიეში, პ. კასერესი (64. ბიგასი) - ნსუე, მარტი, ტისონე, ალფარო (72. პინა) - ვიქტორი (74. ჰემედი), ალვარო.

**გოლები:** 0:1 ნუნიეში (30), 1:1 კოლუნგა (38), 1:2 ორფილა (47 ს.კ.), 2:2 ბოტია (66), 2:3 ალვარო (77)

**გაფრთხილება:** კასესი, კანელია - ტისონე, კასერესი, სენდროსი, ბიგასი

**კუთხური:** 9-3; **ჯარიმა:** 20-20; **თამაშგარე:** 2-5; **კარში დარტყმა:** 22-11 (6-4); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 18 000

### სოსიედადი-ლევანტე 1:3

**რეალ სოსიედადი (4-2-3-1):** ბრავო - ესტრადა (72. იფრანი), მ. გონსალესი, ი. მარტინესი, დე ლა ბელა - ელუსტონდო, არანბურუ - ჩაბი პრიეტო, ზურუტუზა (70. პარდო), ველა - აგირეჩე (82. ხ. ლორენტე).

**ლევანტე (4-2-3-1):** მუნუა - პ. ლოპესი, ბალესტეროსი, დ. ნავარო, ხუანფრანი - ფარინოსი, იბორა - ელ ჟარი (78. ხ. ტორესი), ბარკერო, ბოტელიო (68. რ. სუარესი) - კონე (62. ღეზალი).

**გოლები:** 1:0 ველა (5), 1:1 ბარკერო (11), 1:2 კონე (44), 1:3 ხ. ტორესი (93)

**გაფრთხილება:** ელუსტონდო, ესტრადა, გონსალესი - ნავარო, ფარინოსი, ბოტელიო, ლოპესი, ხუანფრანი, ბარკერო

**გაძევება:** ელუსტონდო (57)

**კუთხური:** 7-3; **ჯარიმა:** 9-19; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 9-10 (3-6); **ბურთის ფლობა:** 65%-35%.

**მაყურებელი:** 20 700

### ვალენსია-სარაგოსა 1:2

**ვალენსია (4-4-2):** გუაიტა - ბარაგანი, რამი, დეალბერტი, მატიო (61. ალბა) - პ. ერნანდესი (81. პიატი), ალბელდა (70. ფეგული), პარეხო, ჟონასი - ადურისი, სოლდადო.

**სარაგოსა (4-2-3-1):** რობერტო - პ. ალვარესი, პინტერი, ლანძარო, პარედესი - დუიმოვიჩი, აპონიო - ლაფიტა, აბრაამი (74. ლუის გარსია), ხუან კარლოსი (49. სუკულინი) - არანდა (63. ობრადოვიჩი).

**გოლები:** 1:0 პ. ერნანდესი (9), 1:1 აპონიო (30-პენ), 1:2 აპონიო (76)

**გაფრთხილება:** დეალბერტი, სოლდადო, ბარაგანი - ლანძარო, დუიმოვიჩი, გაგო, სუკულინი, ლაფიტა

**გაძევება:** პ. ალვარესი (21), სუკულინი (88)

**კუთხური:** 9-0; **ჯარიმა:** 8-10; **თამაშგარე:** 7-0; **კარში დარტყმა:** 28-6 (10-2); **ბურთის ფლობა:** 72%-28%.

**მაყურებელი:** 39 000

### ვილიარეალი-რეალი 1:1

**ვილიარეალი (4-4-2):** დ. ლოპესი - მარიო, საპატა, მუსაჩიო, ხ. ორიოლი - ა. ლოპესი (68. მარტინუჩო), სენა, ბრუნო, კანი (60. კამუნიასი) - მ. რუბენი (60. დე გუზმანი), ნილმარი.

**რეალი (4-3-3):** კასილიასი - არბელოა, პეპე, სერხიო რამოსი, მარსელო - ხედირა, ჩაბი ალონსო, დიარა (28. კალეხონი) - იოზილი, ბენზემა (76. იგუაინი), რონალდო.

**გოლები:** 0:1 რონალდო (61), 1:1 სენა (82)

**გაფრთხილება:** რუბენი, გასპარი, ანხელი, რუბენი, დე გუზმანი - დიარა, ალონსო, პეპე, რამოსი, ხედირა, იგუაინი

**გაძევება:** სერხიო რამოსი (85), იოზილი (86)

**კუთხური:** 5-8; **ჯარიმა:** 23-19; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 9-16 (2-6); **ბურთის ფლობა:** 32%-68%.

**მაყურებელი:** 20 500

| დღეს | |
|---|---|
| ბეტისი-ესპანიოლი | 23:00 |
| რასინგი-სევილია | 23:00 |
| მალაგა-ვალეკანო | 01:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 28 | 23 | 3 | 2 | 90-25 | 72 |
| 2. ბარსელონა | 28 | 20 | 6 | 2 | 82-22 | 66 |
| 3. ვალენსია | 28 | 13 | 8 | 7 | 44-33 | 47 |
| 4. ლევანტე | 28 | 13 | 5 | 10 | 41-38 | 44 |
| 5. მალაგა | 27 | 12 | 5 | 10 | 38-38 | 41 |
| 6. ოსასუნა | 28 | 9 | 13 | 6 | 32-41 | 40 |
| 7. ატლეტიკო | 28 | 10 | 9 | 9 | 39-34 | 39 |
| 8. ესპანიოლი | 27 | 11 | 6 | 10 | 35-36 | 39 |
| 9. ბილბაო | 28 | 9 | 10 | 9 | 43-39 | 37 |
| 10. ვალეკანო | 27 | 11 | 4 | 12 | 40-43 | 37 |
| 11. მალიორკა | 28 | 9 | 9 | 10 | 31-35 | 36 |
| 12. ხეტაფე | 28 | 9 | 9 | 10 | 28-35 | 36 |
| 13. სევილია | 27 | 8 | 9 | 10 | 27-31 | 33 |
| 14. სოსიედადი | 28 | 9 | 6 | 13 | 31-40 | 33 |
| 15. გრანადა | 28 | 9 | 4 | 15 | 27-43 | 31 |
| 16. ბეტისი | 27 | 9 | 3 | 15 | 31-41 | 30 |
| 17. ვილიარეალი | 28 | 6 | 10 | 12 | 28-42 | 28 |
| 18. რასინგი | 27 | 4 | 12 | 11 | 22-40 | 24 |
| 19. სპორტინგი | 28 | 6 | 6 | 16 | 27-53 | 24 |
| 20. სარაგოსა | 28 | 5 | 7 | 16 | 24-51 | 22 |

**ბომბარდირები:** 34 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 33 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 19 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 17 - გონსალო იგუაინი (რეალი); 15 - რობერტო სოლდადო (ვალენსია); 14 - ქარიმ ბენზემა (რეალი); 13 - ფერნანდო ლორენტე (ბილბაო), მიჩუ (რაიო ვალეკანო).

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული სპორტი

ჭიდაობა. ეროვნული გუნდები

# სალიცენზიო სამზადისი დაიწყეს




საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები უკვე მეორე დღეა, შეკრებაზეა დუშეთის ოლიმპიურ ბაზაზე, სადაც გუშინ საღამოს მას ბერძენ-რომაელთა გუნდიც შეუერთდა. ჩვენი მოჭიდავეები სალიცენზიო ტურნირებისთვის ემზადებიან და ეს შეკრებაც ამას ემსახურება. ამ რანგის პირველი შეჯიბრება 20-22 აპრილს სოფიაში ტარდება ევროპის ჭიდაობის ფედერაციის ეგიდით და იქ ლონდონის ოლიმპიადის საგზურს ფინალისტები მიიღებენ. ბულგარეთში წასვლამდე ჩვენები კიდევ ერთ შეკრებას გაივლიან ისევ დუშეთში.

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ზაზა თურმანიძემაც** და მისმა ბერძენ-რომაელმა კოლეგა **ბეგი დარჩიამაც** დუშეთში გაფართოებული შემადგენლობა წაიყვანეს - 40-40 კაცი. შეგახსენებთ, რომ „თავისუფლებს" ოთხი ლიცენზია აქვთ - 60, 74, 84 და 120 კილოგრამ წონით კატეგორიებში, ბერძენ-რომაელებს კი მხოლოდ ერთი გააჩნიათ 66 კილოგრამში. სოფიის შემდეგ მიყოლებით კიდევ ორი სალიცენზიო შეჯიბრება ტარდება, ოღონდ უკვე ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით - 27-29 აპრილს ჩინურ ტაიუანში, 4-6 მაისს კი - ჰელსინკში. ჩინეთში სამი საგზური გათამაშდება - ბრინჯაოს მედალოსნებს ერთმანეთში დააჭიდებენ, ფინეთში კი კვლავაც ორი ანუ ისევ მხოლოდ ფინალისტებზე. აქვე დავძენთ, რომ ამ ტურნირებში ქვეყანა მონაწილეს ვერ გააგზავნის იმ წონებში, სადაც უკვე მოპოვებული აქვს ლიცენზიები. ცხადია, ეს სხვებს შანსს უზრდის, თუმცა ისიც ფაქტია, რომ აქამდე არასაჭიდაო აფრიკულ-ლათინოამერიკული ქვეყნების წარმატების ფონზე მსოფლიოს პირველობაზე ძალიან ბევრი ძლიერი ევროპელი მოჭიდავე დარჩა უსაგზუროდ.

ჩვენი მწვრთნელები სალიცენზიო ტურნირებზე წასაყვან კანდიდატებს ჯერ არ ასახელებენ, თუმცა ბევრმა მეტოქემ ეს უკვე გააკეთა.

**ირაკლი თავაძე**

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

# ახალგაზრდები რიგაში

24-25 მარტს რიგაში ფრეინდელფელდსის ხსოვნის ტურნირი ტარდება ახალგაზრდა მოჭიდავეთა შორის, რომელშიც საქართველოს ბერძენ-რომაელთა ნაკრები ასეთი შემადგენლობით გამოვა: **გიზო მელაძე** (50), **რამაზ სურმანიძე, ნიკა ცეცხლაძე** (ორივე - 55), **ამირან შავაძე, ხვიჩა ჭითავა** (60), **გიორგი დავითაია, ფირუზ წულუკიძე** (66), **ლაშა გობაძე, თორნიკე ძამაშვილი** (74), **დავით ჩაკვეტაძე, რობერტ ქობლიაშვილი** (84), **იაკობ ქაჯაია, ბექა ქურცაძე** (96), **შოთა გოგისვანიძე, ლევან არაბული, ზურაბ გედეხაური** (სამივე - 120).




როგორც ვხედავთ, ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა **ვლადიმერ ადეიშვილმა** აქცენტი საქართველოს ჩემპიონატის მედალოსნებზე გააკეთა - უმეტეს წონებში ფინალისტები წაიყვანა, თუმცა რიგ შემთხვევებში კორექტივების შეტანაც მოუხდა. ასეთ წონებში ფინალისტი იმ მესამე პრიზიორმა შეცვალა, ვინაც ბრინჯაოს მედალოსანთა შეხვედრა მოიგო. ადეიშვილს რიგაში **ზაზა სილაგაძე** დაეხმარება, ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **თემურ ყაზარაშვილი** კი ტურნირზე მსაჯადაა მიწვეული.

ფრეიდენფელდსის მემორიალზე ჩვენგან თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებიც გამოვა. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ მის შემადგენლობას: **ბექა ბუჯიაშვილი** (50 კგ), **ლაშა ტალახაძე, ოთარ გოგავა**(55), **ლევან ქელეხსაშვილი, ლაშა ბიტარიშვილი** (60), **კონსტანტინე ხაბალაშვილი** (66), **ჯუმბერ ყველაშვილი** (74), **სანდრო ამინაშვილი, ლევან გოგრიჭიანი** (84), **გიორგი მეშვილდიშვილი, ომარ გუსოშვილი** (96), **გენო პეტრიაშვილი** (120). გუნდის თავკაცმა **ნუგზარ სხირელმა** აქცენტი აქაც საქართველოს პირველობის მედალოსნებზე გააკეთა.

ჩვენები რიგაში შარშანაც გამოვიდნენ ორივე სახეობაში და ახლანდელთაგან რამდენიმე მაშინაც ჭიდაობდა. განსაკუთრებით - ბერძენ-რომაელებში, თორემ „თავისუფალთა" გუნდი მას შემდეგ ლამის მთლიანად შეიცვალა. ამათ მხოლოდ ერთი ეყოლებათ მაშინდელი მონაწილე - **ლაშა ტალახაძე,** რომელიც შარშან ჩემპიონი გახდა, ოღონდ - 50-ში, წლეულს კი 55-ში გამოვა. ბერძენ-რომაელთაგან შარშან რიგაში წულუკიძემ, დავითაიამ, ქობლიაშვილმა და გოგისვანიძემ იასპარეზეს. სხვათა შორის, ოთხივემ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ნაკრების საერთო მონაგარი კი 4 ოქრო, 1 ვერცხლი და 5 ბრინჯაოა, „თავისუფლებმა" კი 2 ოქრო, 5 ვერცხლი და 1 ბრინჯაო ირგუნეს.

**ირაკლი თავაძე**

ნიჩბოსნობა



ზაზა ნადირაძე

# მინგეჩაურის გზა მცხეთაზე გადის

წლეულს 29-31 მარტს მინგეჩაური ნიჩბოსნობაში აზერბაიჯანის პრეზიდენტის თასის გათამაშებას უმასპინძლებს. საასპარეზოდ რვა ქვეყნის წარმომადგენლები მოიყრიან თავს. შეჯიბრებაში საქართველოს ნაკრების წევრებიც ჩაებმებიან. აკადემიურ ნიჩბოსნობაში, ბაიდარასა და კანოეში ეროვნული გუნდების დასაკომპლექტებლად 24-25 მარტს მცხეთასთან მტკვარზე სამივე დისციპლინაში საქართველოს საგაზაფხულო პირველობა გაიმართება. მედლებისთვის თბილისელი, მცხეთელი, ფოთელი, რუსთაველი, ქუთაისელი და დუშელი გოგონები და ვაჟები იბრძოლებენ. მოასპარეზეთა შორის არ იქნება საქართველოს საუკეთესო კანოისტი **ზაზა ნადირაძე,** რომელმაც შარშან მინგეჩაურში მსგავს შეჯიბრებაზე სხვადასხვა ქვეყნის მსოფლიოს ჩემპიონებთან და პრიზიორებთან ჭიდილში 200 და 500 მეტრზე ერთადგილიანი კანოეთი მესამე ადგილები დაიკავა. 2011 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე კი მეთხუთმეტე იყო და ლონდონის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიის მოსაპოვებლად მცირედი დააკლდა. ოთხი თვეა, ნადირაძე მონდომებით ვარჯიშობს კიევში იქაური მაღალკვალიფიციური სპეციალისტების დახმარებით. ამჟამადაც უკრაინის დედაქალაქშია და იქიდანვე გაემგზავრება პირველ მაისს პოლონურ პოზნანში, სადაც 15-17 მაისს სალიცენზიო ევროპის ჩემპიონატი ჩატარდება. ტურნირზე ბრიტანეთის დედაქალაქში გამგზავრების უფლებას უსაგზუროთა საუკეთესო სამეული მიიღებს. შარშანდელ შედეგებსა და წლევანდელი ინტენსიური მზადების პროცესს თუ გავითვალისწინებთ, არ არის გამორიცხული, ამ ტრიოში ზაზა ნადირაძეც აღმოჩნდეს და ნიჩბოსნობაში 30-წლიანი „შესვენების" შემდეგ საქართველოს ოლიმპიური თამაშების ლიცენზია მოუტანოს.

ოლიმპიადის საგზურის მოპოვების კიდევ ერთი შანსიც არსებობს: 21 წლის **ვლადა კოსიცკას** უკრაინის ნაკრების შემადგენლობაში არაერთხელ გაუმარჯვნია საერთაშორისო რეგატებში. შარშან ერთადგილიანი ბაიდარათი მან მსოფლიოს ჩემპიონატზე მე-8 ადგილი დაიკავა, მაგრამ ლონდონში წამსვლელთა შორის ვერ მოხვდა, რადგან ოლიმპიურმა ჩემპიონმა თანაგუნდელმა გაუსწრო, ქვეყანას კი ოლიმპიადაზე მხოლოდ ერთი მონაწილის გამოყვანის უფლება აქვს. ნოემბერში ვლადა კიევის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტზე გათხოვდა და გზა გაეხსნა სალიცენზიო ტურნირისკენ ჩვენი ქვეყნის სახელით (როგორც საქართველოს ნიჩბოსნობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ვიტალი გრძელიშვილმა** გვითხრა, საამისოდ უკრაინელებს დასტური მიუციათ). ახლა მთავარია, კოსიცკა პოზნანში საუკეთესო სამეულში მოხვდეს.

**ვაჟა დანელია**

ჭიდაობა. მეტოქე

# ეგვიპტელი მუმია - ოლიმპიადაზე

სალიცენზიო ტურნირები მეორე ფაზაში გადადის - პირველი მსოფლიოს ჩემპიონატი იყო, სადაც წონაში 6-6-მა საუკეთესო ფალავანმა გაინაღდა ლონდონის ოლიმპიადაზე გამოსვლა. ახლა რეგიონული პირველობების ჯერია ანუ ყოველ კონტინენტზე ამ სახის თითო შეჯიბრება ჩატარდება, მერე კი საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით კიდევ ორი ტურნირი გაიმართება. ცხადია, ამათი თარიღები ყველასთვის საერთოა, რეგიონული პირველობებისა კი განსხვავებულია, თუმცა - მცირედით. აფრიკა-ოკეანიამ, რომელიც საჭიდაო სამყაროსთვის ჯერაც ყამირია და ამიტომ ერთ ზონადაა გაერთიანებული, უკვე მოამთავრა ანალოგიური შეჯიბრება, რასაც ორიოდ დღეში პან-ამერიკაც გააკეთებს, მარტი-აპრილის მიჯნაზე კი აზიის სალიცენზიო ტურნირია. ევროპული ასპარეზობა 20-22 აპრილს სოფიაშია, რასაც საერთაშორისო შეჯიბრებები მოჰყვება.

აფრიკა-ოკეანიის ზონის სალიცენზიო ტურნირი მაროკოულ მარაკეშში გაიმართა. საინტერესოა, რომ მას ორიოდ დღით უსწრებდა წინ აფრიკა-ოკეანიის პირველობა, რომელსაც ასევე მარაკეშმა უმასპინძლა. ამ ზონიდან ჩვენთვის ყველაზე საინტერესო ეგვიპტეა, რადგან სხვებს სუსტი გუნდები ჰყავთ. რეგიონში ჭიდაობა, პრაქტიკულად, ახლა იკიდებს ფეხს, ოღონდ არაა გამორიცხული, უახლოეს მომავალში იქაურებმა ძალთა ბალანსი ბოლომდე თუ ვერ შეცვალონ, მნიშვნელოვნად დაარღვიონ მაინც - შარშან მსოფლიოს პირველობაზე აფრიკელებმა ორი საგზური მოიპოვეს. ერთი - ეგვიპტელმა ბერძენ-რომაელმა, მსოფლიოს ჩემპიონმა **მოჰამედ აბდელ ფატაჰიმ** (96), რაც დიდად გასაკვირი არაა, მაგრამ თავისუფალ სტილში მოჭიდავე ნიგერიელმა **სინივიე ბოლტიციმ** (96) კი დიდი სიურპრიზი შემოგვთავაზა დამამშვიდებლის ფინალში გასვლით. მართალია, იქ დამარცხდა, მაგრამ არათუ მისგან, ზოგადად, აფრიკელთაგანაც კი ამდენს არავინ ელოდა. იმ მსოფლიომ ძალთა გათანაბრების ტენდენცია დაადასტურა, რაც ლიდერებისთვის საყურადღებო ფაქტია - პუერტო რიკომ ვერცხლის მედალი მოიპოვა, ლიცენზიებს კი მასთან ერთად ვენესუელა და სხვა არასაჭიდაო ქვეყნებიც დაეუფლნენ. არაფერს ვამბობთ ინდოეთზე, რომელსაც უკვე მსოფლიოს ჩემპიონი და ოლიმპიური პრიზიორიც ჰყავს (დიდწილად ქართველი მწვრთნელის - **ვლადიმერ მესტვირიშვილის** დამსახურებით, რომელიც კვლავაც იქ მუშაობს).

აფრიკა-ოკეანიის ზონაში 13 ლიცენზიით ეგვიპტე დაწინაურდა. აქედან 6-6 „თავისუფლებსა" და ბერძენ-რომაელებზე მოდის, 1 - ქალებზე, სადაც ოლიმპიადის პროგრამაში სულ ოთხი წონითი კატეგორიაა და არა ვაჟებივით შვიდი. ჭიდაობის ქომაგისთვის ერთი ფრიად საინტერესო ფაქტი - მარაკეშში ლონდონის ოლიმპიადის საგზური ჩვენთვის არცთუ კარგ მოგონებად დარჩენილმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ქარამ მოჰამედ გაბერ იბრაგიმმა** მოიპოვა. ოღონდ ამჯერად - 84-ში და არა 96-ში, საიდანაც, ეტყობა, საბოლოოდ გამოდევნა ფატაჰიმ. აღსანიშნავია, რომ მარაკეშში აფრიკის პირველობაზე არც ერთს არ უჭიდავია.




ლიცენზიების რაოდენობით „თავისუფლებში" ეგვიპტეს ტუნისი მოსდევს 2 საგზურით, გვინეა-ბისაუს, ნამიბიას, სენეგალს, ამერიკის სამოას, ავსტრალიას და ნიგერიას კი თითო-თითო აქვთ. ბერძენ-რომაელებში ლიცენზია სულ ოთხ ქვეყანაზე მოდის და ყველა აფრიკულია - ეგვიპტეს ტუნისი მოსდევს 4-ით, ალჟირსა და მაროკოს კი ორ-ორი აქვთ. ამდენივე საგზური მოიპოვეს ქალებში ტუნისმა და ნიგერიამ, ეგვიპტემ, სენეგალმა, გვინეა-ბისაუმ და მადაგასკარმა კი თითო დაიმსახურეს. გაბერ იბრაგიმისა და ფათაჰის გარდა, ლიცენზიების სხვა ავტორთა გვარები (თუმცა ჭიდაობაში საგზურს ფედერაცია იღებს და არა სპორტსმენი) მკითხველს ჯერჯერობით არაფერს ეუბნება, დაწვრილებით რომ ჩამოვთვალოთ, მომავალში კი რას იზამენ, ამას დრო გვაჩვენებს.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი

# ევროპას 40 ოროსანი ჰყავს

გუშინ პლოვდივში მოჭადრაკე ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის მეორე ტურის პარტიები გაიმართა. **მიხეილ მჭედლიშვილმა,** რომელმაც პირველ ტურში მასპინძელ ტიხომირ იანევს სძლია, აზერბაიჯანელ ვუგარ რასულოვთან შეხვედრისა შუა თამაშში საგრძნობი უპირატესობა მიიღო, მაგრამ ბოლომდე ვერ შეძლო მისი რეალიზება და 50-ე სვლაზე მეტოქეს დაუზავდა. **დავით ბენიძესაც** ერთი ქულა ჰქონდა გათამაშების ცხრილში, თუმცა გუშინ სომეხ ჰრანტ მელქუმიანს ვერ გაუწია სათანადო წინააღმდეგობა და დამარცხდა. დანარჩენ ჩვენებურთა პარტიები ასე დამთავრდა: ვასილიოს კოტრონიასი (საბერძნეთი)-**დავით ლომსაძე 0,5:0,5,** პეტარ დრენჩევი (ბულგარეთი)-**ბაადურ ჯობავა 0,5:0,5,** ფრანცისკო ვალეხო (ესპანეთი)-**გაიოზ ნიგალიძე 1:0, შოთა აზალაძე**-ვიორელ იორდაჩესკუ (მოლდოვა) 1:0, ალექსანდრ დონჩენკო (გერმანია)-**ლევან ფანცულაია 0:1, ლუკა პაიჭაძე**-შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი) 0,5:0,5, **გიორგი ხელაია**-ორხან აბდულოვი (აზერბაიჯანი) 0:1.

მეორე ტურში ფავორიტები უფრო თავდაჯერებული ჩანდნენ, რაც ანგარიშებშიც აისახა: ფაბიანო კარუანა (იტალია)-ტამაშ ბანუში (უნგრეთი) 1:0, დმიტრი იაკოვენკო (რუსეთი)-დავორინ კულიშევიჩი (ხორვატია) 1:0, ბრანკო დამლიანოვიჩი (სერბეთი)-ნიკიტა ვიტიუგოვი (რუსეთი) 0:1, ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი)-რობერტ რუქი (უნგრეთი) 1:0, ბორის სავჩენკო (რუსეთი)-ვლადიმირ მალახოვი (რუსეთი) 1:0, არკადი ნაიდიჩი (გერმანია)-ვასილი პაპინი (რუსეთი) 1:0, ემილ სუტოვსკი (ისრაელი)-დარიუშ სვიერჩი (პოლონეთი) 0,5:0,5, მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი (საფრანგეთი)-ტამირ ნაბათი (ისრაელი) 1:0. ორი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ 40 მოჭადრაკე დაწინაურდა.

მე-3 ტურში ქართველები ასე დაუწყვილდნენ მეტოქეებს: ფანცულაია-ბორის გრაჩევი, ფრანკ ჰოლზკე-მჭედლიშვილი, დავიდ ჰოველი-აზალაძე, ლომსაძე-დრაგან შოლაკი, ჯობავა-ვლადიმირ ბუკალი, ბენიძე-გეორგი კჟირჩისკი, ნაიმ საჰითაჯი-პაიჭაძე, ნიგალიძე-ეპამინონდს კურუსისი, ჯახანგირ აგარაგიმოვი-ხელაია.

**ვაჟა დანელია**

საფალავნოს ფოტომატიანე



**გასწორება**

გუშინდელ ნომერში მე-11 გვერდზე რუბრიკით „საფალავნოს ფოტომატიანე" უყურადღებობით დაიბეჭდა სხვა ფოტო. გთავაზობთ წარწერის შესაბამის ფოტოს.

1973 წ. ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ევროპის ჩემპიონთა საკლუბო თასის მფლობელი, საქართველოს დინამოელთა ნაკრები. მარცხნიდან: I რიგში - ჯემალ მეგრელიშვილი, თეიმურაზ ლეჟავა, ბაქსანა ლეკვეიშვილი, თამაზ კიკნაძე, ვახტანგ ბლაგიძე; II რიგში - მიხეილ სალაძე, გურამ დათიაშვილი, ვახტანგ ბუხნიკაშვილი, თემურ ქურციკიძე, ავთანდილ მაისურაძე, ესტატე გოგლიჩიძე.




რუბრიკას უძღვება
ალექსანდრე ჯინორიძე

## გვჭირდება თუ არა საბჭოთა კავშირის პირველობა ფეხბურთში

წერილი ასეთი სათაურით 1989 წლის 6 ივნისს დაიბეჭდა "ლელოში". წერილისა და წამონწყების ავტორი გახლდათ ცნობილი კინორეჟისორი **ალექსანდრე ჟღენტი.** წერილს იმავე სახელწოდების ფილმიც მოჰყვა სტუდია „მემატიანეში", რომელიც 6 თვის განმავლობაში გადიოდა კინოთეატრებში და ისეთივე რეაქციას იწვევდა მაყურებელში, როგორც გამარჯვების გოლი! მერე რაც მოხდა, ყველამ კარგად იცის. ამ ფილმმა თავისი წვლილი შეიტანა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

სტუდია „მემატიანე". 1990.

ფილმის გადაღებიდან 20 წლის შემდეგ ქ. მილანის სპორტული ფილმების XXVII საერთაშორისო ფესტივალზე ამ სურათს გადაეცა პრიზი „სპორტის სფეროში განსაკუთრებული ღვაწლისათვის. პრიზი საქართველოსკინოსა და ტელევიზიის ფედერაციის პრეზიდენტმა, მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ ჩაიბარა.



სუმო. ჰარუ ბაშო. 11-25 მარტი

## გაგამარუ ისევ იბრძვის

გუშინ კიდევ ერთმა ქართველმა სუმოისტმა გაინაღდა ბაშოს უარყოფითი ბალანსით დასრულება - პროფესიული სუმოს პიონერმა ქართველებში, **ლევან ცაგურიამ (კოკაი)** მერვე ორთაბრძოლა დათმო ოსაკაში. დაველოდოთ, როგორ განვითარდება მოვლენები, არის იმის საფრთხეც, რომ „შავი ზღვა" მესამე დივიზიონში გავარდეს.



სამაგიეროდ, ბოლომდე იბრძვის აღმოსავლეთის კომუსუბი **გაგამარუ (თეიმურაზ ჯუღელი)**. ჩვენებური, მართალია, გვიან, მაგრამ მაინც გამოფხიზლდა და ახლა დადებითი ბალანსისთვის ყველა დარჩენილი ორთაბრძოლის მოგება ჰმართებს. გუშინ მან ოშიდაშით **იოშიკაძე** დაამარცხა და 4-7 ბალანსი გაუხდა. დღეს გაგამარუს მეტოქე პირველი მაეგაშირა **ტოჩინოვაკაა. ლევან გორგაძეზე (ტოჩინოშინი)** მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ მთელ ელიტაში ყველაზე ცუდად ოსაკაში ის ასპარეზობს (1-10).

გაზაფხულის ბაშოს ორი ლიდერი ჰყავს - 10-10 მოგება დიდ ჩემპიონ **ჰაკუჰოს** და მის მონღოლ თანამემამულე **კაკურიუს** აქვთ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**XI დღე**

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-კოტოშოგიკუ (იორიკირი), კოტოოშუ-ბარუტო (იორიტაოში), ჰარუმაფუჯი-კისენოსატო (იორიტაოში), კაკურიუ-მიოგირიუ (კატასუკაში), ტოჩინოვაკა-ამინიშიკი (ოშიდაში), **გაგამარუ**-იოშიკაძე (ოშიდაში), არანი-ტოჩიოძანი (ჰატაკიკომი), ტოკიტენკუ-**ტოჩინოშინი** (ჰატაკიკომი), ვაკაკოიუ-კიოკუტენჰო (ჰიკიოტოში), ტოიონოშიმა-ტაკაიასუ (სუკუინაგე). **ძურიო:** არავაში-**კოკაი** (ტოტარი).

**სატურნირო მდგომარეობა**

**10-1:** ჰაკუჰო (იოკოძუნა), კაკურიუ (სეკივაკე).

**9-2:** ბარუტო (ოძეკი), ჰარუმაფუჯი (ოძეკი), შოტენრო (მაეგაშირა 16)... **4-7:** **გაგამარუ** (კომუსუბი)... **1-10:** **ტოჩინოშინი** (მ 3).

**XII დღე**

(მნიშვნელოვანი წყვილები): ჰაკუჰო-კოტოოშუ, ჰარუმაფუჯი-ტოჩიოძანი, ტოიონოშიმა-კისენოსატო, ბარუტო-კოტოშოგიკუ, ამინიშიკი-მიოგირიუ, კაკურიუ-შოტენრო, **გაგამარუ**-ტოჩინოვაკა, **ტოჩინოშინი**-იოშიკაძე, ტოკიტენკუ-კიოკუტენჰო, ტაკეკაძე-არანი. **ძურიო:** **კოკაი**-კიმურაიამა.

ჩოგბურთი




## პირველი ბარიერი დაძლეულია

მაიამიში სტარტი აიღო დიდმა საერთაშორისო ტურნირმა ჩოგბურთში, რომლის საპრიზო ფონდი 4,8 მილიონი დოლარია. ძირითადი ბადის პირველ წრეში ჩვენმა თანამემამულე **ანა ტატიშვილმა** (77) ავსტრიელი **ტამირა პაშეკი** დაამარცხა. ანამ პირველი სეტი 6:4 მოიგო, მეორეში კი, 4:3-ზე ანას სასარგებლოდ, მეტოქემ ბრძოლა შეწყვიტა. მეორე წრეში ქართველის მეტოქე მე-16 ნომრად განთესილი **დომინიკა ციბულკოვაა.**

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ლელო წარმოგიდგენთ
# ქართული სპორტის ქრონიკები

მსოფლიოს ჩემპიონები საქართველოდან

## ლალი დოლიძე



დაიბადა 25.09.1958, თბილისი. **მხატვრული ტანვარჯიში.** მსოფლიოს ჩემპიონი ჯგუფურ ვარჯიშში და გუნდურ შეჯიბრებაში (1979), სსრკ ჩემპიონატის მესამე პრიზიორი თავისუფალ ვარჯიშში (1976), საერთაშორისო ტურნირებში არაერთგზის გამარჯვებული. 1992 წლიდან ავარჯიშებს იტალიელ სპორტსმენებს. მისი აღზრდილია იტალიის მრავალგზის ჩემპიონი ლაურა ძაკილი. იტალიის ტანვარჯიშის ფედერაციამ აღიარა წლის საუკეთესო მწვრთნელად (1997), ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციამ კი წლის ათ საუკეთესო მწვრთნელს შორის დაასახელა (1998). საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი. გარდაიცვალა 2005 წელს.

„ლელო"-ში 40 წლის წინათ...

## 1972 წლის 16-21 მარტი

**16 მარტი.** „ლელოში" გამოქვეყნდა იმ არბიტრთა სია, რომლებსაც რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭათ. აი ისინიც: **ნ. ამირეჯიბი, გ. სართანია, ჯ. ჯიშიაშვილი, გ. გვანცელაძე, თ. კალანდაძე** (ყველა - ფეხბურთი); **ი. ჯანგავაძე, ო. შაქარაშვილი, ჯ. ძამაშვილი** (სამივე - ხელბურთი); **ვ. ქურდაძე** (წყალბურთი), **გ. გოგიბედაშვილი** (ქართული ჭიდაობა).

**16 მარტი.** თბილისში დამთავრდა დედაქალაქის ჩემპიონატი ვაჟ მოჭადრაკეთა შორის. ჩემპიონი გახდა **დ. ჯანოევი.**

**18 მარტი.** თბილისის სპორტის სასახლემ სიმაღლეზე ხტომაში რომის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის **რობერტ შავლაყაძის** პრიზის მესამე საერთაშორისო გათამაშებას უმასპინძლა. ქალთა შორის პირველობა მოიპოვა ჩეხოსლოვაკიელმა **ა. პრასკოვამ,** ვაჟებში - ლენინგრადელმა **ი. ტარმაკმა.**

**19 მარტი.** ალენტაუნში (აშშ) გაიმართა სსრ კავშირისა და აშშ-ის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მატჩი. გაიმარჯვეს საბჭოთა ათლეტებმა. ამ წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს ქართველმა ფალავნებმა: **ლევან თედიაშვილმა, ნოდარ ხოხაშვილმა, შოთა ლომიძემ** და **ნოდარ მოდებაძემ.**

**20 მარტი.** თბილისში დამთავრდა 8 მარტისადმი მიძღვნილი ქალთა რესპუბლიკური სპარტაკიადა. პროგრამის ყველა სპორტის სახეობაში და გუნდურ ჩათვლაში პირველობა თბილისელებს ხვდათ წილად.

**21 მარტი.** ფეხბურთში სსრ კავშირის თასის მეოთხედფინალში ლვოვში ადგილობრივ „კარპატისთან" თბილისის „დინამოს" მატჩი 0:0 დაასრულა.

ქართული ხალხური თამაშები

## თარჩია

თარჩია, ძველებური ქართული ცხენოსნური თამაში. თამაშობენ მოედანზე ან მინდორზე. წინასწარ განსაზღვრავენ თამაშისათვის განკუთვნილ დროს. ჯერ თამაშში მონაწილეობის მსურველებს იწვევენ, შემდეგ თამაშის 4-ვე მონაწილე შეჯიბრებაზე დამსწრე ქალიშვილთაგან აირჩევს მსაჯს. მსაჯი თავის მხრივ ერთ-ერთ მონაწილეს მკლავზე ან საყელოზე დაუმაგრებს ფერად მანდილს (ამ მოთამაშესაც თარჩია ჰქვია). შემდეგ მოთამაშეები დასცილდებიან მსაჯს 100 მ და მსაჯის ნიშანზე თამაში იწყება. თამაშის მიზანია დაეწიონ თარჩიას, რომელიც ყოველნაირად ცდილობს თავი დააღწიოს მდევრებს და მანდილი მსაჯს დაუბრუნოს. თუ მოთამაშემ ეს მოახერხა, გამარჯვებულად ცხადდება და მსაჯი მას იმავე მანდილით აჯილდოებს, თუ რომელიმე მოთამაშე დაეწევა თარჩიას და ჩამოართმევს მანდილს, თამაში შეწყდება, მონაწილენი მანდილის ახალ პატრონს 50 მ-ით სცილდებიან და მსაჯის ნიშანზე თარჩია კვლავ იწყება.



**ლელოზე ხელმომწერთა საყურადღებოდ!**

ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.

დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.

ერთ კვირაში

**22-28 მარტი**

**22. 1976 წ.** დაიბადა **[illegible] ჯაქურაული** - ძიუდო.

**22. 1980 წ.** დაიბადა **ალექსი დოხტურიშვილი** - ბ/რ ჭიდაობა.

**23. 1912 წ.** დაიბადა **შოთა შავგულიძე** - ფეხბურთი. გარდაიცვალა 1963 წელს.

**23. 1929 წ.** დაიბადა **რაფაელ ჩიმიშკიანი** - ძალოსნობა.

**23. 1932 წ.** დაიბადა **მიხეილ ხერგიანი** - მთამსვლელი. დაიღუპა 1969 წელს.

**24. 1929 წ.** დაიბადა **პეტრე მშვენიერაძე** - წყალბურთი. გარდაიცვალა 2003 წელს.

**24. 1931 წ.** დაიბადა **ზაურ კალოევი** - ფეხბურთი. გარდაიცვალა 1997 წელს.

**24. 1953 წ.** დაიბადა **ოთარ გაბელია** - ფეხბურთი.

**24. 1974 წ.** დაიბადა **იოსებ ახალბედაშვილი** - სამბო.

**25. 1949 წ.** დაიბადა **მანუჩარ მაჩაიძე** - ფეხბურთი.

**25. 1962 წ.** დაიბადა **ემზარ გელაშვილი** - ველოსპორტი.

**26. 1934 წ.** დაიბადა **ანზორ კიკნაძე** - ძიუდო. გარდაიცვალა 1976 წელს.

**26. 1938 წ.** დაიბადა **ანატოლი მილჩენკო** - ფეხბურთი (მსაჯი). გარდაიცვალა 2011 წელს.

**27. 1937 წ.** დაიბადა **დავით გვანცელაძე** - ბ/რ ჭიდაობა. გარდაიცვლა 1984 წელს.

**28. 1976 წ.** დაიბადა **ტარიელ მელელაშვილი** - ბ/რ ჭიდაობა.

**28. 1981 წ.** დაიბადა **სოფიკო ახმეტელი** - სამთო თხილამურობა.

ფაქტები

■ **ქართული** ტანვარჯიშის ერთ-ერთი ფუძემდებელი და სპორტის მოღვაწე, „შევარდენის" მოამაგე **გაიოზ ბერელაშვილი** 1930-იან წლებში ტროცკისტობის ბრალდებით დახვრიტეს.




■ **ქართული** ჩოგბურთის ერთ-ერთი პიონერი და პირველი ოსტატი საქართველოდან **არჩილ მდივანი** ზედიზედ (1931-1935) 5 წლის განმავლობაში შედიოდა სსრ კავშირის ვაჟ ჩოგბურთელთა საუკეთესო ათეულში. 1937 წლის აპრილში მოსკოვში დააპატიმრეს. 13 სექტემბერს გაასამართლეს და იმავე დღეს დახვრიტეს. რეაბილიტირებულია 1957 წელს.

■ **მწვერვალიდან** დაშვებისას 1961 წელს უეცრად გარდაიცვალა ცნობილი მთამსვლელი **ილია გაბლიანი.**

პირველი, პირველმა, პირველად...

**პირველი** ქალთა გუნდი კალათბურთში საქართველოში შეიქმნა 1930-იან წლებში.

■ ■ ■

**პირველმა** ოფიციალური რეკორდი ცურვაში საქართველოში დაამყარა ბათუმელმა **ნიკოლოზ პაკროვსკიმ.** 1928 წელს მან 100 მ თავისუფალი სტილით 1.08,6 წუთში გაცურა.

■ ■ ■

**პირველად** საკავშირო ჩემპიონატი ჭიდაობა სამბოში მოეწყო 1939 წლის 25-26 ნოემბერს ქ. ლენინგრადში 56 ათლეტის მონაწილეობით.

TimeLine

Username: ვაჟა
Password: სიმონიშვილი

# ფაჩულია VS...

ელიბრარი

გასული კვირის „თაიმლაინი“ ხუთშაბათს შემოგთავაზეთ. მას შემდეგ ქართულ სპორტში მოულოდნელი არაფერი მომხდარა....

...ევროპის 2020 წლის ჩეპიონატის მასპინძლობის სურვილის დაფიქსირება? ასეთი სურვილი დიდი ხანია ბევრ გულშემატკივარს აქვს - ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის ყველაზე მოკლე გზა ხომ ამ შეჯიბრების მასპინძლობაა. გრძელი გზით ბევრს დავდივართ, მაგრამ ჩემპიონატზე ჯერ ვერ მოვხვდით.

...ქართველები კი არა, რუსი მორაგბეებიც შეეგუენ, რომ ჩვენს ნაკრებთან მხოლოდ დიდი სხვაობით არნაგებაზე უნდა იზრუნონ. შაბათს ვერც ეს შეძლეს და მოლოდინისამებრ 46:0 გავიმარჯვეთ.

...2008 წლის შემდეგ **ზაზა ფაჩულიასა** და ბოსტონელი **კევინ გარნეტის** დაპირისპირებები სპორტის ფარგლებს სცილდება. ასე რომ, არც მათი ორშაბათის დუელი იყო მოულოდნელი. მით უმეტეს, რომ გარნეტი, მას მერე ქართველს მატჩის წინ ხელს არ ართმევს.

დღეს მხოლოდ ერთ თემას შევეხებით – კალათბურთს. საქართველოს ნაკრების კაპიტანი ზაზა ფაჩულია ბოლო დროს „ატლანტას“ შეუცვლელ ფიგურად იქცა. ამაზე მიმოხილვებში ხშირად მოგითხრობთ ხოლმე, ახლა კი სერიალის მორიგ სერიაზე - ფაჩულია-გარნეტის არასპორტულ დაპირისპირებაზე ვთქვათ. ვფიქრობ, უმჯობესია თანმიმდევრობა დავიცვათ და გავიხსენოთ პროფესიულ კალათბურთში შებიჯების შემდეგ რამდენჯერ გაეხვა ხათაბალაში ქართველი ცენტრი.


2003, თურქეთის ჩემპიონატის ფინალი. ზაზა VS ფექერი


2008, ატლანტა-ბოსტონი. ზაზა VS გარნეტი


2011, ატლანტა-ორლანდო. ზაზა VS რიჩარდსონი


2012, ატლანტა-ბოსტონი. ზაზა VS გარნეტი


2006, საქართველო-ლუქსემბურგი. ზაზა VS ჯონსი


2011, ატლანტა-ბოსტონი. ზაზა VS ონილი


2012, ატლანტა-მაიამი. ზაზა VS ჯეიმსი

**1.** 2003 წელი. თურქეთის ჩემპიონატის ფინალი. ულქერი-ეფესი.

ამერიკაში კალათბურთელთა შეტაკებებს ლოკალური ხასიათი აქვს. თურქეთში კი გულშემატკივრებსაც უყვართ საქმეში ჩართვა. მაგალითად, 2003 წელს ჩემპიონატის ფინალში მოედანზე ორივე გუნდის ქომაგები გაცვივდნენ და სიტუაციის დაწყნარებას დიდი დრო დასჭირდა. ყველაფერი კაია ფექერმა დაიწყო: ქართველ ახალგაზრდას ეუხეშა, რაზეც ფაჩულიასგან სიტყვიერი პასუხი მიიღო. კალათბურთელებმა არაფერი დათმეს და რაც მოხდა, უკვე გითხარით.

სხვათა შორის, ამავე წელს ზაზა დრაფტზე „ორლანდომ“ აირჩია და პირველივე სეზონში იგი კლუბის ფანების ფავორიტი გახდა. აი, რატომ:

*- ერთ-ერთი მატჩისას მეტოქემ თანაგუნდელის წინააღმდეგ ძალიან უხეშად ითამაშა. ჩემიანს გამოვექომაგე, რასაც ორლანდოელები არ ელოდნენ. ვერ წარმოედგინათ, დებიუტანტი ასეთ სითამამეს თუ გამოიჩენდა. იმ ეპიზოდში ტაში დავიმსახურე და მას მერე გულშემატკივრის გვერდში დგომას ყოველთვის ვგრძნობდი,* - თქვა ფაჩულიამ 2003-ში.

**2.** 2006 წელი. ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩი. საქართველო-ლუქსემბურგი.

ლუქსემბურგელი **ელვინ ჯონსი** მთელი თამაშის განმავლობაში იდაყვების ქნევით ცდილობდა ფარქვეშ ადგილის გამოთავისუფლებას. როცა იგი მოედნიდან გადიოდა, ფაჩულია მიუახლოვდა და თავზე ხელი მოუთათუნა. ამერიკელი გაბრაზდა და ატყდა დიდი ჩხუბი. ზაზას თანაგუნდელებიც გამოექომაგნენ და ჯონსს გვარიანად მოხვდა. თუმცა, არ გეგონოთ, ქართველების მოქმედებას ვამართლებდე. მაშინ ბეწვის ხიდზე გავიარეთ: გვეგონა, ფაჩულია დისკვალიფიკაციას მიიღებდა და ავსტრიასთან მატჩს გამოტოვებდა, მაგრამ საბედნიეროდ ფიბას დისციპლინარებმა დაგვინდეს და ზაზამაც ავსტრიაში ნაგებული თამაში შემოატრიალა.

**3.** 2008 წელი. NBA-ს პლეი ოფი. „ატლანტა“-„ბოსტონი“.

*- ცოლი მოვიყვანე, ბევრს არ დაურეკავს; დაბადების დღე მქონდა, ბევრს არ დაურეკავს; გარნეტთან ჩხუბის შემდეგ კი ჩემი ტელეფონი არ გაჩერებულა,* - იხსენებს ფაჩულია. სწორედ ამ ამბის შემდეგ იგი ამერიკელებმა ერთიორად უკეთ გაიცნეს. ჟურნალისტებმა კი მეტსახელიც მოუგონეს: „როკი ბალბოა“.

ავტორის კარიკატურა. 2004 წელი.




სცენარი ნაცნობი იყო: გარნეტმა იდაყვი მოუქნია, რამაც ატლანტელი გააცხარა და მოჩხუბრები შუბლებით დაეჭიდნენ. სეზონის ბოლოს „ატლანტას“ ხელმძღვანელებმა გაწევ-გამოწევის ამსახველი ფოტო ზაზას სამახსოვროდ გადასცეს.

**4.** 2011. NBA. „ატლანტა“-„ბოსტონი“.

ამ მატჩის შემდეგ ბოსტონელთა თავკაცმა **დოკ რივერსმა** თქვა - ფაჩულიას ვერაფერი მოვუხერხეთ, სწორედ მან დაგვამარცხაო (15 ქულა, 10 მოხსნა). შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია გარნეტს, სამაგიეროდ მისი მისია **ჯერმეინ ონილმა** გადაიბარა და მშვიდად მიმავალ ფაჩულიას მხარი განზრახ გაჰკრა... დანარჩენს სურათზე ნახავთ.

**5.** 2011 წელი. NBA-ს პლეი ოფი. „ატლანტა“-“ორლანდო“.

*- ორლანდოელ ჯეისონ რიჩარდსონს მოეჩვენა, რომ დუაით ჰოვარდის წინააღმდეგ არასპორტულად ვითამაშე, ზურგსუკნიდან მომვარდა. ძალიან დაძაბული სიტუაცია იყო, სავსე დარბაზი, პლეი ოფი, ამიტომ ძნელი იყო ემოციების ბოლომდე გაკონტროლება,* - ამბობს ფაჩულია.

მან რიჩარდსონს თავი ჩაარტყა. საბოლოოდ ორივეს თითომატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს.

**6.** 2012 წელი. NBA. „ატლანტა“-“მაიამი“.

დუეინ უეიდთან დაკავშირებულ ინციდენტზე გასულ კვირას მოგითხრეთ. რაც მთავარია, სერიოზული გართულებები არ მოჰყოლია.

**7.** 2012 წელი. 19 მარტი. NBA. „ატლანტა“-ბოსტონი“.

დააკვირდით მესამე და მეშვიდე ფოტოებს. თითქოს ერთი ეპიზოდიდანააო. არადა, შუალედი ოთხი წელია. გარნეტი არ შეცვლილა, ძველებურად ჩხუბის ხასიათზეა. არც ფაჩულია იყო (და არის) დამთმობი...

დავინტერესდი, რა ფრაზები გაცვალეს შელაპარაკებულებმა.

- კარგი არაფერი, - მოკლედ მიპასუხა ფაჩულიამ.

ქართველები იტალიაში

# შერმადინი – ორმაგი მეორედ, მარკოიშვილი – სნაიპერი კიდევ ერთხელ

იტალიაში მოასპარეზე ქართველებმა სერია A-ში მორიგი მატჩი ჩაატარეს ეფექტურად - **მანუჩარ მარკოიშვილი** „პესაროში“ „კანტუს“ ბომბარდირი გახდა, ხოლო **გიორგი შერმადინი** - ვიცე-სნაიპერი. როგორ მორჩა შეხვედრა, ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ, აქ კი ქართველთა სრულ მონაგარს გაგაცნობთ.

მანუჩარმა 35 წუთში 17 ქულა და 4 მოხსნა მოაგროვა. მაღალი სიზუსტით ისროლა როგორც ახლო, ასევე შორი დისტანციიდან: 5-დან 3 სამქულიანი და 8-დან 4 ორქულიანი ჩააგდო. ააცილა ორი საჯარიმო.

გიორგი შერმადინმა კი იტალიაში მოხსნებში პირადი რეკორდი გაიმეორა - 12. მას აქამდე „კანტუს“ მაისურით მხოლოდ ერთი „დაბლ-დაბლი“ ჰქონდა შესრულებული („მონფერატოსთან“: 11 ქულა, 12 მოხსნა). ამჯერად, „სკავოლინისთან“ უფრო ეფექტური დუბლი გამოუვიდა - 15 ქულა, 12 მოხსნა. სიზუსტე არც მას დაეწუნებოდა: 13-დან 7 ორქულიანი, 2-დან 1 საჯარიმო. 216 სმ სიმაღლის გოლიათმა ეს ყველაფერი 25 წუთში მოასწრო.

მოძველებული ფრაზა უნდა გამოვიყენოთ: მატჩი დაძაბული გამოდგა და სასიამოვნოა, რომ გადამწყვეტ მომენტში ორივე ქართველი მოედანზე იყო. მეტსაც გეტყვით: ბოლო 11 წუთში მანუჩარმა 10 ქულა მიითვალა (ორი სამქულიანის რეალიზება მოახერხა), ხოლო გიორგიმ - 8. ასე რომ, ამ მონაკვეთში „კანტუს“ მიერ ჩაგდებული 29-დან 18 ქულა ქართული იყო.

ყურადღებას იმსახურებს შეხვედრის ქრონოლოგიაც. სირენამდე სწორედ 11 წუთით ადრე კანტუელები 11 ქულის სხვაობით მარცხდებოდნენ. თუმცა, მდგომარეობა მალე გამოასწორეს და მანუჩარის სამქულიანის შემდეგ სხვაობა 4 ქულამდე შეამცირეს (59:63). სამიოდე წუთში შერმადინი-ლეუნენის 6-მა ქულამ ტაბლოზე მინიმალური სხვაობა დააფიქსირა, თუმცა სწორედ ამ დროს ჩააგდო სამქულიანი პესაროელმა **დანიელე კავალიერომ**: საფინალო სირენამდე წუთნახევრით ადრე მასპინძელთა 4 ქულით დაწინაურება (69:65) მატჩის ბედის განმსაზღვრელი აღმოჩნდა - „კანტუმ“ დარჩენილ დროში თამაში ველარ შემოატრიალა. ბოლო წუთზე სტუმრებს ხუთ-ხუთი ჯარიმის გამო მარკოიშვილი და **პერკინსი** გამოაკლდნენ.

72:69 „სკავოლინის“ სასარგებლოდ, რომლის რიგებში **რიჩარდ ჰიკმანი** 28 ქულით გამოირჩა.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**



● გაზაფხულის ტურნირი

# რუსთავის ხარები სიახლეებითა და ახალი მიზნებით

სანაკრებო ციებ-ცხელება დასრულდა და 31 მარტიდან გაზაფხულის ტურნირში, რომელიც ახლებური სისტემით გასამართი საქართველოს ჩემპიონატის გარდამავალი შეჯიბრებაა, უმაღლესლიგელები ჩაერთვებიან. გუნდები სამი თვეა ინტენსიურად ემზადებიან. ამჯერად რუსთავის „ხარებს" წარმოგიდგენთ.

ამ კლუბში ბევრი სიახლეა. სამწუხაროდ, „ხარებს" აღარ სპონსორობს „ჰაიდელბერგცემენტი", რომელიც გუნდს ერთგულად ედგა გვერდში სამი წლის განმავლობაში. სამაგიეროდ, „ხარების" პატრონობა რუსთავის მუნიციპალიტეტმა ითავა. შეიცვალა გუნდის ლოგო, სათამაშო ფორმის დიზაინი.

*„ხარების" რიგები კონტრაქტის დასრულების შემდეგ კახაბერ უჩავამ და სერგო მოქიამ დატოვეს, სარაგბო კარიერა დაასრულა გამოცდილმა შოთა მაჭარაშვილმა. მათ ნაცვლად დავიმატეთ გიორგი ხაბაშვილი, გიორგი მჭედლიშვილი, ზურაბ ჭიჭინაძე და ჭაბუკთა A ლიგაში მოთამაშე გუნდის რამდენიმე მორაგბე. ტრავმით გამოწვეული ერთწლიანი შესვენების შემდეგ „ხარებს" დაუბრუნდა ლაშა კაკაბაძე." -* გვითხრა რუსთავის „ხარების" პრეს ატაშე **ნათია ჯიოშვილმა.**

**ზაზა ხუციშვილი**, რუსთავის „ხარების" მწვრთნელი:

*„სეზონისთვის აქტიურად ვემზადებით. უამინდობის გამო მოედანზე ვერ შევდიოდით, მაგრამ ბიჭები ყოველდღიურად ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებაზე ვარჯიშობდნენ. გუნდში რამდენიმე იმედის მომცემი ახალი მორაგბე მოვიწვიეთ.*

*გარდამავალ საგაზაფხულო ტურნირს საქართველოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად გამოვიყენებთ, ივნისში ახალ სტადიონზე გადავალთ. პირობები ბევრად უკეთესი გვექნება, რაც, შესაბამისად, თამაშის ხარისხის გაუმჯობესებას გამოიწვევს.*

*მიზანი საქართველოს ჩემპიონატში ფლეი ოფში გასვლაა, იქ კი საპრიზო ადგილისთვისაც ვიბრძოლებთ".*

**დავით კაკაბაძე**, რუსთავის „ხარების" დირექტორი:

*„მომავალი სეზონიდან „ხარების" უმაღლესი ლიგისა და ყველა ასაკობრივი გუნდი წითელ-თეთრ ფერებში ითამაშებს. აღსანიშნავია, რომ წლეულს, უწინდელისგან განსხვავებით, მორაგბეებს ზამთრისა და ზაფხულის სპეციალური სპორტული ფორმა შევუკერეთ. მხარდაჭერისათვის მინდა მადლობა გადავუხადო მხარისა და ქალაქის ხელმძღვანელებს."*

**რუსთავის ხარები**

პირველი ხაზი: დავით სიხარულიძე, დავით ხვიჩია, უჩა ალაშვილი, ლაშა კაკაბაძე, მიხეილ ნიკლაური, გიორგი ხაბაშვილი, გიგა ქვლივიძე.

მეორე ხაზი: თომა ბალუაშვილი, სოლომონ ქარუხნიშვილი, რატი ხარძიანი, კახა კობერიძე.

მესამე ხაზი: ლაშა გოგიაშვილი, ლევან შაშიაშვილი, ირაკლი ზავარდაშვილი, გიორგი მჭედლიშვილი, ზურაბ გაბრიჭიძე, დავით ყოჩიაშვილი, გიორგი მარტიაშვილი.

№9: ვაჟა ხუციშვილი, ლექსო მელიქიშვილი, გიორგი გულბათაშვილი.

№10: მანუჩარ ჭაავა, გიორგი ჰასილაია.

№12-13: რატი ლამბაშიძე, პალიკო ჯიმშელაძე, ზვიად ლამბარაშვილი, თორნიკე კიკნაძე.

№11-14: ბექა ბებიაშვილი, მიხეილ ნიკლაური, გიორგი ბებიაშვილი, ირაკლი მურადაშვილი,

№15: ლაშა შუბითიძე, თორნიკე თეგეთაშვილი.

**31 მარტი**

ხარები-ჯიქები
ლოკომოტივი-ყოჩები
აია-თიბისი

**7 აპრილი**

ხარები-აია
თიბისი-ლოკომოტივი
ყოჩები-ჯიქები

**21 აპრილი**

თიბისი-ხარები
აია-ყოჩები
ჯიქები-ლოკომოტივი

**28 აპრილი**

ლოკომოტივი-ხარები
ჯიქები-აია
ყოჩები-თიბისი

**5 მაისი**

ყოჩები-ხარები
თიბისი-ჯიქები
აია-ლოკომოტივი



● ტურნე ინგლისსა და უელსში

# პირველი ჯახი ეშერთან

საქართველოს A ნაკრებმა გუშინ ბრიტანულ ტურნეში პირველი შეხვედრა გამართა. ჩვენი გუნდის მეტოქე ინგლისის პრემიერშიპში მოასპარეზე „ეშერი" იყო. თამაში გვიან ღამით დასრულდა.

გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ლევან მაისაშვილმა** ინგლისელებთან საასპარეზოდ ასეთი შემადგენლობა გაიყვანა.

საქართველო A: **15. ბექა ურჯუკაშვილი, 14. ალექსანდრე ნიჟარაძე, 13. ზურაბ ძნელაძე, 12. ირაკლი ჩხიკვაძე, 11. ლექსო გუგავა, 10. გიორგი ჯიმშელაძე, 9. ბიძინა სამხარაძე. 1. ირაკლი მირცხულავა, 2. შალვა სუთიაშვილი, 3. ლევან ჩილაჩავა, 4. დავით ჩიტიძე, 5. კონსტანტინე მიქაუტაძე, 6. ბექა ბიწაძე, 7. გივი ბერიშვილი, 8. გიორგი თხილაიშვილი.**

**16. ბექა მეკოკიშვილი, 17. გიორგი მენაბდიშვილი, 18. ლაშა თავართქილაძე, 19. გიორგი თხილაიშვილი, 20. გიორგი კაჭარავა, 21. გიგა გაგოშვილი, 22. ირაკლი გეგენავა.**

შეგახსენებთ, რომ საქართველოს A ნაკრებს თან ახლავს ეროვნული ნაკრების ახალზელანდიელი მწვრთნელები **მილტონ ჰეიგი, კრის გიბსი** და **ტონი ბარჯესი.** როგორც საქართველოს რაგბის კავშირის ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, ამ ტურნესთვის შესაძლებელი იყო უკეთესი გუნდის შეკრებაც, მაგრამ ეს სამი მიზეზის გამო ვერ მოხერხდა. პირველი: მორაგბეები არ გამოუშვეს ფრანგულმა კლუბებმა, მეორე: 20-წლამდელთა ნაკრები მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფისთვის ემზადება, რომელიც ივნისში სოლტ ლეიკ სიტიში გაიმართება და, ამიტომ მოხდა კონტინგენტის გადანაწილება.

ამასთან ერთად ფულბეკ **ირაკლი ყიასაშვილს** გაუმიზეზდა რუსეთის ნაკრებთან თამაშისას მიღებული ტრავმა და ტურნეში გამგზავრება ვერ შეძლო.

შეგახსენებთ, რომ მომდევნო შეხვედრას საქართველოს A ნაკრები 27 მარტს უელსის კლუბების ნაკრებთან გამართავს, ოთხი დღის შემდეგ კი ჩრდილოეთ უელსის ნაკრებს დაუპირისპირდება.

● ექვსი ერი




# ლიდიატი ევროპაში საუკეთესოა

ექვსი ერის გათამაშების საუკეთესო მორაგბედ უელსელი **დენი ლიდიატი** დაასახელეს. ეს გამოკითხვა ქომაგებს შორის ჩატარდა და ამ მორაგბემ კონკურენტებს დიდი უპირატესობით მოუგო. თვითონ ლიდიატი გაოცებულია მომხდარით და მიაჩნია, რომ ეს მის მიმართ გაცემული დიდი ავანსია.

*„მართალი გითხრათ, ძალიან გაკვირვებული ვარ. ჩემი თამაშით თვითონ ნაწილობრივ ვარ კმაყოფილი. ცხადია, ნებისმიერი მორაგბისთვის დიდი პატივია იყო ისეთი ძლიერი გუნდის წევრი, როგორიცაა უელსის ნაკრები. ამ გუნდთან ერთად დიდი სლემი რომ შევასრულეთ, ჩემთვის ესეც დაუჯერებელია და, ახლა, კიდევ საუკეთესო მორაგბედაც დამასახელეს. თავი სიზმარში მგონია.*

*ეს მიღწევა ჩემთვის დიდი პატივია, მით უმეტეს, რომ ქომაგებმა ძალიან ბევრი მსოფლიო კლასის მოთამაშეზე წინ დამაყენეს. ყველას, ვინც მხარი დამიჭირა, მინდა მადლობა გადავუხადო"* - თქვა დენი ლიდიატმა.

# ლანკასტერმა დარჩენა გადაწყვიტა

ინგლისის ნაკრების დროებით მწვრთნელ **სტიუარტ ლანკასტერს** მიაჩნია, რომ „პომებს" 2015 წლის მსოფლიოს თასის გათამაშების ჩათვლით უნდა უთავკაცოს. მისი ხელმძღვანელობით ინგლისელებმა ახლახან დასრულებულ ექვსი ერის გათამაშებაში ხუთი მატჩიდან ოთხი მოიგეს და მსოფლიოს თასზე განცდილი კატასტროფის შემდეგ დაკარგული რენომე აღიდგინეს.

ლანკასტერი აღიარებს, რომ ის ამაყობს გუნდის მიერ მიღწეული შედეგით. სპეციალისტების უმრავლესობას მიაჩნია, რომ ინგლისის რაგბის კავშირი თვის ბოლოს ინტერვიუზე, სადაც მთავარი მწვრთნელის ვინაობა გაირკვევა, სწორედ მას დაიბარებს.

*„არასდროს მიფიქრია, ვინმეზე შთაბეჭდილება მომეხდინა. ჩემი მთავარი მიზანი იყო შემექმნა მწვრთნელთა ისეთი შტაბი, რომლის ყველა წევრი თანამოაზრე და ერთმანეთის დამხმარე იქნებოდა. ამასთან ერთად, მნიშვნელოვანი იყო, სწორედ ის მორაგბეები შეგვერჩია, რომლებსაც ქვეყნის ღირსების დაცვა სურდათ.*

*მიმაჩნია, რომ პროგრესს მივაღწიეთ - გამარჯვება საფრანგეთთან, 30 ქულა მოვიპოვეთ საკმაოდ ძლიერ ირლანდიის ნაკრებთან, ვძლიეთ იტალიასა და შოტლანდიას, თითქმის არაფერი დაგვითმია უელსისთვისაც.*

*თუ ინგლისის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დამნიშნავენ, მინდა ჩემი ასისტენტებიც ნაკრებში დარჩნენ სამუშაოდ. ჩვენ შეგვიძლია 2015 წლის მსოფლიოს თასზე „პომები" უმთავრეს ფავორიტად წარვადგინოთ. ასე რომ, ენდი ფარელი და გრემ რაუნტრი ეროვნული გუნდისთვის შეუცვლელნი არიან, მათ ბრწყინვალედ იმუშავეს"* - თქვა სტიუარტ ლანკასტერმა.

„პომების" დროებითმა მწვრთნელმა ინგლისელი მგეზავის, **დენი სიპრიანის** შესახებაც ისაუბრა. გლამურული ცხოვრების მოყვარული დენი გუნდიდან ინგლისის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა **მარტინ ჯონსონმა** მოკვეთა. ლანკასტერი მას ეროვნულ გუნდში დაბრუნებას იმ პირობით შეჰპირდა, თუ დისციპლინას არასდროს დაარღვევს.

*„ვერაფრით დავიჯერებ, რომ დენი მოუდრეკელი იყო. ეს აბსურდია. ის ახალგაზრდა, სიმპათიური ბიჭია, რომელმაც რამდენიმე ლამე მოილხინა. ის ლოთი არ არის. სიპრიანი მსოფლიოში ცნობილი მორაგბეა და გასაკვირი არ არის, ლამაზი ქალბატონები მის მიმართ დიდ ყურადღებას რომ იჩენენ.*

*ახლა დენი ავსტრალიური „გადასახლებიდან" ისევ ინგლისში ბრუნდება. თუ თავის მოთოკვას შეძლებს, კარგ სპორტულ ფორმაში იქნება და ამჟამინდელ მგეზავს, ოუენ ფარელს აჯობებს, ნაკრებში ადგილს უპრობლემოდ მოიპოვებს. ახლა ყველაფერი მასზე და მისი ახალი გუნდის, „სეილ შარქსის" ხელმძღვანელებზეა დამოკიდებული"* - დასძინა ლანკასტერმა.

# სიმბოლურში რვა ურჩხული

ექვსი ერის დასრულების შემდეგ, მრავალი გამოკითხვისა და აზრთა გაცვლის შედეგად დადგინდა, რომ წლეულს ყველაზე გამორჩეული სამი ახალგაზრდა მორაგბე იყო: ესენია უელსელი ფლანკერი **დენი ლიდიატი**, შოტლანდიის ნაკრების მეორეხაზელი **რიჩი გრეი** და საფრანგეთის ეროვნული გუნდის შუამარბი **ვესლი ფოფანა.**

ცხადია, როგორც წესია, დასახელდა სიმბოლური ნაკრები, რომელშიც გასაკვირი არ არის, რომ დიდი სლემის შემსრულებლის, „წითელი ურჩხულების" რვა მორაგბე მოხვდა. ორ-ორი მოთამაშე მიავლინეს საუკეთესოთა შორის ირლანდიისა და ინგლისის ნაკრებებმა. თითო მოთამაშე ჰყავთ სიმბოლურში საფრანგეთს, შოტლანდიასა და იტალიას.

აღსანიშნავია, რომ „ევროპის ნაკრებში" ვერ მოხვდა 2011 წლის მსოფლიოს საუკეთესო მორაგბე, საფრანგეთის ნაკრების კაპიტანი **ტიერი დუსოტუარი.** ისევ შესანიშნავ ფორმაშია და რვა ნომრის პოზიციაზე პირველობას არავის უთმობს არგენტინული წარმოშობის იტალიელი **სერჯო პარისე.**

**სიმბოლური ნაკრები**

**15. რობ კირნი (ირლანდია), 14. ალექს კატბერტი, 13. ჯონათან დევისი (ორივე-უელსი), 12. ვესლი ფოფანა (საფრანგეთი), 11. ჯორჯ ნორსი (უელსი), 10. ოუენ ფარელი (ინგლისი), 9. მაიკ ფილიპსი. 1. გეთლინ ჯენკინსი (ორივე-უელსი), 2. რორი ბესტი (ირლანდია), 3. ადამ ჯოუნზი (უელსი), 4. რიჩი გრეი (შოტლანდია), 5. იან ევანსი, 6. დენ ლიდიატი (ორივე-უელსი), 7. კრის რობშო (ინგლისი), 8. სერჯო პარისე (იტალია).**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

## უცხოური სპორტი

ჩოგბურთი. მაიამის მასტერსის წინ

# ვის დარჩება მაიამი?



მაიამის ცენტრალური კორტი

მაიამიში გუშინ დაიწყო სეზონის მეორე მასტერსი. ეს ტურნირი ტრადიციულად მოსდევს ინდიან უელსის მასტერსს. გუშინ, ჩოგბურთელები პირველი წრეში ჩაებნენ. ამ ეტაპზე განთესილები თავისუფლები არიან.

ისევე როგორც ინდიან უელსში, მაიამიშიც საკმაოდ ბევრი უარი დაფიქსირდა. ტურნირიდან 10 ჩოგბურთელი მოიხსნა: **რობინ სიოდერლინგი, სტანისლას ვავრინკა, მიხაილ იუჟნი, ივან ლუბიჩიჩი, ხუან კარლოს ფერერო, დმიტრი ტურსუნოვი, ალბერტ მონტანიესი, ფაბიო ფონინი, ფილიპო ვოლანდრი** და **რუი მაშადო**.

სატურნირო ბადეში რამდენიმე ჩემპიონს ვხედავთ. მაიამიში ტიტული აქვთ მოპოვებული **ენდი როდიკს, ნოვაკ ჯოკოვიჩს ნიკოლაი დავიდენკოს, ენდი მიურეისა** და **როჯერ ფედერერს**. რაც შეეხება **რაფა ნადალს**, ის აქ სამჯერ იყო ფინალში, მაგრამ მოგება ჯერ ვერ შეძლო.

რა თქმა უნდა, მთავარ ფავორიტებს შორის კვლავ რეიტინგის საუკეთესო ოთხეულის წევრებს ასახელებენ. თუმცა ინდიან უელსის მასტერსის სტარტზე **გილერმო გარსია-ლოპესთან** მარცხმა ენდი მიურეის სათამაშო ფორმის გარშემო გარკვეული კითხვები გააჩინა. ბევრი რამ იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად წარმატებით ჩაერთვება ტურნირში ბრიტანელი ჩოგბურთელი.

პირველ ნომრად განთესილ ნოვაკ ჯოკოვიჩს სტარტზე პრობლემები არ უნდა შეექმნას. სავარაუდოდ, მას მოუწევს შეხვედრა არასტაბილურ **მარკოს ბაღდატისთან**, შემდეგ **ვიქტორ ტროიცკისთან**, რომელმაც არ იცის ტოპ-მოთამაშეების დამარცხება. ამას მოჰყვება ან **რიშარ გასკე** ან **ფელისიანო ლოპესი**. ფრანგი ამჟამად არ არის კარგ ფორმაში, ესპანელმა კი შეძლო ბალახზე სერბისთვის ბრძოლის თავს მოხვევა, მაგრამ ნელ ჰარდზე ეს არ გაუკეთებია.

ბადის შემდეგი ნაწილიდან ნოვაკ ჯოკოვიჩზე უნდა გავიდეს **ხუან მარტინ დელ პოტრო** ან **დავიდ ფერერი**. აქ პროგნოზების გაკეთება რთულია, მაგრამ აღვნიშნავთ, რომ ინდიან უელსზე გამოსვლის მიხედვით, არგენტინელისა და ესპანელის ფორმა უკეთესიც შეიძლება იყოს.

ბადის მეორე მეოთხედს სათავეში უდგას როჯერ ფედერერი, რომელსაც სამსეტიან ფორმატში ზედიზედ 33 მატჩი აქვს მოგებული. ინდიან უელსისგან განსხვავებით, მაიამიში შვეიცარიელს საკმაოდ კარგი ბადე აქვს (შეგახსენებთ, რომ კალიფორნიაში როჯერს ნახევარფინალამდე **რაონიჩთან** და დელ პოტროსთან მოუწია თამაშმა). ფედერერი ტურნირს **რაიან ჰარისონთან** მატჩით დაიწყებს (ამერიკელმა ამისთვის უნდა გაიაროს **პოტიტო სტარაჩე**). მესამე წრეში შვეიცარიელი ენდი როდიკზე გადის – თუ მანამდე ამ უკანასკნელს არ გააგდებენ **ალექს ბოგომოლოვი** ან **ჟილ მიულერი**. შემდეგ როჯერს უნდა შეხვდეს **გაელ მონფილი** და **მერდი ფიში** ან **ნიკოლას ალმაგრო**.

ბადის ქვედა ნაწილში უკვე მეორე წრეში შეიძლება შეხვდნენ ერთმანეთს **ტომაშ ბერდიხი** და **ფერნანდო გონსალესი**, რომელიც მაიამიში გამოსათხოვარ ტურნირს თამაშობს - თუმცა ჩილელს ჩეხთან მისასვლელად **ნიკოლა მაუს** დამარცხება სჭირდება. მათთან მეზობლად არის **იანკო ტიპსარევიჩი**, რომელიც მეორე წრეში შეიძლება **დავიდ ნალბანდიანს** შეხვდეს. იქვე ახლოსაა უკრაინელი **ალექსანდრ დოლგოპოლოვი**. სავარაუდოდ, ჩამოთვლილი ჩოგბურთელებიდან ერთი გავა მეოთხედფინალში და იქ ენდი მიურეის შეხვდება.

ცნობისთვის, ბრიტანელს უკვე სტარტზე ელის სერიოზული გამოცდა. მეორე წრეში ენდის მოუწევს თამაში **დენის ისტომინთან** ან **ალეხანდრო ფალასთან**, მესამეში კი მიურეის მეტოქედ მილოშ რაონიჩი ერგება. იმის გათვალისწინებით, რომ კანადელი ძალიან სახიფათოა ჰარდზე და მან ინდიან უელსში სეტი მოუგო ფედერერს, ენდის იოლი გასეირნება ნამდვილად არ ელის.

ბოლო მეოთხედში თეორიულად ნახევარფინალში გასასვლელად შეიძლება ერთმანეთს შეხვდნენ რაფაელ ნადალი და **ჟო-ვილფრიდ ცონგა**. თუმცა ფრანგის ბოლოდროინდელი ფორმის გათვალისწინებით, მან ნადალამდე შეიძლება ვერც მიაღწიოს. რაფასთვის უფრო მეტ საფრთხეს ინდიან უელსის ფინალისტი **ჯონ ისნერი** წარმოადგენს, რომელიც მერვედფინალში შეხვდება ცონგას. მეოთხედფინალამდე კი ნადალს სერიოზული ბარიერები არ ექნება - **კეი ნიშიკორი, რადეკ შტეპანეკი** და სხვა მოთამაშეები ესპანელს იმ შემთხვევაში დაამარცხებენ, თუ ნადალი ჩააგდებს შეხვედრას.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## მაიამი. კაცების ბადე

| 1/64 | 1/32 | 1/16 | 1/8 | 1/4 | 1/2 |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| ჯოკოვიჩი (სერ, 1) | ჯოკოვიჩი (სერ, 1) | | | | |
| ლ. მაიერი (არგ) | | | | | |
| ბალდატისი (კვიპ) | | | | | |
| კვალიფიკაცია | ტროიცკი (სერ, 27) | | | | |
| კვალიფიკაცია | | | | | |
| ტროიცკი (სერ, 27) | | | | | |
| გასკე (საფ, 17) | გასკე (საფ, 17) | | | | |
| შტეპე (გერ) | | | | | |
| ჩიპოლა (იტა) | | | | | |
| რამოსი (ესპ) | ფ. ლოპესი (ესპ, 15) | | | | |
| კვალიფიკაცია | | | | | |
| ფ. ლოპესი (ესპ, 15) | | | | | |
| დელ პოტრო (არგ, 11) | დელ პოტრო (არგ, 11) | | | | |
| კუბოტი (პოლ) | | | | | |
| კარლოვიჩი (ხორ) | | | | | |
| კუნიცინი (რუს) | ჩილიჩი (ხორ, 23) | | | | |
| ლევინი (აშშ) | | | | | |
| ჩილიჩი (ხორ, 23) | | | | | |
| ბენეტო (საფ, 30) | ბენეტო (საფ, 30) | | | | |
| ბეკერი (გერ) | | | | | |
| ო. როხუსი (ბელ) | | | | | |
| ტომიჩი (ავსტრა) | ფერერი (ესპ, 5) | | | | |
| სტახოვსკი (უკრ) | | | | | |
| ფერერი (ესპ, 5) | | | | | |
| ფედერერი (შვეიც, 3) | ფედერერი (შვეიც, 3) | | | | |
| ჰარისონი (აშშ) | | | | | |
| სტარაჩე (იტა) | | | | | |
| ბოგომოლოვი (რუს) | როდიკი (აშშ, 31) | | | | |
| მიულერი (ლუქ) | | | | | |
| როდიკი (აშშ, 31) | | | | | |
| მონაკო (არგ, 21) | მონაკო (არგ, 21) | | | | |
| ლუ (ტაივ) | | | | | |
| ნიემინენი (ფინ) | | | | | |
| კვალიფიკაცია | მონფილსი (საფ, 14) | | | | |
| გულბისი (ლატ) | | | | | |
| მონფილსი (საფ, 14) | | | | | |
| ალმაგრო (ესპ, 12) | ალმაგრო (ესპ, 12) | | | | |
| კვალიფიკაცია | | | | | |
| იანგი (აშშ) | | | | | |
| კვალიფიკაცია | ვერდასკო (ესპ, 20) | | | | |
| ბერლოკი (არგ) | | | | | |
| ვერდასკო (ესპ, 20) | | | | | |
| ანდერსონი (ს. აფრ, 28) | ანდერსონი (ს. აფრ, 28) | | | | |
| ებდენი (ავსტრა) | | | | | |
| კუერი (აშშ) | | | | | |
| კვალიფიკაცია | ფიში (აშშ, 8) | | | | |
| შარდი (საფ) | | | | | |
| ფიში (აშშ, 8) | | | | | |

| 1/2 | 1/4 | 1/8 | 1/16 | 1/32 | 1/64 |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| | | | | ბერდიხი (ჩეხ, 7) | ბერდიხი (ჩეხ, 7) |
| | | | | | მაუ (საფ) |
| | | | | | გონსალესი (ჩილ) |
| | | | | ჩელა (არგ, 29) | დიმიტროვი (ბულ) |
| | | | | | კუკუშკინი (ყაზ) |
| | | | | | ჩელა (არგ, 28) |
| | | | | დოლგოპოლოვი (უკრ, 18) | დოლგოპოლოვი (უკრ, 18) |
| | | | | | კვალიფიკაცია |
| | | | | | კუდლა (აშშ) |
| | | | | ტიპსარევიჩი (სერ, 9) | ნალბანდიანი (არგ) |
| | | | | | დარცისი (ბელ) |
| | | | | | ტიპსარევიჩი (სერ, 9) |
| | | | | სიმონი (საფ, 13) | სიმონი (საფ, 13) |
| | | | | | კვალიფიკაცია |
| | | | | | სეპი (იტა) |
| | | | | მელცერი (ავსტრი, 22) | ჰაასე (ჰოლ) |
| | | | | | მატოშევიჩი (ავსტრა) |
| | | | | | მელცერი (ავსტრი, 22) |
| | | | | რაონიჩი (კან, 26) | რაონიჩი (კან, 26) |
| | | | | | სელა (ისრ) |
| | | | | | კვალიფიკაცია |
| | | | | მიურეი (ბრიტ, 4) | ფალა (კოლ) |
| | | | | | ისტომინი (უზბ) |
| | | | | | მიურეი (ბრიტ, 4) |
| | | | | ცონგა (საფ, 6) | ცონგა (საფ, 6) |
| | | | | | კვალიფიკაცია |
| | | | | | მალისე (ბელ) |
| | | | | კოლშრაიბერი (გერ, 32) | ბელუჩი (ბრა) |
| | | | | | ჟილი (პორ) |
| | | | | | კოლშრაიბერი (გერ, 32) |
| | | | | ფ. მაიერი (გერ, 19) | ფ. მაიერი (გერ, 19) |
| | | | | | პეტცშნერი (გერ) |
| | | | | | დოდიგი (ხორ) |
| | | | | ისნერი (აშშ, 10) | დავიდენკო (რუს) |
| | | | | | ბლეიკი (აშშ) |
| | | | | | ისნერი (აშშ, 10) |
| | | | | ნიშიკორი (იაპ, 16) | ნიშიკორი (იაპ, 16) |
| | | | | | სვიტინგი (აშშ) |
| | | | | | ლაჩკო (სლოვა) |
| | | | | გრანოლერსი (ესპ, 24) | ლოდრა (საფ) |
| | | | | | როსოლი (ჩეხ) |
| | | | | | გრანოლერსი (ესპ, 24) |
| | | | | შტეპანეკი (ჩეხ, 25) | შტეპანეკი (ჩეხ, 25) |
| | | | | | კვალიფიკაცია |
| | | | | | ჰაასი (გერ) |
| | | | | ნადალი (ესპ, 2) | ხირალდო (კოლ) |
| | | | | | ანდუხარი (ესპ) |
| | | | | | ნადალი (ესპ, 2) |

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# საგიჟეთი პიტსბურგში

აღმოსავლეთ კონფერენციაში კარგი ამბებია „ფლორიდასთვის“. „პანტერებმა“, რომლებმაც სეზონის განმავლობაში სამი მატჩი წააგეს „ფილადელფიასთან“, ამჯერად, **ვაისისა** და **ბერგენჰაიმის** გოლებით სტუმრად მოუგეს „მფრინავებს“. „ფლორიდას“ მეკარე **სკოტ კლემენსენმა** 35 დარტყმა მოიგერია, მისმა თანაგუნდელებმა კი მხოლოდ 13 დარტყმა განახორციელეს და მაინც შეძლეს სტუმრად გამარჯვებათა სერიის გაგრძელება. ახლა, „ფლორიდა“ „ვაშინგტონს“ ხუთი ქულით უსწრებს და თან მატჩი აქვს თადარიგში. ასე რომ, „პანტერებს“ დივიზიონის ჩემპიონობის რეალური შანსი გაუჩნდათ, მით უმეტეს, რომ უახლოესი კალენდარიც ხელს უწყობთ - „კაროლინა“, „ედმონტონი“, „აილენდერსი“, „მონრეალი“ და „მინესოტა“.

„ფილადელფიას“ წაგება „პიტსბურგს“ გაახარებდა, რომელმაც გუშინ 8:4 მოუგო „ვინიპეგს“. ერთი თვის წინ, ამ გუნდებმა დაახლოებით ამდაგვარი შოუ მოაწყვეს - 8:5 „პინგვინების“ სასარგებლოდ. ბრწყინვალედ გამოიყურებოდა „პიტსბურგი“ სამეული - **მალკინი, ნილი** და **კროსბი**. მალკინმა ხუთი ქულა (2+3) დააგროვა (ეს სეზონში მეხუთე შემთხვევაა, როცა რუსმა ვარსკვლავმა მატჩში ხუთი ქულა აიღო), სეზონში თავისი მონაგარი 92 ქულამდე აიყვანა და თითქმის გაინაღდა რეგულარულის ბომბარდირის ტიტული. ნილის ანგარიშზე ჰეთ-თრიკი და ერთი საგოლე პასი მოდის, კროსბიმ კი ოთხი შედეგიანი გადაცემა ჩაიწერა აქტივში. „პიტსბურგი“ აგრძელებს კონფერენციის ლიდერობისთვის „რეინჯერსის“ დევნას. ნიუიორკელები ჯერჯერობით ერთი ქულით არიან წინ.

ოდნავ გამოასწორა სატურნირო მდგომარეობა „ნიუ ჯერსიმ“, რომელმაც **კოვალჩუკის** ერთადერთი გოლის წყალობით დაამარცხა „ოტავა“ - 1:0. სხვათა შორის ეს კოვალჩუკის საიუბილეო - მე-400 შაიბაა კარიერაში. „ეშმაკები“ ცდილობენ შორს არ გაუშვან „ფილადელფია“, „ოტავა“ კი მეექვსეა აღმოსავლეთში და „ნიუ ჯერსის“ ხუთი ქულით ჩამორჩება.

დასავლეთში ზედიზედ მეოთხე მატჩი მოიგო „ჩიკაგომ“ - 5:1 გაანადგურა „კოლამბუსი“. „ბლეკჰოქსი“ მეხუთე ადგილზე მყოფ „დეტროიტს“ ორ ქულამდე მიუახლოვდა. სხვათა შორის ამ მატჩსაც ჰყავდა იუბილარი - „ჩიკაგოს“ ფორვარდმა **მარიან ჰოსამ** კარიერაში მე-900 ქულა მიითვალა.

**ფილადელფია-ფლორიდა 1:2**

0:1, 1:1, 0:0

**გოლები:** 0:1 ვაისი-18 (კულიკოვი-21, ბ. კემპბელი-44), 0:2 ბერგენჰაიმი-17 (ბ. კემპბელი-45, სამუელსონი-15), 1:2 უელვუდი-4 (ტიმონენი-37).

**პიტსბურგი-ვინიპეგი 8:4**

2:2, 4:2, 2:0

**გოლები:** 1:0 კენედი-7 (კროსბი-16, კუკი-16), 1:1 სლეიტერი-10 (გლასი-10, მაჩალეკი-2), 1:2 ლიტლი-20 (ლედი-19, ენსტრიომი-23), 2:2 ჯ. ნილი-33 (მალკინი-48, კროსბი-17), 3:2 ჯ. ნილი-34 (მალკინი-49), 3:3 ლიტლი-21 (ლედი-20, ენსტრიომი-24), 4:3 კენედი-8 (კროსბი-18, კუკი-17), 5:3 მალკინი-42 (კროსბი-19, მარტინი-22), 5:4 სტემპლტონი-9 (მაქსველი-2, მაჩალეკი-3). 6:4 ჯ. ნილი-35 (მალკინი-50, ორპიკი-14), 7:4 მალკინი-43 (კუნიტცი-28, ჯ. ნილი-37), 8:4 დუპუი-21 (ჯ. სტაალი-19, სალივანი-26).

**კოლამბუსი-ჩიკაგო 1:5**

0:3, 0:0, 1:2

**გოლები:** 0:1 შოუ-10 (ბიკელი-14, კეიტი-33), 0:2 შარპი-29 (სტალბერგი-20, კრუგერი-14), 0:3 სიბრუკი-7 (კეიტი-34, ბოლანდი-15), 0:4 შარპი-30 (მარიან ჰოსა-44, კეიტი-35), 0:5 მარიან ჰოსა-29 (შოუ-7, კეიტი-36), 1:5 ნეში-25 (ჯ. ჯონსონი-20, ა. ჯონსონი-11).

**ტორონტო-აილენდერსი 2:5**

1:1, 1:1, 0:3

**გოლები:** 1:0 კესელი-36 (ბოჟაკი-26, კომისარეკი-4), 1:1 ბეილი-11 (ტავარესი-40, პარენტო-47), 2:1 ლომბარდი-8 (გარდინერი-20, კ. არმსტრონგი-2), 2:2 ულსტრიომი-3 (გრაბნერი-11, ჩიზიკასი-4), 2:3 მოულსონი-31 (ტავარესი-41, შტრაიტი-35), 2:4 პარენტო-16 (შტრაიტი-36), 2:5 მოულსონი-32 (პარენტო-48, ტავარესი-42).

**ოტავა-ნიუ ჯერსი 0:1**

0:0, 0:1, 0:0

**გოლები:** 0:1 კოვალჩუკი-31 (ჟიდლიცკი-20, ელიაში-45).

**ნეშვილი-ედმონტონი 3:6**

1:2, 1:3, 1:1

**გოლები:** 0:1 ჰორდიჩუკი-1 (იგერი-5, ბელანჟე-12), 0:2 ჰემსკი-7 (პეტრი-19, ჰარტიკაინენი-2), 2:1 ლეგუანდი-17 (გ. ბურკი-9, შ. უებერი-29), 1:3 ჰემსკი-8 (ჰარტიკაინენი-3, სემ განიე-28), 1:4 რ. ჯონსი-15 (პეტრი-20, რაიან უიტნი-13), 2:4 ჰორნკვისტი-24 (ფიშერი-23, ერატი-39), 2:5 ჰემსკი-9, 3:5 ლეგუანდი-18 (ჰორნკვისტი-13, გ. ბურკი-10), 3:6 სემ განიე-16 (ჰემსკი-25).

**დალასი-ფინიქსი 4:3 (ბ)**

1:1, 2:0, 0:2, 0:0

**გოლები:** 1:0 ლ. ერიქსონი-26 (რაიდერი-25, რიბეირო-39), 1:1 კორპიკოსკი-16 (რეი უიტნი-46, ვერმეტი-24), 2:1 რაიდერი-31 (ლ. ერიქსონი-41, რიბეირო-40), 3:1 რაიდერი-32 (ლ. ერიქსონი-42, რიბეირო-41), 3:2 ეკმან-ლარსონი-12 (ლენგკოუ-16, დოუნი-25), 3:3 რეი უიტნი-23 (დოუნი-26).

**ბულიტები გაიტანეს:** რიბეირო (დალასი).

**კოლორადო-კალგარი 2:1 (ო)**

1:1, 0:0, 0:0

**გოლები:** 0:1 სტაიანი-8 (ტანგეი-36, ბაბჩუკი-6), 1:1 პ. შჩასტნი-19 (ო'ბრაიენი-15, დ. ჯონსი-17), 2:1 დ. ჯონსონი-18 (პ. შჩასტნი-30, ჰანვიკი-3).

**ლოს ანჯელესი-სან ხოსე 5:2**

1:1, 1:0, 3:1

**გოლები:** 1:0 მ. რიჩარდსი-16 (უ. მიტჩელი-14), 1:1 ჰავლატი-6 (ბერნსი-25), 2:1 მარტინესი-4 (კოპიტარი-40, ჯასტინ უილიამსი-34), 3:1 კოპიტარი-24 (მ. რიჩარდსი-22, დ. ბრაუნი-28), 3:2 დ. ბოილი-7 (კუტური-28, ჰავლატი-15), 4:2 პენერი-7 (ვოინოვი-11), 5:2 ჯ. კარტერი-21 (მ. რიჩარდსი-23, კოპიტარი-41).




ამათ რა გააჩერებთ?!

კრივი

# ლონდონის მიღმა ჩხუბის გამო

ბულგარეთის შვიდგზის ჩემპიონი **ევგენი ბორისოვი** გამოტოვებს 2012 წლის ოლიმპიადას სერიოზული ტრავმის გამო, რომელიც მან ქუჩის ჩხუბში მიიღო. მოკრივემ დასავლეთ ბულგარეთში ქალაქ ბობოვ დოლში მასობრივ ჩხუბში მიიღო მონაწილეობა და მარცხენა მაჯა მოიტეხა.

გარდა ამისა, ბორისოვმა მარჯვენა ხელი დაიზიანა და ტვინის შერყევაც მიიღო. ის ვერ მოასწრებს ლონდონის ოლიმპიდამდე გამოჯანმრთელებას და ფორმაში შესვლას. პოლიციის ინფორმაციით, სულ ჩხუბში მონაწილეობდა 14 ადამიანი. ბორისოვის გარდა, საავადმყოფოში კიდევ სამი ადამიანი მოხვდა.

მოკრივის თქმით, მას ხუთ მოწინააღმდეგესთან მოუწია ბრძოლამ, რომლებიც რკინის ხელკეტებით იყვნენ შეიარაღებულნი. 23 წლის სპორტსმენმა არ იცის კონფლიქტის წარმოშობის მიზეზი.

ლონდონის ოლიმპიადაზე ბორისოვი 69-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში უნდა გამოსულიყო.

სულ ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ბულგარეთს კრივში ოქროს ოთხი, ვერცხლის ხუთი და ბრინჯაოს რვა მედალი აქვს მოპოვებული. 2008 წელს, პეკინის ოლიმპიადაზე ბულგარეთის ნაკრები მედლის გარეშე დარჩა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ინგლისი** | |
| მანჩესტერ სიტი-ჩელსი | 2:1 |
| ტოტენჰემი-სტოკი | 1:1 |
| ევერტონი-არსენალი | 0:1 |
| ქუინზ პარკი-ლივერპული | 3:2 |
| **ჩემპიონშიპი** | |
| კარდიფი-ქოვენთრი | 2:2 |
| იფსვიჩი-ბარნლი | 1:0 |
| ბლეკპული-ლესტერი | 3:3 |
| **იტალიის თასი** | |
| **1/2 ფინალი. II მატჩი** | |
| ნაპოლი-სიენა | 2:0 (1:2) |
| **ესპანეთი** | |
| ატლეტიკო-ბილბაო | 2:1 |
| სოსიედადი-ლევანტე | 1:3 |
| სპორტინგი-მალიორკა | 2:3 |
| ვალენსია-სარაგოსა | 1:2 |
| ვილიარეალი-რეალი | 1:1 |
| **გერმანია** | |
| **III ბუნდესლიგა** | |
| რეგენსბურგი-ოსნაბრიუკი | 0:3 |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ჰამბურგი II-ლაიპციგი | 1:0 |
| ბერლინერი-მეპენი | 5:1 |
| მოისელვიტცი-ჰაველსე | 0:1 |
| პლაუენი-ლიუბეკი | 1:0 |
| ვოლფსბურგი II-გერმანია | 1:1 |
| **გერმანიის თასი** | |
| **1/2 ფინალი** | |
| ბორუსია (მ)-ბაიერნი | 0:0 პენ. 2:4 |
| **საფრანგეთი** | |
| **ნასიონალი** | |
| ბეზანსონი-ორლეანი | 3:2 |
| **საფრანგეთის თასი** | |
| **1/4 ფინალი** | |
| გფკო აიაჩო-მონპელიე | 1:0 |
| ვალანსი-რენი | 1:3 |
| პსჟ-ლიონი | 1:3 |
| **ჰოლანდია** | |
| გრააფსხაპი-ტვენტე | 1:2 |
| **ჰოლანდიის თასი** | |
| **1/2 ფინალი** | |
| ჰერენვეენი-ეინდჰოვენი | 1:3 |
| **ბელგია** | |
| ანდერლეხტი-ვარეგემი | 2:1 |
| ბრიუგე-ლიერსი | 1:0 |
| კორტრიიკი-ბეერსხოტი | 2:0 |
| მეხელენი-სტანდარდი | 1:2 |
| ლოკერენი-სერკლი | 1:0 |
| მონსი-ვესტერლო | 2:1 |
| ჰევერლე-სტ. ტრუიდენი | 3:1 |
| გენკი-გენტი | 3:1 |
| **შოტლანდიის თასი** | |
| **1/4 ფინალი** | |
| სტ. მირენი-ჰართსი | 0:2 |
| **ფინეთი** | |
| **ლიგის თასი** | |
| ჰონკა-ვაასა | 0:1 |
| იარო-ინტერი | 2:3 |
| ჰიკ-კუოპიო | 2:1 |
| **ავსტრია** | |
| რაპიდი-კაპფენბერგი | 3:0 |
| ზალცბურგი-ვინერი | 2:1 |
| რიდი-ადმირა | 2:1 |
| შტურმი-ვაკერი | 1:0 |

| | |
|---|---|
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| ვოლენი-კრიენსი | 3:0 |
| **შვეიცარიის თასი** | |
| **1/4 ფინალი** | |
| ვინტერტური-სტ. გალენი | 2:2 პენ. 5:4 |
| ბაზელი-ლოზანა | 5:2 |
| ბილი-სიონი | 1:3 |
| **საბერძნეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი. II მატჩები** | |
| ატრომიტოსი-ასტერასი | 0:0 |
| ოლიმპიაკოსი-ოფი | 1:0 |
| **თურქეთის თასი** | |
| **1/8 ფინალი** | |
| ანტალია-ტრაბზონი | 1:1 დ.დ. 2:1 |
| რიზე-ქარაბუქი | 0:1 |
| ესქისეჰირი-ქასიმფაშა | 3:0 |
| ფენერბაჰჩე-სამსუნი | 3:0 |
| **კვიპროსის თასი** | |
| **1/4 ფინალი. I მატჩი** | |
| ოლიმპიაკოსი-ეთნიკოსი | 0:1 |
| **II მატჩები** | |
| ანორთოსისი-აელ | 2:1 (0:1) |
| ალკი-აეკ | 1:0 დ.დ. 2:1 (0:1) |
| **ჩეხეთის თასი** | |
| **1/4 ფინალი. I მატჩები** | |
| ბოლესლავი-სპარტა | 1:1 |
| ბუდეიოვიცე-იაბლონეცი | 0:0 |
| სიგმა-ბანიკი | 2:1 |
| ტეპლიცე-ლიბერეცი | 1:1 |
| **სლოვაკეთის თასი** | |
| **1/4 ფინალი. II მატჩი** | |
| სლოვანი-ჟენიცა | 2:0 პენ. 2:4 (0:2) |
| **რუსეთის თასი** | |
| **1/4 ფინალი. II მატჩები** | |
| რუბინი-ლოკომოტივი | 4:0 |
| ზენიტი-დინამო (მ) | 0:1 |
| **პოლონეთის თასი** | |
| **1/4 ფინალი. II მატჩები** | |
| შიონსკი-არკა | 3:1 (0:2) |
| რუხი (ხ)-რუხი (ზ) | 2:1 (4:1) |
| **ხორვატია** | |
| შიბენიკი-ლოკომოტივა | 0:1 |
| ინტერი-სიბალია | 1:1 |
| ისტრა-ლუჩკო | 2:0 |
| ზადარი-ვარაჟდინი | 2:0 |
| სპლიტი-კარლოვაცი | 3:1 |
| რიეკა-ჰაიდუკი | 0:3 |
| დინამო-სლავენი | 2:0 |
| **სერბეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი. I მატჩები** | |
| ბორაცი-ვოივოდინა | 0:0 |
| ცრვენა ზვეზდა-პარტიზანი | 2:0 |
| **სლოვენია** | |
| მურა-დომჟალე | 3:4 |
| გორიცა-ნაფტა | 3:1 |
| პუბლიკუმი-ტრიგლავი | 3:0 |
| ოლიმპია-მარიბორი | 1:2 |
| **უნგრეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი. I მატჩები** | |
| მტკ-ვიდეოტონი | 2:3 |
| დებრეცენი-უიპეშტი | 2:1 |
| **რუმინეთი** | |
| სპორტული-კლუჟი | 1:1 |
| პეტროლული-კონკორდია | 3:4 |
| უნივერსიტატეა-ასტრა | 3:1 |
| ოცელული-დინამო (ბ) | 1:1 |

| | |
|---|---|
| **ბულგარეთი** | |
| ლოკომოტივი (პ)-ლუდოგორეცი | 1:0 |
| [illegible] | 0:3 |
| [illegible] | 0:4 |
| ბეროე-ლიტექსი | 1:1 |
| **მოლდოვა** | |
| მილსამი-დაჩა | 0:1 |
| ცსკა-ისკრა | 2:1 |
| ნისტრუ-ოლიმპია | 0:1 |
| ზიმბრუ-კოსტულენი | 0:0 |
| აკადემია-შერიფი | 1:2 |
| ტირასპოლი-სფინტული | 1:1 |
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| **აზია** | |
| ალ ნასრი-ლეხვია | 2:1 |
| ალ აჰლი-სეპაჰანი | 1:1 |
| პერსპოლისი-ალ შაბაბი | 6:1 |
| ალ გაფარა-ალ ჰილალი | 3:3 |
| სენტრალი-ნაგოია | 1:1 |
| სეონამი-ტიანინი | 1:1 |
| კაშივა-ჟეონბუკი | 5:1 |
| გუანგჯოუ-ბურირამი | 1:2 |
| **კალათბურთი** | |
| **ევროლიგა** | |
| ცსკა-ბილბაო | 98:71 |
| მონტეპასკი-ოლიმპიაკოსი | 75:82 |
| **იტალია** | |
| სკავოლინი-კანტუ | 72:69 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| სკა-ატლანტი | 1:3 |
| ტორპედო-დინამო (მ) | 2:4 |
| **გერმანია** | |
| ვოლფსბურგი-შტრაუბინგი | 1:2 |
| ინგოლშტადტი-დიუსელდორფი | 5:3 |
| მანჰაიმი-ჰამბურგი | 4:0 |
| **ჩეხეთი** | |
| პლზენი-ზლინი | 4:2 |
| **შვედეთი** | |
| ფერიესტადი-ჰვ71 | 2:0 |
| ფრიოლუნდა-ბრიუნესი | 3:4 (ო) |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. მაიამი** | |
| ბელუჩი-**ჟილი** | 3:6, 4:6 |
| **დიმიტროვი**-კუკუშკინი | 6:2, 6:2 |
| ისტომინი-**ფალა** | 1:6, 1:6 |
| მატოშევიჩი-**ჰაასე** | 3:6, 4:6 |
| **დავიდენკო**-ბლეიკი | 4:6, 6:4, 6:4 |
| **ლაჩკო**-სვიტინგი | 6:4, 6:4 |
| **ხირალდო**-ანდუხარი | 6:3, 6:2 |
| ლოდრა-**როსოლი** | 4:6, 6:7 |
| **მალისე**-როჟე ვასელენი | 7:6, 6:3 |
| **ჰაასი**-რუფინი | 6:4, 6:4 |
| სეპი-**ბაუტისტა** | 3:6, 6:1, 3:6 |
| სელა-**კლემანი** | 3:6, 3:6 |
| **ვეიჩი**-კუდლა | 2:6, 6:2, 6:1 |
| **ნალბანდიანი**-დარცისი | 6:4, 7:6 |
| **WTA. მაიამი** | |
| **არვიდსონი**-დულკო | 6:4, 7:5 |
| **ბენეშოვა**-ვესნინა | 7:6, 6:1 |
| **კლაისტერსი**-გაიდოშოვა | 4:6, 6:1, 6:0 |
| დუშევინა-**ბ. ზახვალოვა** | 6:7, 4:6 |
| **პეერი**-კორნე | 6:4, 6:2 |
| **ფორეცი**-როგოვსკა | 6:4, 6:1 |
| ზაკოპალოვა-**სავინიხი** | 3:6, 5:7 |
| პარმენტიე-**სტივენსი** | 6:4, 6:7, 4:6 |
| ბრიანტი-**ჩინკი** | 1:6, 2:6 |
| **ვ. უილიამსი**-დატე | 6:0, 6:3 |
| ბირნეროვა-**კრაიჩეკი** | 7:5, 4:6, 0:6 |
| **კინგი**-პოუს ტიო | 6:2, 7:6 |
| რიბარიკოვა-**კეისი** | 7:6, 2:6, 1:6 |
| **ვოზნიაკი**-დანილიდუ | 4:6, 6:3, 6:0 |

TV პროგრამა

**22 მარტი. ხუთშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** იტალიის ჩემპიონატი. XXVIII ტურის მიმოხილვა.
**11:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XXVII ტურის მიმოხილვა.
**12:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XXVIII ტური. ატლეტიკო-ბილბაო.
**14:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXIX ტური. მანჩესტერ სიტი-ჩელსი.
**16:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XXVIII ტური. ვილიარეალი-რეალი.
**18:00** არგენტინის ჩემპიონატი. VI ტურის მიმოხილვა.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXIX ტური. ევერტონი-არსენალი.
**20:00** გერმანიის თასი. 1/2 ფინალი. ფიურტი-დორტმუნდი.
**22:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XXVIII ტური. ბარსელონა-გრანადა.
**00:00** გერმანიის თასი. 1/2 ფინალი. ბორუსია (მ)-ბაიერნი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-ჯენოა.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-ლეიკერსი.
**14:30** სუპერკოლაჟი.
**15:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. უდინეზე-ნაპოლი.
**17:00** რაგბი. ექვსი ერის თასი. V ტური. უელსი-საფრანგეთი.
**19:00** რაგბი. ექვსი ერის თასი. V ტურის მიმოხილვა.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** საჩოგბურთო მიმოხილვა - მატჩ-პოინტი.
**20:45** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**21:30** კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. მონტეპასკი-ოლიმპიაკოსი. I მატჩი.
**23:30** კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. მიმოხილვა.
**23:45** კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. ბარსელონა-უნიქსი. II მატჩი. (LIVE).
**01:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-ლეიკერსი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. ინდიანა უელსი. აშშ.
**13:00** სპორტ-NEWS.
**13:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. ინდიანა უელსი. აშშ.
**17:00** სპორტ-NEWS.
**17:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პარმა-მილანი.
**19:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-იუტა.
**21:30** NBA Action.
**22:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. ინდიანა უელსი. აშშ.
**00:15** ყოველკვირეული მიმოხილვა - სპორტის სამყაროში.

ავტოსპორტი. რალი



რალი მოსაწყენი გახდა?

# ჩემპიონი ნასვლით იმუქრება

რალიში მსოფლიოს რვაგზის ჩემპიონი **სებასტიან ლოები** არ აპირებს ყოველ ეტაპზე სამი-ოთხი ზედმეტი დღის დახარჯვას, როგორც ეს ბოლო პერიოდში ხდება.

*"ამჟამად რალის ჩატარების ადგილას კვირას ჩავდივართ და შინ მხოლოდ მომავალ ორშაბათს ვახერხებ გამგზავრებას. არადა, ოპტიმალური ვარიანტი იქნებოდა სამშაბათს ჩასვლა და კვირას შინ დაბრუნება"*, - დაიჩივლა ფრანგმა, რომლის ხელფასი წელიწადში დაახლოებით 8 მილიონ ევროს უდრის.

მიმდინარე სეზონში მსოფლიოს ჩემპიონატის ორგანიზატორებმა გაზარდეს ბევრი რბოლის ხანგრძლივობა და დისტანცია. თან, ისინი მომავალშიც აპირებენ ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელებას. ამ პოლიტიკას ეთანხმება ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი **ჟან ტოდტი** – მას მიაჩნია, რომ ეკიპაჟებზე დატვირთვის გაზრდა რალის უფრო საინტერესოს გახდის, ხოლო ეტაპის შედეგი – ნაკლებად პროგნოზირებადი იქნება.

ლოების თქმით, ის წინააღმდეგი არ არის ახალი იდეების, რომელიც სპორტს სარგებლობას მოუტანს, მაგრამ რალის დაგრძელება ამ იდეების სიაში არ შედის. *"ამ ნაბიჯს არანაირი ხარისხიანი წინსვლა არ მოუტანია*, - ხსნის თავის პოზიციას "სიტროენის" ლიდერი. – *უბრალოდ, უფრო მეტს დადიხარ ერთსა და იმავე გზებზე. ეს ყველაფერი ძალიან მოსაწყენი ხდება"*.

ფრანგმა რალისტმა განაცხადა, რომ სწორედ გრძელი დისტანცია შეიძლება გახდეს მისი მსოფლიოს რალიდან წასვლის მიზეზი. წასვლის უახლოესი თარიღი, შესაძლოა, 2012 წლის შემოდგომა იყოს. ლოების ამჟამინდელი კონტრაქტის ვადა 2013 წლის ბოლოს იწურება, მაგრამ მასში არსებობს პუნქტი, რომლის მიხედვითაც ავტომრბოლს ხელშეკრულების ერთი წლით ადრე გაუქმების შესაძლებლობა აქვს.

ჩოგბურთი

# ნადალი: ჩემი დოპინგი შრომაა

მსოფლიოს მეორე ჩოგანმა, ესპანელმა **რაფაელ ნადალმა** გაზეთ "ეკიპს" ინტერვიუ მისცა, რომელშიც ნეგატიური პოზიცია დააფიქსირა თებერვალში ფრანგულ ტელეარხ "კანალ პლუსზე" გასულ იუმორისტულ გადაცემასთან დაკავშირებით, რომელშიც ესპანელი ვარსკვლავი დოპინგის გამოყენებაში დაადანაშაულეს. მსოფლიოს მეორე ჩოგანმა აღნიშნა, რომ სპორტში დიდ წარმატებას არა დოპინგის, არამედ უდიდესი შრომის ხარჯზე მიაღწია.

*"ამ გადაცემაზე იმდენს ლაპარაკობდნენ, რომ ბოლოს და ბოლოს, მისი ნახვა გადავწყვიტე. სულაც არ მომეჩვენა სასაცილოდ, თუმცა ყველას იუმორის თავისებური აღქმა აქვს. ამ ვიდეორგოლმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია, მაგრამ ახლა ხმაური ჩაცხრა. მიყვარს ხუმრობა და სიცილი და ამის გაკეთებას ვერავინ დამასწრებს, მაგრამ პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ აუდიტორიის დიდ ნაწილს წარმოდგენა არ აქვს – რა არის პროფესიული სპორტი. მათ არ იციან, როგორ ფუნქციონირებს ანტისადოპინგო კონტროლი, არ იციან იმის შესახებ, რომ ყოველდღე მეთვალყურეობის ქვეშ ვიმყოფებით. მსგავსმა სკეტჩებმა შეიძლება ნეგატიური აზრი ჩამოუყალიბოს იმათ, ვინც ამ თემას ნაკლებად იცნობს. მე ეს უსამართლობად მიმაჩნია*, - მოჰყავს ესპანელის სიტყვები ფრანგულ გამოცემას. – *არასოდეს არავის დავადანაშაულებ დამამტკიცებელი საბუთების გარეშე. არ ვიცი რატომ, მაგრამ საფრანგეთში ყველაზე აქვთ ეჭვი. ვერავინ დამდებს ბრალს იმაში, რომ რაღაც "ჯადოსნურ აბებს" ვიღებ. ჩემი "ჯადოსნური აბი" – შრომისმოყვარეობაა. ვერ შევურიგდები იმას, რომ დოპინგის მომხმარებლის იარლიყს მაკრავენ იმ დროს, როცა ზედიზედ შვიდი წელი ყოველდღე რამდენიმე საათს ვმუშაობ. დოპინგის სამყაროსგან შორს ვარ და აბსოლუტურად არაფერი ვიცი მის შესახებ"*.

გარდა ამისა, ნადალმა ინტერვიუში ილაპარაკა თანამედროვე ჩოგბურთისთვის აქტუალურ პრობლემაზე, რომელიც გადატვირთულ კალენდარს ეხება.

*"ვფიქრობ, მოთამაშეთა 90 პროცენტი დაეთანხმება იმას, რომ კალენდარი გადატვირთულია და ეს არის ხშირი ტრავმების მიზეზი. რომ დავრჩე რეიტინგის სათავეში, საჭიროა პირველი იანვრიდან ნოემბრის ბოლომდე ვითამაშო. თუ მოთამაშეთა უმრავლესობას ცვლილებები სურს, მაგრამ ეს არ ხდება, გამოდის, ჩვენს ინტერესებს კარგად არ იცავენ"*.

კალათბურთი. ევროლიგა. პლეი ოფი

# ფავორიტების პირველი ნაბიჯები

ევროპის რანგით ყველაზე პრესტიჟულ ტურნირზე - ევროლიგაზე მეოთხედფინალური ეტაპი დაიწყო. ორ წყვილში გაიმართა პირველი მატჩები და ორივე ლოგიკური შედეგით დასრულდა.

„ბარსელონა" საკუთარ მოედანზე ხვდებოდა ყაზანის უნიქს-ს. ამ წყვილში ფავორიტი კატალონიური გრანდია, თუმცა პირველ შეხვედრაში „ბარსას" ასე თუ ისე გაუჭირდა ამ სტატუსის დამტკიცება.

მასპინძლები თავიდან კარგად თამაშობდნენ დაცვაში და საწყის ორ წუთში ქულა არ ჩააგდებინეს მეტოქეს – უნიქსმა პირველი ქულა იმ დროს მოიპოვა, როცა ბარსა 7:0 იყო დაწინაურებული. ესპანური კლუბი აგრძელებდა დომინირებას და პირველი 10 წუთი 22:14 მოიგო. ეჭვი არავის ეპარებოდა იმაში, რომ „ბარსელონა" დიდი ანგარიშით მოიგებდა შეხვედრას. მით უმეტეს, რომ მასპინძლებმა განავრცეს უპირატესობა და პირველი მეოთხედის სხვაობას მეორეში კიდევ 4 ქულა დაამატეს, რითაც უნიქს-ის ჩამორჩენა 12 ქულამდე გაიზარდა.

ყაზანური კლუბის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან შეძლო თამაშში დაბრუნება. რუსები მეთოდურად ამცირებდნენ სხვაობას და თანდათან მიუახლოვდნენ მეტოქეს. სტუმრების აქტიურობას ის შედეგი მოჰყვა, რომ მესამე 10-წუთეული მათ სამი ქულის სხვაობით მოიგეს და სამი მეოთხედის შემდეგ ანგარიში 62:53 იყო.

შეხვედრამ კულმინაციას საფინალო სირენამდე 4 წუთით ადრე მიაღწია, როცა უნიქსი ხუთი ქულით მიუახლოვდა მეტოქეს – 64:69. მაგრამ აქ თავისი სიტყვა თქვა **ერაზემ ლორბეკმა**, რომელმაც რთული ტყორცნით 71:64 გახადა ანგარიში. ამას **სამოილენკოს** აცილებული საჯარიმოები და **მიკელის** მორიგი ორი ქულა მოჰყვა – ანგარიში გახდა 73:64 და მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო. შეხვედრის საბოლოო ანგარიშია - 78:66.

გამარჯვებულის რიგებში ყველაზე შედეგიანი იყო მიკელი, რომელმაც 22 ქულა დააგროვა. 15 და 13 ქულა მოიპოვეს ლორბეკმა და **ნავარომ**. ესპანელებმა შეძლეს უნიქს-ის ლიდერების შეჩერება – **დომერკანტმა** და **მაკარტიმ** ერთად 20 ქულა დააგროვეს.

სერიის მორიგი მატჩი ისევ ბარსელონას მოედანზე გაიმართება.

■ ■ ■

დღის მეორე წყვილში ევროლიგის მოქმედი ჩემპიონი „პანათინაიკოსი" საკუთარ მოედანზე ილებდა „მაკაბის". ბერძნებს სერიოზული მეტოქე ჰყავდა, მაგრამ ისრაელის ჩემპიონმა ბერძნულ გრანდს ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია.

„პანათინაიკოსმა" მხოლოდ პირველი ხუთი წუთის განმავლობაში მისცა „მაკაბის" თანაბარი ბრძოლის საშუალება. ამის შემდეგ კი, მოედანზე ერთი გუნდი თამაშობდა. მატჩში ბოლოჯერ დაფიქსირდა თანაბარი ანგარიში – 18:18 და ამის შემდეგ „პანათინაიკოსმა" 22 უპასუხო ქულა დააგროვა. ანგარიში გახდა 40:18 მასპინძლების სასარგებლოდ.

მართალია, "მაკაბიმ" ოდნავ გაასწორა მიზანი, მაგრამ მაინც სოლიდური სხვაობით წააგო პირველი ტაიმი – 34:55. მეორე ნახევარი ფორმალობად იქცა. მესამე მეოთხედის ერთ მომენტში სხვაობა 30 ქულამდეც კი ავიდა და მხოლოდ ამის შემდეგ მოეშვა "პანათინაიკოსი". მეოთხე მეოთხედში მასპინძლებმა მეტოქეს 27-ქულიანი ჩამორჩენის 20-მდე შემცირების საშუალება მისცეს და დააფიქსირეს საბოლოო ანგარიში – 93:73.

გასული სეზონის საუკეთესო მოთამაშის **დიმიტრის დიამანტიდისის** ანგარიშზე 15 ქულა და 8 შედეგიანი პასი მოდის. 11-11 ქულა დააგროვეს **მაიკ ბატისტმა** და **დევიდ ლოგანმა**.

მაკაბის რიგებში გამორჩეულები იყვნენ ამერიკელი ლეგიონერები – **კიტ ლენგფორდი** და **დევინ სმიტი**, რომლებმაც შესაბამისად 21 და 17 ქულა დააგროვეს.

**ბარსელონა–უნიქსი 78:66**

**22:14, 23:19, 17:20, 16:13**

**ბ:** მიკელი (22+7 მოხსნა), ლორბეკი (15+5 მოხსნა), ნავარო (13), ნდონგი (12).

**უ:** ჯავაი (15+7 მოხსნა), დომერკანტი (12), ვერემეენკო (11+9 მოხსნა), ლაიდეი (10), მაკარტი (8).

**სერია:** 1-0

**პანათინაიკოსი–მაკაბი 93:73**

**28:18, 27:16, 24:18, 14:21**

**პ:** დიამანტიდისი (15+8 პასი+5 მოხსნა), კალატესი (13+8 მოხსნა), ბატისტი (11), ლოგანი (11), იასიკიავიჩუსი (9+5 პასი).

**მ:** ლონგფორდი (21), სმიტი (17+6 მოხსნა).

**სერია:** 1-0

NBA რეგულარული ჩემპიონატი

**ინდიანა–კლიპერსი 102:89**

**31:31, 23:15, 24:20, 24:23**

**ი:** გრეინჯერი (25+8 მოხსნა), ჰენსბრო (17), ჰილი (15+6 პასი), ჰიბერტი (13+7 მოხსნა), ბარბოზა (12).

**კ:** გრიფინი (23+10 მოხსნა), პოლი (16+8 პასი), იანგი (13+5 მოხსნა), ბატლერი (12), უილიამსი (12), ჯორდანი (2+10 მოხსნა).

**ნიუ იორკი–ტორონტო 106:87**

**27:24, 26:20, 26:24, 27:19**

**ნ-ი:** სტაუდმაიერი (22+12 მოხსნა), ლინი (18+10 პასი), ჩენდლერი (17), ენტონი (17+8 მოხსნა+5 პასი+3 ჩაჭრა), სმიტი (11+6 მოხსნა).

**ტ:** დეროზანი (17+5 მოხსნა), ბარნიანი (15), კალდერონი (11+9 პასი).

**ჰიუსტონი–ლეიკერსი 107:104**

**25:40, 26:16, 22:23, 34:25**

**ჰ:** ლი (23+5 მოხსნა), სკოლა (23), დრაგიჩი (16+7 მოხსნა+13 პასი), პარსონსი (13+7 მოხსნა), პატერსონი (10+8 მოხსნა).

**ლ:** ბრაიანტი (29), გასოლი (21), ბინუმი (16+7 მოხსნა), სეშენსი (14).

**იუტა–ოკლაჰომა 97:90**

**24:25, 28:19, 24:26, 21:20**

**ი:** მილსეპი (20+5 მოხსნა), ჯეფერსონი (16+6 მოხსნა), ჰარისი (15), ჰეივორდი (11+8 პასი), ტინსლი (11), მაილზი (10+5 მოხსნა+3 ჩაჭრა).

**ო:** უესტბრუკი (23), დურანტი (18+6 მოხსნა), ჰარდენი (17), იბაკა (13+10 მოხსნა+4 დაფარება).

**საკრამენტო–მემფისი 119:110**

**37:28, 29:28, 27:30, 26:24**

**ს:** ტორნტონი (31+7 მოხსნა+6 პასი+3 ჩაჭრა), კაზინსი (23+5 მოხსნა+4 ჩაჭრა), ტომასი (18+5 მოხსნა+7 პასი), ტომსონი (14+13 მოხსნა), ევანსი (13).

**მ:** გეი (23+6 მოხსნა), კონლი (16+9 პასი), გასოლი (15+10 მოხსნა+8 პასი), ალენი (14+3 ჩაჭრა), რენდოლფი (13+7 მოხსნა).

**მაიამი–ფინიქსი 99:95**

**28:22, 21:31, 23:22, 27:20**

**მ:** ბოში (29+8 მოხსნა), ჯეიმსი (20+8 მოხსნა+6 პასი), უეიდი (19+7 მოხსნა+5 პასი), ჰასლემი (15+9 მოხსნა).

**ფ:** ჰილი (19+7 მოხსნა), გორტატი (13+8 მოხსნა), მორისი (12), დადლი (10), ნეში (9+5 მოხსნა+10 პასი).

**პორტლენდი–მილუოკი 87:116**

**23:25, 20:29, 21:28, 23:34**

**პ:** ოლდრიჯი (21+12 მოხსნა), მეტიუზი (21+9 მოხსნა), ფელტონი (18+9 პასი), ბატუმი (12+5 მოხსნა).

**მ:** გუდენი (19+5 პასი), დელფინო (16+5 მოხსნა), ჯენინგსი (15+6 პასი), დანლივი (15), უდრიხი (15+4 ჩაჭრა), ელისი (14+9 პასი).

ამბები

## ფიშერი ოკლაჰომას ირჩევს?

ტელეკომპანია ESPN-ის ინფორმაციით, ვეტერანი მცველი **დერეკ ფიშერი** კარიერის გასაგრძელებლად „ოკლაჰომა-სიტის" აირჩევს. „თანდერის" ლიდერმა **კევინ დურანტმა** პირადად დაუძახა თავის გუნდში ფიშერს.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ, „ლოს ანჯელეს ლეიკერსმა" ტრეიდის მეშვეობით გაუშვა დერეკი „ჰიუსტონში", ამ უკანასკნელმა კი გამოისყიდა კალათბურთელის კონტრაქტი და ფიშერი თავისუფალი აგენტი გახდა.

## ფილადელფიამ ნოჩიონი მოიშორა

"ფილადელფია სიქსერზის" ხელმძღვანელობამ გააუქმა კონტრაქტი ფორვარდ **ანდრეს ნოჩიონისთან**. როგორც იტყობინებიან, ამ ნაბიჯით გუნდს სურს გამოათავისუფლოს თანხა სახელფასო ბიუჯეტში იმისთვის, რომ ზაფხულში რომელიმე თავისუფალი აგენტის გაფორმების საშუალება მიიღოს.

არგენტინელის კონტრაქტი 2012-13 წლების სეზონის ბოლომდე იყო ძალაში და ამ დროის განმავლობაში მას 7.5 მილიონი დოლარი უნდა მოეღო.

NBA-ში გატარებული რვა სეზონის განმავლობაში ნოჩიონის საშუალო სტატისტიკა 10.7 ქულასა და 4.5 მოხსნას შეადგენდა.

## იუტამ ჰოვარდი დაკარგა

„იუტა ჯაზის" ფორვარდმა **ჯოშ ჰოვარდმა** მარცხენა მუხლზე ოპერაცია გაიკეთა და სეზონის დარჩენილი ნაწილის გამოტოვება მოუწევს. კალათბურთელმა ორშაბათს ჩაიტარა სამედიცინო გამოკვლევა და სწორედ იქ დადგინდა ქირურგიული ჩარევის აუცილებლობა.

მიმდინარე სეზონში ჯოშმა 41 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 8.7 ქულა, 3.7 მოხსნა და 1.2 შედეგიანი პასი მიითვალა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**;
ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

**პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com** ხელმოწერილია დასაბეჭდად:

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**


რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია